საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
6 - 12 მარტი, 2013
№8 (195)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 რატომ არ უნდა მივიდეთ 19 აპრილს მიტინგზე



# მტერი №1

თუ მიხეილ სააკაშვილი იქცევა, როგორც საქართველოს მტერი, რატომ არ შეიძლება ღიად და რევერანსების გარეშე ვუწოდოთ მას მტერი და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ?

3

8 20-30 წელიწადში ეთნიკური ქართველები საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით!

11 «მომავალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს სხვის დაკრულზე მოცეკვავე, უპასუხისმგებლო, «ბალვანი»!

ქუთაისში პარლამენტის შენობის ასაშენებლად დახარჯულია 360 მილიონი. სად არის დანარჩენი 640 000 000?



20

14 «მიშისტი» მოსამართლეები თემიდას აუპატიურებენ!

## კოაბიტაცია




7

12 «რატომ არ იჭერენ შალვა ჯანაშვილს და ვანო მერაბიშვილს?»

მამა ბართლომე: 16

## კმარა ბოკერია, კმარა სააკაშვილი, კმარა უგულავა, კმარა რამიშვილი... კმარა თუთბერიძე!



მორჩა თქვენი დრო საქართველოში!

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ ვინმეა თანამედროვე საქართველოში უძღები შვილი, ეს სწორედ სააკაშვილია და ისიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ მამასთან აღარ მიესვლება, რადგან იგი კაენის ცოდვაში ადანაშაულებს.**

# რატომ არ უნდა მივიდეთ 19 აპრილს მიტინგზე



**თეა თუთბერიძეებმა იმდენი შეკითხვა დაუსვეს საპატრიარქოს, იმდენჯერ მოითხოვეს მკაფიო პოზიციის დაფიქსიება, რომ 3 მარტს, საკვირაო ქადაგებისას სწორედ ის პასუხი მიიღეს, რომელსაც მართლმადიდებელი მრევლი, დიდი ხანია, ელის: „თუ ადამიანი, რომელიც დაადგინეს ხელისუფლად, ცუდი ცხოვრების წესით ცხოვრობს, მარტო თავის თავზე და გარემოცვაზე ფიქრობს — როგორ გაერთონ, თუ ხელისუფალი კარგავს ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს, თუ ებრძვის ტრადიციებს და ადამიანებს უწესობისკენ მოუწოდებს, თუ ის ხელისუფალი თავის ერს შეებრძოლება, ზოგს დახოცავს, ზოგს საპატიმროებში ჩაყრის, თუ თავის გარემოცვას ოჯახებიდან პატიოსან ცოლ-შვილს გაარეკინებს და საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებს შერთავს, განა ასეთი ხელისუფლების მაგალითზე ვერ მივხვდებით, როგორ განაბნია ის, რაც ღმერთმა მისცა? ამიტომ დაუდგება ის დრო, რომ, ვინც ირგვლივ ჰყავდა, ისინიც აღარ მიიღებენ და ღორების საჭმელიც კი მოენატრება, რაც არ უნდა ქონება ჰქონდეს დაგროვილი თავისი ხალხის ხარჯზე“.**

**მეუფე იაკობი: თუ ხელისუფალი კარგავს ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს, თუ ებრძვის ტრადიციებს და ადამიანებს უწესობისკენ მოუწოდებს, თუ ის ხელისუფალი თავის ერს შეებრძოლება, ზოგს დახოცავს, ზოგს საპატიმროებში ჩაყრის, თუ თავის გარემოცვას ოჯახებიდან პატიოსან ცოლ-შვილს გაარეკინებს და საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებს შერთავს, განა ასეთი ხელისუფლების მაგალითზე ვერ მივხვდებით, როგორ განაბნია ის, რაც ღმერთმა მისცა?**

საქართველოში არავის სჭირდება იმის განმარტება, თუ რომელი ხელისუფალის პორტრეტია გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსის, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის, მეუფე იაკობის ქადაგებაში წარმოდგენილი. მართალია, მეუფე ამას ერთგვარი იგავივით გვაწვდის — „წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე უცხო ქვეყანაში“ (შემდეგ როგორც ტექსტშია), მაგრამ აღწერილი მეტისმეტად ჰგავს იმას, რა დღეშიც საქართველოს გუშინდელი ხელისუფლება იყო.

მართლმადიდებლები დიდმარხვის სამზადისს უძღები შვილის კვირით იწყებენ. საღმრთო ლიტურგიისას უძღები შვილის იგავი იკითხება. ორი შვილიდან ერთმა მამისგან ყოველი წილი მოითხოვა და ცალკე გასვლა მოინდომა. წავიდა უცხო ქვეყანაში. არაფერი დაუკლია — ბოროტი ზრახვები, სიძვა, მრუშობა და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ აღარაფერი შერჩა. ქონება გაანიავა, დარჩა მხოლოდ ხორციელი სურვილები, რომელთა დასაკმაყოფილებლად იძულებული გახდა, იმ უცხო ქვეყანაში მოჯამაგირედ, ღორების მწყემსად დასდგომოდა ვიღაცას. საჭმელიც არა ჰქონდა, ღორები რასაც ჭამენ, სული მისდიოდა იმაზე, მაგრამ, რომ გასინჯავდა, მწარე იყო. ასე იტანჯებოდა.

გაეხსნა უცბად გონება, გაახსენდა მამისეული სახლი. იფიქრა — მამასთან არათუ შვილს, მოჯამაგირესაც არაფერი აკლია, არ შია, არ სწყურია და იმდენიც რჩება, რომ სხვასაც აჭამოს. მიხვდა, რომ უაზროდ განაბნია ქონება, უაზროდ იცხოვრა, ძალიან შეწუხდა და უდიდეს სინანულს მიეცა. დაბრუნდა მამასთან, დაემხო მის წინაშე და უთხრა: — მე არა ვარ ღირსი, მეწოდოს შენი შვილი. მიმიღე, როგორც მსახური.

გახარებული მამა მსახურებს ეტყვის, გამოიღონ სამოსელი პირველი და გაუკეთონ ბეჭედი. მამა უბრუნებს მას შვილის წოდებას. **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უძღები შვილის კვირის ქადაგებაში ბრძანა, რომ ეს იგავი არის წინასწარმეტყველება კაცობრიობის შესახებ. „დარწმუნებული ვართ, დადგება დრო, როცა რჩეულნი კვლავ დაბრუნდებიან უფალთან“.**

ცოტა ხნით დავშორდეთ უძღები შვილის იგავს და კიდევ ერთ თეა თუთბერიძეს მივუგდოთ ყური. თამარ ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში სააკაშვილის გამონათქვამზე — **„არ დავუშვებ იმას, რომ რასაც პირადად მე 9 წელი რუდუნებით ვაშენებდი, დაინგრეს“,** წერს: — **პირადად „შენ“ არ აშენებდი, გუნდი აშენებდა!**

შემდეგ კი, როცა კომენტარებს გაეცნო, განმარტა: — **პაპზე უფრო კათოლიკეების არმია შემომესია. გასაგებია, რომ გუნდის წარმატებაშიც და წარუმატებლობაშიც სააკაშვილის წვლილი უზარმაზარია, მაგრამ, მგონი, ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ, როდესაც თავად პრეზიდენტი დამსახურებებზე საუბრობს, „ჩვენ“ ნაცვალსახელს უნდა იყენებდეს და არა „პირადად მეს“.**

ვინმე პაპაი ოქრო იქვე პასუხობს ჩერგოლეიშვილს: — **მიშა თუ რამეს აკეთებდა, 10 იმდენი მიიღო დახმარების სახით. მე მისი გუნდი მეცოდება. ისევე გახვედით მოღალატეებში, როგორც ეგ.** კიდევ ერთი კომენტარი ასეთია: — **ჰოო, მართალია, შენებით ყოველთვის გუნდი აშენებს. მთავარია, ამ გუნდს მერე ფეხი არსად დაუცდეს, თორემ, აი, მაშინ ხდება პასუხისმგებლობის ერთზე აკიდება... პასუხისმგებლობას რა უჭირს, დამნაშავედაც აქცევენ ხშირად...**

გუნდის და ლიდერის პრობლემა მარადიულია და ეს დილემა ისეთ ღრმად განსწავლულ ქალბატონს, როგორიც თამარ ჩერგოლეიშვილია, არ უნდა ეუცხოებოდეს; აკი სააკაშვილიც ოდესღაც შევარდნაძის გუნდში იყო, მაგრამ ყველა შეცდომა მას გადააბრალა, ხოლო დამსახურება თავად მიიწერა!

**თუ ვინმეა თანამედროვე საქართველოში უძღები შვილი, ეს სწორედ სააკაშვილია და ისიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ მამასთან აღარ მიესვლება, რადგან იგი კაენის ცოდვაში ადანაშაულებს. ზურაბ ჟვანია რომ არ „გაგუდულიყო გაზით“, უძღები შვილის დაბრუნება, შესაძლოა, მართლაც მომხდარიყო, მაგრამ მას ვერ გააცოცხლებ, მის გარეშე კი სააკაშვილს კაენის ბეჭედი არ აცდება.** ცილისწამებაზე საუბრის მოსურნეებს აქვე შევახსენებ, რომ კიდევ ერთი, ნატურალური თეა თუთბერიძე არც ისე დიდი ხნის წინ აცხადებდა: **„ილია მეორე ვერასოდეს იქნება ჩემი სულიერი მამა, კაგებეს აგენტი მე არ მჭირდება, მან ილოცოს საკუთარ თავზე, მე პატივს არ ვცემ და ვერც ვცემ ილია მეორეს, მე პატივს ვცემდი და ვცემ მამა ამბროსი ხელაიას, რომელიც ნამდვილად იყო ერის სულიერი მოძღვარი და სულიერი მამა და ის ბაიკებს კი არ უმღეროდა რუსეთს, როდესაც ხედავდა, რომ მისი ქვეყნის დაპყრობის საშიშროება იდგა და ოკუპაციის, არამედ გენუის საერთაშორისო კონფერენციას მიმართა და წერდა, რომ მის ქვეყანას ართმევენ სარწმუნოებას, კულტურას და ა. შ.“**

წმინდა ამბროსი აღმსარებლის მემორანდუმში გენუის კონფერენციისადმი ამის გარდა კიდევ ერთი საყურადღებო მომენტია, რომელიც საოცრად წააგავს სააკაშვილის და თუთბერიძეების 9-წლიან „დემოკრატიულ“ დიქტატურას:

**„ოკუპანტები, მართალია, ლამობენ, შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე!**

ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არ აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში. მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას.

ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა“.

**განა ზუსტად ასე არ არწმუნებდნენ 80 წლის შემდგომ მთელ მსოფლიოს ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები? განა ზუსტად ასე არ გმინავდა ერი, მაგრამ საშუალება არ ჰქონდა ხმის ამოღებისა? განა ზუსტად ასე არ ატარებდნენ 9 წლის განმავლობაში ყოვლადშეუფერებელ ექსპერიმენტებს ქართველი ერის ზურგზე? ან ვისი დამსახურებაა, რომ ამბროსი ხელაიას მოთხოვნიდან 80 წლის შემდეგ, დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოს ტერიტორიიდან სრულად გაყვანილი რუსული ჯარი 2008 წელს უკან დაბრუნდა?**

**გენუის კონფერენცია ისევე შეშფოთდა საქართველოს საკითხით, როგორც 2008 წელს მთელი ევროპა, თუმცა ამას ჩვენთვის დიდი შვება არ მოუტანია. მაშინაც და ახლაც ევროპას რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას მორცხვი დუმილი ურჩევნია.**

თუმცა მივუბრუნდეთ მეუფე იაკობის ქადაგებას და წვრილად მივყვეთ, რაზე მიუთითა მან „ინკოგნიტო“ ხელისუფალს.

„როგორი მეფეები და როგორი ხელისუფლები გვიყვარდა? — რომლებიც ქვეყანაში მშვიდობას ამყარებდნენ, ურთიერთსიყვარული და ურთიერთგატანა იყო და ქვეყანას თავის დაცვა შეეძლო...

რა ევალება ხელისუფალს? მას ევალება დაიცვას ის ტრადიციები, რომლებიც იმ ხალხს გააჩნია, თავის სამშობლო და თავის ქვეყანა დაიცვას.

უფლება არა აქვს თუნდაც, დადგენილი რომ არის ხელმძღვანელად, თავის ჭკუაზე აკეთოს ყველაფერი.

მან გულისხმა უნდა ჰყოს, თუ რა სჭირდება ერს, თითოეულ ადამიანს თუ სამსახურებს და აკეთოს ის.

**თუ** ადამიანი, რომელიც დაადგინეს ხელისუფლად, **ცუდი ცხოვრების წესით ცხოვრობს, მარტო თავის თავზე და გარემოცვაზე ფიქრობს** — როგორ გაერთონ,

**თუ** ხელისუფალი **კარგავს ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს, თუ ებრძვის ტრადიციებს და ადამიანებს უწესობისკენ მოუწოდებს,**

**თუ** ის ხელისუფალი **თავის ერს შეებრძოლება, ზოგს დახოცავს, ზოგს საპატიმროებში ჩაყრის,**

**თუ** თავის გარემოცვას ოჯახებიდან პატიოსან **ცოლ-შვილს გაარეკინებს და საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებს შერთავს,**

განა ასეთი ხელისუფლების მაგალითზე ვერ მივხვდებით, როგორ განაბნია ის, რაც ღმერთმა მისცა?

ამიტომ დაუდგება ის დრო, რომ, ვინც ირგვლივ ჰყავდა, ისინიც აღარ მიიღებენ და ღორების საჭმელიც კი მოენატრება, რაც უნდა ქონება ჰქონდეს დაგროვილი თავისი ხალხის ხარჯზე.

მაგრამ უფალი მოწყალეა და, თუ მას უდიდესი სინანული ექნება, თუ ის მოიქცევა და მიხვდება, რომ განაბნია ყოველივე და მობრუნდება, მას ღმერთი ხელს არ ჰკრავს.

მაგრამ **მან უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ის აქვს მოსათხოვი, უფალმა მიიღოს იგი, როგორც ერთ-ერთი მუშაკთაგანი, რათა, როგორც ერთმა მცირეთაგანმა, ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა მიიღოს, იმიტომ, რომ ძალიან დიდზე იყო დადგინებული და ვერ შეძლო.**

**მეორე და მესამე ექსპერიმენტი, როცა საქმე ერს ეხება, გამორიცხულია“.**

ყურადღება მიაქციეთ, რომ ათწლეულების შემდეგ მეუფე იაკობი იმავე „ექსპერიმენტებს“ ახსენებს, რომელზეც წმინდა ამბროსი აღმსარებელი წერდა. ეს ექსპერიმენტები ტრადიციების, რწმენის, ცხოვრების წესის, კულტურის წინააღმდეგ იყო მიმართული. პირველ შემთხვევაში მათ ბოლშევიკები ატარებდნენ, მეორეში კი — მედასავლეთე ნეობოლშევიკები.

კიდევ როგორ შეიძლება მოგმართოს მოძღვარმა, რომ გააცნობიერო, თუ ვინ, უფრო სწორად კი, რა მართავდა ქვეყანას ბოლო წლებში. პოლიტიკური (და არა მხოლოდ) ცოდვისა და გარყვნილების მორევში ჩაძირული ხელისუფლება არაფერს ინანიებს. **სინანულის გარეშე კი უძღები შვილის დაბრუნება, მამის მიერ მისი მიღება შეუძლებელია.**

მათ კი დაბრუნება უნდათ. ისინი 19 აპრილს, მძიმე მარხვაში პატრიოტებს ეპატიჟებიან მიტინგზე. **ვინც მივა, ის „პატრიოტი“ იქნება, რომელსაც**

**სძულს ტრადიციები;**

**ცუდი ცხოვრების წესით ცხოვრობს;**

**მარტო თავის თავზე და გარემოცვაზე ფიქრობს;**

**მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაერთოს;**

**ამართლებს ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვას;**

**ადამიანებს უწესობისკენ მოუწოდებს;**

**ებრძვის საკუთარ ერს;**

**ამართლებს ადამიანების დახოცვას;**

**პატიმრების წამებას;**

**პატიოსან ცოლ-შვილს ერეკება და ოჯახში საეჭვო ყოფაქცევის ადამიანები შეჰყავს...**

**მოინანიეთ, დიდმარხვა იწყება!**

**დღეს სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და ძნელი დასაჯერებელია, ვინმე ჭკუათმყოფელმა იფიქროს მის წამებულად გადაქცევაზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დაცვის სამსახურს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი მოვალეობა შეასრულოს ისე, რომ სააკაშვილის საზოგაუმა პრობლემები არ შეუქმნას. მიუხედავად იმისა, რომ ფართოდ გავრცელდა ეჭვი, რომ ფიგურანტი საქართველოს №1 მტერია, დაცვის სამსახურს ამის გაკეთებას კანონი ავალდებულებს და მას ხელი არ უნდა შეეშალოს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს მტერი №1

**მიხეილ სააკაშვილმა სიცრუეში საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. გასულ კვირას მისი განცხადებების უარყოფა, მათგან დისტანცირება და გაკვირვების გამოხატვა თიბისი ბანკს, ლიბერთი ბანკს, ეროვნულ ბანკს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, პატრიარქის მდივანს და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს მოუხდათ. სეზონური გამწვავება თუ მიზანმიმართული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ? ერთი მეორეს, პრინციპში, არ გამორიცხავს. სააკაშვილი, როგორც ჩანს, ცდილობდა, მიეყენებინა ზიანი ქართული საბანკო სისტემისთვის, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, პატრიარქის ავტორიტეტისთვის, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებისთვის და ა.შ., მაგრამ ეს იმდენად უხეშად და უნიჭოდ გააკეთა, რომ ეჭვები მის მენტალურ არამდგრადობასთან დაკავშირებით ლამის აქსიომად აქცია.**



**თუ მიხეილ სააკაშვილი იქცევა, როგორც საქართველოს მტერი, რატომ არ შეიძლება ღიად და რევერანსების გარეშე ვუწოდოთ მას მტერი და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ?**

ვიდრე არსებით განხილვაზე გადავალთ, ალბათ, აუცილებელია, ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს შევეხოთ. ჩვენ, როგორც წესი, ვცდილობთ, არ ვუწოდოთ „მტერი“ ამა თუ იმ პოლიტიკოსს, თითქოსდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ვცხოვრობდეთ, როდესაც ამ სტატუსის მინიჭება საკუთარ თავში რეპრესიების და ფიგურანტის სამუდამო ნეიტრალიზაციის მოთხოვნას შეიცავდა. ალბათ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ მტრის იდენტიფიცირება და მის წინააღმდეგ ზომების მიღება, რომელიც ჩვენს (ფარდობითად) ჰუმანურ ეპოქაში შეიძლება სავსებით ზომიერი იყოს. **არც ერთი ზედემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება არ ერიდება იმას, რომ მტერს მტერი უწოდოს, მაშინ როდესაც მისი მოქმედება აშკარად გამანადგურებელი ხდება. თუ მიხეილ სააკაშვილი იქცევა, როგორც საქართველოს მტერი, რატომ არ შეიძლება ღიად და რევერანსების გარეშე ვუწოდოთ მას მტერი და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ?** (ცხადია, ჰუმანურად; ჩვენ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ). სეზონური გამწვავება ამ შემთხვევაში შემამსუბუქებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება; ანალოგიური პრობლემა ადოლფ ჰიტლერსაც ჰქონდა, თუმცა ამის გამო არავინ ამბობს, რომ ის კაცობრიობის მტერი არ გახლდათ და ის გარემოება, რომ სომოსას დინასტიის ყველა წარმომადგენელი დამსახურებული შიზოფრენიკი იყო, არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან იმაზე, რაც ნიკარაგუას დამართეს.

**უამრავი ადამიანი** (სავარაუდოდ, ქართველების უმრავლესობა) **დარწმუნებულია იმაში, რომ 2008 წლის აგვისტოში და, საერთოდ, მთელი ამ წლების განმავლობაში სააკაშვილი მოქმედებდა, როგორც საქართველოს მტერი, როდესაც ფაშისტური რეჟიმის ჩამოყალიბებას ცდილობდა.** აპრიორი ცნობილია, რით დასრულდება ნებისმიერი გამოკითხვა ამ თემაზე: ძალიან დიდი ალბათობით, გამოკითხულთა სამი მეოთხედი (როგორც მინიმუმი) მას მტერს უწოდებს. ამის და ფიგურანტის ნამოქმედარის გათვალისწინებით, ალბათ, უფრო კორექტული იქნება, განვიხილოთ ის არა როგორც ლეგიტიმური პოლიტიკოსი, რომელსაც „კარგი უნდა, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოსდის“, არამედ როგორც მტერი, რომელიც საქართველოს ებრძვის. არაფერი ზებუნებრივი ამაში არ არის და თქმულიდან სულაც არ გამომდინარეობს სიძულვილის გაღვივება, მოწოდება არაკონვენციური მეთოდების გამოყენებისკენ ან მტრის ხატის შექმნა (რა საჭიროა ხატის შექმნა, როდესაც მტერი რეალურად არსებობს). უბრალოდ, ნებისმიერი საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრება იდენტიფიცირებული უნდა იქნას. მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოების გააზრებაც: **თუ ვინმე მიზნად ქვეყნისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებას ისახავს, მისი შეჩერება არა პოლიტიკის, არამედ ეროვნული უსაფრთხოების საკითხი ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პირი ყველა უფლებას კარგავს; დემოკრატიული სახელმწიფო გასული საუკუნის ავტორიტარულ სტილში ვერ იმოქმედებს.**

საქართველოში ბევრი ოპოზიციონერია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ცრუობს უტიფრად (ზომიერი მანიპულირება ინფორმაციით სულ სხვა რამ არის), არ ცდილობს, მიზანმიმართულად გააფუჭოს ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან, არ აშანტაჟებს არავის გადატრიალების მოწყობის შესაძლებლობით და ამიტომ აქვს სრული მორალური უფლება, ოპოზიციონერად იწოდებოდეს, მეტიც, არჩევნები მოიგოს და ხელისუფლებაში მოვიდეს. მაგრამ მტრის განხილვა ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალად, ალბათ, მაინც არ შეიძლება. თუ, მაგალითად, „ალ ქაიდა“ ისარგებლებს იურიდიული ხვრელით რომელიმე წამყვანი დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობაში და დაარეგისტრირებს ორგანიზაციას „ალ ქაიდას პოლიტიკური ფრთა“, საზოგადოება მას არ მიიღებს, ოპოზიციის ნაწილად არ განიხილავს და სრულ იზოლაციაში მოაქცევს, იმიტომ, რომ მტერი მტერია და არა ოპოზიცია, ხოლო პრინციპიდან „გიყვარდეს მტერი შენი“, რომელსაც ვცდილობთ მივსდიოთ, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ მტერს ფართო ასპარეზი უნდა მივცეთ ან თავზე დავისვათ.

ალბათ, არ უნდა მოგვერიდოს გამოვიყენოთ სიტყვა „მტერი“ მაშინ, როდესაც ეს მართებულია; **სახელმწიფოს და ქართულ დემოკრატიას საკმარისზე მეტი აშკარა მტერი ჰყავს, ხოლო მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, ცდილობს, ამ არასაპატიო რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავოს**, თუმცა ცნობილი (უნმაწური, მაგრამ ამავე დროს ფრიად ფილოსოფიური) ანეგდოტის არ იყოს, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც მეორე ადგილს დაიკავებს.

ადამიანი, რომლის მმართველობის წლებში ყველაფერი ღირებული, რაც ეკონომიკაში იყო, რუსული კომპანიების ხელში გადავიდა, საუბრობდა რუსების მიერ **ლიბერთი ბანკის** და **თიბისი ბანკის** ყიდვაზე, როგორც მომაკვდინებელ საფრთხეზე. ოციოდე წუთში გაირკვა, რომ ეს ტყუილია. **ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი განცხადება გამოიწვევდა თანამდებობის პირის სამუდამო დამშვიდობებას პოლიტიკასთან, ხოლო არადემოკრატიულში, გამორიცხული არაა, სარზეც დაესვათ, რადგან ორ წამყვან ბანკზე ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება მთელი სისტემის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. რა იყო ეს — პოლიტიკოსის განცხადება თუ დივერსია?**

აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ კი ადგა და თქვა, რომ გარდაბნელი ვინმე სადიკოვის მეთაურობით რუსეთში შეიქმნა დიასპორა, რომელშიც ალეკპეროვი და რამდენიმე სხვა მილიარდერი შეიყვანეს და რომ **„მათი მიზანია, იმავე სცენარით ბრძოლა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გარანტი პრეზიდენტის მიმართ, როგორც ეს აწარმოეს საქართველოს არჩევნებზე გასული წლის ოქტომბერში — ფულის, ოლიგარქების, რუსული კაპიტალის, შანტაჟისა და სხვადასხვა პროვოკაციის გამოყენებით. საინტერესო ის არის, რომ სადიკოვი გარდაბნელია და მან განაცხადა, რომ იბრძოლებს საქართველოში აზერბაიჯანელთა ავტონომიისთვის“.** ამის პასუხად აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ნოვრუზ მამედოვმა განაცხადა: **„სააკაშვილის განცხადება, რომ ჩვენი დიასპორის ზოგიერთი წარმომადგენელი საფრთხის შემცველ პოზიციას იკავებს აზერბაიჯანთან მიმართებაში, შეიძლება ასახავდეს მხოლოდ მის პირად მოსაზრებას. ვერ ვიჯერებ, რომ რაც მან განაცხადა ალეკპეროვთან და სხვებთან დაკავშირებით, რეალობაა. მე, როგორც სააკაშვილის მიერ ბაქოში გამართული არაერთი შეხვედრის მონაწილეს, შემიძლია განვაცხადო, რომ მსგავსი საკითხები მასთან განხილული არ ყოფილა და ამის საჭიროებაც არ იყო“.**

**რას წარმოადგენდა სააკაშვილის ეს ანტიდიპლომატიური, ზედესტრუქციული განცხადება — უმწიფარი პოლიტიკოსის ბოდვას თუ მიზანმიმართულ დივერსიას საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების და, შესაბამისად, რეგიონული უსაფრთხოების წინააღმდეგ?**

კიდევ ერთხელ შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას: ეს ადამიანი ასე ერთობა თუ ის ქართული სახელმწიფოს მტერია, ამერიკელი პარტნიორების თქმის არ იყოს, „ენიმი ოფ ზი სტეიტ“? სხვათა შორის, არც ამერიკელებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ, ხვალ შეიძლება მათ უარესი შარი მოსდოს, რაც გასულ კვირას — ალიევს. არანაირი გარანტია არ არსებობს, შეიძლება გამოვიდეს და თქვას: „ერთხელ დამირეკა ჯორჯ ბუშმა (ბარაკ ობამამ, ჯონ მაკკეინმა, კონდოლიზა რაისმა, მნიშვნელობა არ აქვს) და მითხრა...“, შემდეგ კი დაამატებს იმას, რაც ენაზე მოადგება, რაღაც სრულიად აბსურდულს და მოხდება დიდი საერთაშორისო სკანდალი. შენ ეს გჭირდება, ძია სემ?

**იმაზე, რაც სააკაშვილმა ილია II-ს და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის შესახებ თქვა, ალბათ, მიზანშეწონილია, მომავალ კვირას ვისაუბროთ; ეს ცალკე საინტერესო თემაა, რომელიც სერიოზულ ანალიზს მოითხოვს.** ამჯერად კი შეგვიძლია შევეხოთ მის დემონსტრაციულ უარს დაცვის სამსახურით სარგებლობაზე და გამგზავრებას აეროპორტში თითქოსდა „დაცვის გარეშე“, რაზეც აღტაცებით წერდნენ მისი პროპაგანდისტები. სინამდვილეში დაცვის სამსახური, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, მას მთელ მარშრუტზე იცავდა, რაც ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანდა და ყველა თვითმხილველმაც ნახა. უბრალოდ, დაირღვა ესკორტის ჩვეულებრივი წყობა, დაცვის სამსახურის თანამშრომლებს იმპროვიზება მოუხდათ; ამის გამო, მოულოდნელი ინციდენტის შემთხვევაში, საფრთხე მათი სიცოცხლისთვის გაცილებით დიდი იქნებოდა. რა მიზანს ისახავდა სააკაშვილი, როდესაც ამ პრობლემებს ქმნიდა?

საერთოდ, ნულოვანი რეიტინგის მქონე უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებს სჩვევიათ უახლოესი გარემოცვის დახმარებით, საკუთარ თავზე თავდასხმის იმიტაცია მოაწყონ. განსაკუთრებით ამის გაკეთება დიქტატორებს უყვართ; პოლ პოტი და იდი ამინი ამ მხრივ გამორჩეულები იყვნენ. თუმცა რაღა შორს წავიდეთ, **შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წლის ნოემბრის ინციდენტი ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართან, როდესაც სააკაშვილისა და პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის, კორტეჟის სიახლოვეს ისროლეს. ამის შემდეგ პოლონურმა გამოცემა „დზენიკმა“ გამოაქვეყნა ამონარიდები პოლონური სპეცსამსახურის „აბვ“-ს ანგარიშიდან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს სროლა „ქართული პროვოკაცია იყო“.** შემდეგ კაჩინსკის კანცელარიის ყოფილ უფროსს, პეტრე კოვნაცკის, ბრალი დასდეს იმაში, რომ ამ საიდუმლო მოხსენების შესახებ „დზენიკის“ ჟურნალისტს უამბო. 2011 წლის იანვარში ვარშავის საოლქო პროკურატურამ შეაჩერა გამოძიება ამ საქმეზე იმის გამო, რომ ქართულმა მხარემ ამ ინციდენტის დეტალებზე ინფორმაცია არ მიაწოდა. პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მონიკა ლევანდოვსკამ მაშინ განაცხადა, რომ „პროკურატურამ არაერთგზის მიმართა შესაბამის ქართულ ორგანოებს, თუმცა მას პასუხობდნენ, რომ ქართული შსს ამ საქმის გამოძიებას განაგრძობს“. ის ხალხი დღესაც ელოდება ინფორმაციას თბილისიდან და ძალიან საინტერესოა, მიიღებს თუ არა საბოლოოდ მას.

ამ ძალზე საეჭვო ეპიზოდს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უამრავი დადგმული ეპიზოდი სააკაშვილის მონაწილეობით და ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთ მანიაკალურ თავში „ფსევდო-თავდასხმის“ იდეამ გაიელვა, რის შემდეგაც სააკაშვილი, ალბათ, დაადანაშაულებს ივანიშვილის ხელისუფლებას დაცვის „მიზანმიმართულ დასუსტებაში“. რაც შეეხება რეალურ თავდასხმას, ნაკლებად სავარაუდოა, ის სააკაშვილის რომელიმე ოპონენტს ხელს აძლევდეს. **დღეს სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და ძნელი დასაჯერებელია, ვინმე ჭკუათმყოფელმა იფიქროს მის წამებულად გადაქცევაზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დაცვის სამსახურს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი მოვალეობა შეასრულოს ისე, რომ სააკაშვილის საზოგაუმა პრობლემები არ შეუქმნას. მიუხედავად იმისა, რომ ფართოდ გავრცელდა ეჭვი, რომ ფიგურანტი საქართველოს №1 მტერია, დაცვის სამსახურს ამის გაკეთებას კანონი ავალდებულებს და მას ხელი არ უნდა შეეშალოს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს მოუწევს მოქმედება ისე, როგორც ამას მისი ამომრჩევლების დიდი ნაწილი მოითხოვს — ხისტად და სენტიმენტების გარეშე და ის, სავარაუდოდ, აღარ იზრუნებს იმაზე, რომ (როგორც თვითონ ამბობს) მოწინააღმდეგეს „სახის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცეს“.**

# რატომ ვერ შეთანხმდნენ ივანიშვილი და სააკაშვილი?

**ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთს 4 მარტს შეხვდნენ. გარღვევასა და ყოვლისმომცველ დარეგულირებას ამ შეხვედრისგან არავინ მოელოდა; „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, უპირველესად, საკონსტიტუციო ცვლილებები და სააკაშვილისთვის მთავრობის ერთპიროვნული დათხოვნა-დანიშვნის უფლების ჩამორთმევა აინტერესებდა, „ნაციონალებს“ კი — ამნისტია ყოფილი ჩინოვნიკებისთვის (ისინი ამას „დევნის შეწყვეტას“ უწოდებენ). სააკაშვილი ცდილობდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს მისთვის მთავარი სულ სხვა საკითხები იყო, თუმცა ყველამ იცოდა, რომ კომპრომისის მიღწევა თებერვალში იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ მხარეები „ნაცამნისტიის“ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ; ყველა სხვა შემაფარხებელი ფაქტორი იმ მოლაპარაკების დროს მოიხსნა. ივანიშვილისა და სააკაშვილის ორშაბათის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა და იმ ადამიანებმა, რომლებიც შიშობდნენ, რომ შეთანხმების ნაწილი ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ გაუმართლებლად ლმობიერი ამნისტია გახდებოდა, შვებით ამოისუნთქეს. შეხვედრის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ კონფორნტაცია გრძელდება და დრამატული კულმინაცია გარდაუვალია.**



## ბალადა ბრალდების მოწმეზე

ეს არ იყო მოლაპარაკება თანასწორთა შორის, რადგან ივანიშვილის პოზიციები, როგორც შესაძლებლობების, ისე საზოგადოების მხარდაჭერის თვალსაზრისით, გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება. ეს უფრო მოაგონებდა სცენას მძაფრსიუჟეტიანი ფილმიდან, როდესაც, სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ალყაშემორტყმულ ბანდას, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, მძევლების გამოშვებასა და იარაღის დაყრას სთავაზობენ. ამ მეტაფორის ფარგლებში ერთი საინტერესო ნიაუანსის დაფიქსირება შეიძლება — საზოგადოების დიდი ნაწილი არ გაკიცხავს შერიფს იმ შემთხვევაში, თუ ის ბანდიტს მოატყუებს და ასე გაანეიტრალებს: ცრუ დაპირებას მისცემს, რომელსაც შემდეგ არ შეასრულებს. მიხეილ სააკაშვილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პარტნიორების „გადაგდების“ ტაქტიკას ისე ხშირად იყენებდა (ეს მისი რეჟიმის კრახის ერთ-ერთი მიზეზი გახდა), რომ ნაკლებად სავარაუდოა, ვინმე დიდად აღშფოთებულიყო იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი გარანტიების მიცემის ნაცვლად მას ბანალურად მოატყუებდა, ისე, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი შერიფი კინოში; მაგრამ პრემიერმა ამის გაკეთება არ ისურვა. გარკვეული ლოგიკა და წინადახედულობა ამაში ნამდვილად არის — ადრე თუ გვიან შეიძლება გამოჩნდეს მეორე ბანდიტი, რომელსაც ეცოდინება, რომ შერიფმა შეიძლება მოატყუოს და ანალოგიურ სიტუაციაში, მოლაპარაკებების გამართვის ნაცვლად, მძევლებს დახოცავს.

ვიდრე უშუალოდ ორშაბათის შეხვედრაზე ვისაუბრებთ, ალბათ, აუცილებლად უნდა შევეხოთ რამდენიმე წინარე ეპიზოდს. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამდე ორი დღით ადრე სააკაშვილმა თქვა: **„არავისთვის დასამალი არ არის, რომ ჩვენ ვითხოვთ საშუალო და ქვედა რგოლის პირების დევნის, წამების, დაკითხვებზე დაბარების შეწყვეტას“**, — და ამით სიტუაცია ერთობ ბუნდოვანი გახადა. ამ მომენტამდე ცნობილი იყო, რომ ამას „ნაციონალები“ კი არ ითხოვდნენ, არამედ „ქვედა და საშუალო რგოლის“ თემა თებერვლის მოლაპარაკებებზე ცალკე დავით უსუფაშვილმა გამოყო: **„სრული და უპირობო ამნისტია საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა“.** გაუგებარია ისიც, რას გულისხმობდა სააკაშვილი „წამებაში“; აქამდე არც ერთ „ნაციონალს“, უდრეკი ნუგზარ წიკლაურის ჩათვლით, არ უთქვამს, რომ მის თანაპარტიელებს აწამებენ. იდეაში, სააკაშვილმა ან კონკრეტული ფაქტები უნდა დადოს, ან აღიაროს, რომ იცრუა (სავარაუდოდ, არც ერთს და არც მეორეს არ გააკეთებს). რაც შეეხება იმუნიტეტს დაკითხვისგან, მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს, ამის ანალოგი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება; და, რაც მთავარია, სწორედ ამ დეტალებში, სააკაშვილის ერთობ გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვების უკან შეიძლება იმალებოდეს ფრიად მოზრდილი ეშმაკი.

**სააკაშვილის ერთობ გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვების უკან შეიძლება იმალებოდეს ფრიად მოზრდილი ეშმაკი**

საქმე ისაა, რომ „საშუალო და ქვედა რგოლის“ ჩინოვნიკამა, რომელსაც არ გაასამართლებენ, მაგალითად, საბიუჯეტო თანხის მითვისებისთვის, სულ სხვა საქმის ფარგლებში შეიძლება მისცეს ჩვენება, რომელიც მაღალჩინოსნების ბრალეულობას დაამტკიცებს. სააკაშვილის სრულიად უპრეცედენტო მოთხოვნა დაკითხვების შეწყვეტასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, სწორედ ამ საფრთხის ნეიტრალიზაციას ემსახურება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ზუსტად განვსაზღვროთ, **რის გამო შეჩერდა მოლაპარაკება თებერვალში — ერთადერთი საკითხი, რომელზე მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს იყო სრული და უპირობო ამნისტია (ძალადობრივი და სხვა მძიმე დანაშაულის გამოკლებით) ზედა რგოლის შემდეგი ჩინოვნიკებისთვის: მინისტრების მოადგილეების, სამინისტროს მსხვილი სტრუქტურების ხელმძღვანელების, გუბერნატორების, გამგებლების, მათი მოადგილეების და ა.შ. „ნაციონალები“ ამას ითხოვდნენ და ვერ მიიღეს. ამ ჩინოვნიკების ჩვენებები კი ხელისუფლების პირველი პირებისთვის განსაკუთრებით საშიშია, მათ, როგორც წესი, ბევრი რამ იციან.**

პარლამენტის თავმჯდომარემ თებერვლის მოლაპარაკებებზე „ნაციონალებს“ შესთავაზა, რომ ამ, ზედა რგოლის ჩინოვნიკებზე შემდეგი პრინციპი გავრცელდეს: ნაწილობრივი ამნისტია, რომლის მიხედვით ისინი გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი სასჯელისგან დანაშაულის აღიარების და 5 წლამდე საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვის პირობით. „ნაციონალებისთვის“ ეს მიუღებელი აღმოჩნდა და ეს, გასაკვირი, ალბათ, არ უნდა იყოს, რადგან დანაშაულის აღიარება, იდეაში, თანამონაწილეების და დამკვეთების დასახელებას გულისხმობს.

ყოველივე ამან შეიძლება დაგვაფიქროს, რომ **ყოფილი ხელისუფლებისთვის მთავარია პოტენციური მოწმეებისგან მომავალი საფრთხის განეიტრალება, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კანონში მათთვის სასურველი ფორმულირების ჩაწერას მიაღწევენ, ეს, პრობლემას 100%-ით ვერ მოხსნის.** ლათინური ამერიკის ისტორია სავსეა შემთხვევებით, როდესაც ყოფილი ჩინოვნიკები მაშინაც კი, როდესაც „ეროვნული შერიგების“ ფარგლებში მიღებული კანონი მათ სისხლისსამართლებრივი დევნისგან იცავდა, იძლეოდნენ ჩვენებებს (ან ინტერვიუებს), რომლებიც მათი ყოფილი ხელმძღვანელების ბრალეულობას ადასტურებდა. ადამიანის მოტივაცია საკმაოდ ბუნდოვანი და ძნელად გასაშიფრი რამ არის და არ არსებობს მყარი გარანტია, რომ ვინმე ჩუმად იჯდება მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძველი დანაშაულისთვის არ დასაჯეს.

## ეგრე არ არ არის, თაყაო

„იყო ღია შემოთვლები, არა მხოლოდ პარლამენტარების, არამედ დიპლომატების მეშვეობით, რომ მოდი გავცვალოთ სახელმწიფო დაცვის სამსახურის, რეზიდენციისა და ასეთი საკითხები საკონსტიტუციო ცვლილებებზე“, — განაცხადა სააკაშვილმა 2 მარტს. „სხვა საკითხებში“, სავარაუდოდ, ამნისტია იგულისხმებოდა; სააკაშვილი ამ ტერმინის გამოყენებას გაურბის. თუმცა აქ სხვა რამ იყო მნიშვნელოვანი — დიპლომატების მონაწილეობა საიდუმლო მოლაპარაკების პროცესში და, ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ სააკაშვილი ამ შემთხვევაში ლუქსემბურგის ელჩზე როდი მიანიშნებდა. ხოლო იმ ქვეყნის ელჩი, რომელიც მან, სავარაუდოდ, იგულისხმა, არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას ისეთი ტიპის პოლიტიკურ ვაჭრობაში, რომელიც მისი ქვეყნის მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამის საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ სააკაშვილმა ხელი კომპრომისულ წინადადებაზე არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ დასავლელ პარტნიორებსაც აუკრა.

**შესაძლოა, სააკაშვილი თვლის, რომ მთავრობის დათხოვნის უფლება ძალიან ძვირადღირებული რესურსია და მას შეუძლია ის მაქსიმალურ ფასად გაყიდოს, ხოლო ვიდრე ამას არ გააკეთებს, მასთან ზრდილობიანად გამართავენ მოლაპარაკებებს და თავზე ხელს გადაუსვამენ.** ამ პროცესში ის ანგარიშგასაწევ პოლიტიკოსად წარმოჩინდება, სრულად ისარგებლებს „ცეცხლის შეწყვეტის“ რეჟიმით, ძალთა გადაჯგუფებას მოახდენს, გააკეთებს ყველაფერს, რათა ახალი ხელისუფლების პოზიციები დაასუსტოს და, ვინ იცის, შეიძლება მოგვიანებით გადატრიალებასაც გამოჰკრას ხელი. ხოლო თუ სათანადო წინაპირობები ამ წარმოუდგენელი ავანტურისთვის არ შეიქმნება (სავარაუდოდ, არ შეიქმნება), შეეცდება, თავი დემოკრატ პოლიტიკოსად წარმოაჩინოს, რომელსაც „ჰქონდა მთავრობის დათხოვნის უფლება, მაგრამ ის დიდსულოვნად არ გამოიყენა“. შესაძლოა, მას ჰგონია, რომ წაუგებელ თამაშს თამაშობს, ▶

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა თავისი არჩევანი — უარი თქვა კომპრომისზე და ახალ ხელისუფლებასთან მზარდი კონფრონტაციის გზას დაადგა

◀ თუმცა ის ქვეყნის ინტერესებთან ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში შედის. საქართველოს არ შეუძლია გაურკვევლობის, მუდმივი პოლიტიკური შანტაჟისა და დესტაბილიზაციის მოლოდინის რეჟიმში იცხოვროს.

**როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს მოუწევს მოქმედება ისე, როგორც ამას მისი ამომრჩევლების დიდი ნაწილი მოითხოვს — ხისტად და სენტიმენტების გარეშე და ის, სავარაუდოდ, აღარ იზრუნებს იმაზე, რომ (როგორც თვითონ ამბობს) მოწინააღმდეგეს „სახის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცეს“.** თუ სააკაშვილი არ თმობს მთავრობის დათხოვნა-დანიშვნის დიქტატორულ, ანტიდემოკრატიულ უფლებას, მან უნდა ინანოს, თანაც ისე მწარედ, რომ თანამდებობიდან კი არ წავიდეს, არამედ გაიქცეს და გახოხდეს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გორში გააკეთა. სავარაუდოდ, სწორედ ამას მოითხოვს უახლოეს დღეებში „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ბიძინა ივანიშვილისგან და ნებისმიერ ალტერნატიულ (და შესაძლოა, უფრო ეფექტურ) სტრატეგიას სისუსტის გამოვლინებად ჩაუთვლის. ეს გასაგებიცაა, მთელი ეს კატათაგვობანა და პოლიტიკური შანტაჟი სააკაშვილის მხრიდან ამ ხალხს ყელში ამოუვიდა.

**აშკარაა, რომ სააკაშვილი ებღაუჭება ამ ბერკეტებს და მისი პოლიტიკური განიარაღების, ანუ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხი პარლამენტში კენჭისყრაზე უნდა დადგეს; სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რა შედეგი დაფიქსირდება კენჭისყრის დროს, საზოგადოება დაინახავს, რომელი დეპუტატი უჭერს მხარს ამ ანტიდემოკრატიულ პრინციპს და შესაძლო გადატრიალებას და მათ მიმართ შესაბამის დამოკიდებულებას გამოხატავს. ყველაფერი დანარჩენი ბელეტრისტიკაა და დროის უაზრო ფლანგვა, რომელიც ყველაზე მეტად დღეს სააკაშვილის ჯგუფს აძლევს ხელს.**

ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბოლო მომენტში სააკაშვილის მიერ ნახსენები დიპლომატები (კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარს ამჯერადაც არ დავასახელებთ) აუხსნიან, თუ რა შედეგი მოაქვს სიჯიუტეს და თამაშს დესტაბილიზაციის აჩრდილთან და მას დათმობაზე დაიყოლიებენ, თუმცა სასწაულს ამ შემთხვევაში, ალბათ, არ უნდა ველოდოთ, თანაც სასურველია, რომ ეს, უდავოდ საშინაო პრობლემა საკუთარი ძალებით გადავწყვიტოთ.

## მშვიდობის მტრედის ჩახოხბილი

ორშაბათს საღამოს ბიძინა ივანიშვილმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სააკაშვილის **„ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს... ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და უქმნის პრობლემებს ახალ ხელისუფლებას. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სახელით მათ ბოდიშს ვუხდი“**, იქვე აღნიშნული იყო, რომ სააკაშვილი **„მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით. მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს, თუ ეს არ არის დადასტურებული ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ“**. ბევრმა კომენტატორმა ეს განცხადება „გაატარა“. არადა, ის მართლაც რომ უპრეცედენტოა, თუ შევეცდებით მას უცხოელი დამკვირვებლის თვალით შევხედოთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ **სიტუაცია საქართველოში კრიტიკულია და სასწრაფოდ უნდა დარეგულირდეს.** საუბარი იმაზე, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი საგარეო არენაზე მთავრობის პოზიციას არ გამოხატავს, როგორც წესი, მაშინ იწყება, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს ამ სიტუაციის სხვა, „მშვიდობიანი“ ანალოგების მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. **ეს განცხადება, ალბათ, შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ ნიშნად იმისა, რომ ივანიშვილმა სააკაშვილის იზოლირება დაიწყო.**

სამწუხაროა, რომ საქმე აქამდე მივიდა; ეს ქვეყნის იმიჯს სასიკეთოს არაფერს მოუტანს, თუმცა, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ იყო, სააკაშვილის კომენტარები საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე ყოველგვარ ზღვარს გასცდა და აშკარა გახდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

**მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა თავისი არჩევანი — უარი თქვა კომპრომისზე და ახალ ხელისუფლებასთან მზარდი კონფრონტაციის გზას დაადგა,** რაც 4 მარტის სრულიად უსარგებლო შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. ისიც აშკარაა, რომ უცხოეთში ვოიაჟების დროს ის მოქმედებს, არა როგორც ქვეყნის, არამედ საკუთარი თავის და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი. მნიშვნელობა არ აქვს, რა მოტივებით ხელმძღვანელობს ის ან რა სასწაულს ელოდება, მთავარია, რომ ეს მისი შეგნებული და, როგორც ჩანს, საბოლოო არჩევანია; ამოსავალი წერტილი მთელ ამ სიტუაციაში სწორედ ესაა. ეს კი, მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ **ქართულ პოლიტიკაში დასრულდა უაზრო საუბრებითა და ბუნდოვანი ფორმულირებებით სავსე პაუზა და დადგა კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული მოქმედების დრო.** მომდევნო კვირა კი, სავარაუდოდ, იქცევა ერთგვარ ილუსტრაციად ცნობილი, ადგილობრივი რეალიების მიმართ მისადაგების მიზნით ოდნავ გადაკეთებული ფრაზისთვის: **თუ სააკაშვილს სურს დაუნდობელი პოლიტიკური ომი, ის ამ ომს მიიღებს.**

**დიმიტრი მონიავა**

# დიალოგს და ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს

**27 თებერვალს სასტუმრო „ვერე პალასში“, ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებით, ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ პირველი საზოგადოებრივი დისკუსია გაიმართა, რომელსაც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, კულტურისა და სპორტის სფეროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დისკუსიის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ შეხვედრის მონაწილეები პატრიარქისა და ხელისუფლების რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების ინიციატივას მიესალმებიან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი და ვერ ხედავს მათი მოგვარების გზას. ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ შეხვედრის რამდენიმე მონაწილე ესაუბრა.**



**შეხვედრის ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**

— მსგავსი შეხვედრები გაგრძელდება და მომავალში საქართველოში რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩამოყვანაც იგეგმება. საზოგადოებრივი აზრი რუსულ-ქართული ურთიერთობების სასიკეთოდ უკვე არსებობს. ეს არ არის მხოლოდ „ნაციონალების“ გადასაწყვეტი საკითხი, ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. ქართველი ხალხის პოზიციას კი, პირველ რიგში, ეს ადამიანები გამოხატავენ, რომლებიც დღეს აქ იმყოფებიან, ეს ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწეები, ჩვენი სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენები და ახალგაზრდობა. მე არ ვამბობ, რომ ყველა ერთ აზრზეა, მაგრამ ყველას ერთი სულისკვეთება აქვს, ყველა მათგანი მხარს უჭერს ახალი ხელისუფლებისა და პატრიარქის სულისკვეთებასა და პოზიციას — მოგვარდეს რუსეთთან ურთიერთობა.



**შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი და „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ამირეჯიბი:**

— კულტურა და მეცნიერება ხელს არ უშლის ურთიერთობების დარეგულირებას. პოლიტიკოსებმა თავიანთი საქმე უნდა აკეთონ, ხელოვანმა ხალხმა კი დაიწყოს ურთიერთობა, ამით არაფერი დაშავდება. პირიქით!

მე ვხედავ, როგორც ქართულ, ისე რუსულ ინტელიგენციას დიდი სურვილი აქვს ურთიერთობის აღდგენის. ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე, თავის მხრივ, ქართულმა საზოგადოებამაც უნდა დაიწყოს ამაზე საუბარი. ყველაფერს სჭირდება დაწყება და მოსინჯვა. ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა დადოს თავისი აგური ამ საქმეში. ეს პრესკონფერენცია აპოლიტიკურია, აქ არც ერთი პოლიტიკოსი არ იმყოფება. ეს არის ქართული საზოგადოების შეხვედრა.



**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე:**

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორ მომენტს გამოვყოფ: პირველი. გავიხსენოთ, რომ ევროპამ ოფიციალურად აღიარა მულტიკულტურალიზმის კრახი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გაუცრუვდათ იმედი, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩასული ემიგრანტები კულტურულ ასიმილაციას განიცდიდნენ და ადგილობრივი სახელმწიფოს ერს შეერწყმოდნენ. ეს ასე არ მოხდა, რამაც საზოგადოება კონფლიქტებამდე მიიყვანა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქართველმა კულტურული ასიმილაცია არ განიცადა, ვინაიდან ჩვენ ერთი კულტურის, რელიგიის მატარებელი ერები ვართ და არავითარი კონფლიქტის საფუძველი ჩვენ შორის არ არსებობს.

მეორე. გადავავლოთ თვალი არაბეთის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. საბოლოო ჯამში, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ რადიკალური ისლამისტები, რომლებიც „ვაჰაბიტების“ სახელით არიან ცნობილნი და რომელთა პოლიტიკურ ფრთას ე.წ. ძმები მუსლიმანები წარმოადგენენ. მათთვის სახელმწიფოსა და ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი საკითხს განიხილავენ მხოლოდ და მხოლოდ კულტურული და რელიგიური იდენტურობის ნიშნით. ეს არის აგრესიული მიმდინარეობა, რომელიც სისხლისღვრით მოვიდა ხელისუფლებაში და უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი დასავლეთისკენ მოიწევენ და, რაც ყველაზე სახიფათოა, ისინი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაშიც ცდილობენ დამკვიდრებას. მათ მარტო ვერ გავუმკლავდებით, გვჭირდება პარტნიორი და, თუ მუსლიმანებისთვის რელიგიურ-კულტურული ერთიანობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი რუსეთთან ურთიერთობაზე?!

მნიშვნელოვანია, რომ დისკუსია ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე დაიწყო, ასეთ ღონისძიებებს კარგის მეტი არაფერი მოაქვს.



**მომღერალი, ანსამბლ „ფორტეს“ ხელმძღვანელი ზურა მანჯავიძე:**

— მართალია, სკეპტკური განწყობა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ იმუშავო ამ საკითხებზე. ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, მაგრამ მიზანი უნდა გვქონდეს ერთი, რომ აუცილებელია, მეტიც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. შეუძლებელი არაფერია, თუ მოვახერხეთ საუკუნოვანი მტრებისთვის გაგვეწოდებინა ხელი, რომლებიც მუდმივად გვავიწროებდნენ და ჩვენი ტერიტორიები დღემდე მითვისებული აქვთ, თუ მოვახერხეთ მათთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და სტრატეგიული პარტნიორობაც კი, შესაძლებელია რუსეთთანაც მოგვარდეს ურთიერთობა.

ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს მშვიდობა. რა თქმა უნდა, არა ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობით ვერაფერი მოვიგეთ.

კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელი იქნება, თუ ნორმალური ადამიანები დაელაპარაკებიან ერთმანეთს და არა არანორმალური მთავრობის მეთაური, როგორიც გვყავდა. მოწინააღმდეგე რაც უნდა ბოროტი იყოს, როცა მას ვაჟკაცურად ელაპარაკები, არ მოატყუებ, ყოველთვის არსებობს შანსი, რომ რაღაც გამოვიდეს ამ მოლაპარაკებიდან. მოლაპარაკება მტრებს შორის ბრძოლის დროსაც არსებობს. ამის ისტორიული მაგალითიც ბევრი გვაქვს და პიროვნებები, ყველაფერს თუ ვერა, ბევრ რამეს წყვეტენ.

ქართველი ხელოვანები, რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ. ნათქვამია, „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ და დღეს თუნდაც ხავსზე მოსაჭიდებელი რაკი გვაქვს, ყველა გზა, ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ ურთიერთობის დასარეგულირებლად, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება გაჩნდეს შანსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. ასე რომ, იმედი არსებობს, საშუალება არის. დარწმუნებული ვარ, ეს გზა ადვილი არ იქნება, მაგრამ მეგობრობასა და ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს.



**აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლონდერ ცაავა:**

— დღევანდელი შეკრება ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ერთი ისტორია გავიხსენო. 1995 წელს, როდესაც ჯერ მხოლოდ სამი წელი იყო გასული აფხაზეთის ომიდან, მე და თამაზ ნადარეიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავით, სადაც ამერიკელ მაღალჩინოსნებს შევხვდით. მათ მოვუყევით, თუ რა ნეგატიური როლი შეასრულა რუსეთმა ჩვენს ურთიერთობებში, ვაკვირდებოდით ამერიკელების გამომეტყველებას და გვეგონა, მთელ მსოფლიოს გავაგებინეთ, რა მოხდა და როგორია რუსეთი, მაგრამ თანაგრძნობის მაგივრად გვითხრეს, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამონახოთო. მაშინ ამერიკელების ნათქვამი მეხის გავარდნას ჰგავდა ჩვენთვის. ცხადია, რომ რუსეთის გარეშე არც სამაჩაბლოს და არც აფხაზეთის კონფლიქტი არ გადაწყდება. ყველა ომს აქვს საბაბი და რუსეთი ყოველთვის კარგად ახერხებდა ჩვენთვის ეს საბაბი მოეცა. დღესდღეობით ურთიერთობის დარეგულირების პროცესი იწყება.

**შორენა ციქარაშვილი**

**P.S. შეხვედრაზე საწინააღმდეგო აზრიც მოვისმინეთ. მაგალითად, მსახობი გია ბურჯანაძე რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის დარეგულირების წინააღმდეგი გამოვიდა.**

ჩეჯლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაშვილი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და ოპონენტებს ოდენ ტყვიით, ციხით, გაზითა და სამსალით უმასპინძლდებოდა, ხოლო სარეცელში „ნიკალაევიჩი“ ისეთ ხალხს ეპატიჟებოდა, რომლებსაც, „ვარდების რევოლუციის“ კუმირის პორნოგრაფიული ლტოლვის გარდა, მისი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, „პიარული“, სოციალური და გასტრონომიული ახირებანი უნდა დაეკმაყოფილებინა!.. ასე აღმოჩნდნენ მიხეილ-პროკრუსტეს „სარეცელში“ მომღერლები, პოეტები, ჟურნალისტები, მხატვრები, ლიტერატორები, ფეხსუსტი ქალები და ბედისმაძიებელი ავანტიურისტები...**

# მიშას სარეცელი

**ძველი ბერძნული მითოლოგია იცნობს მკვლელ და მოძალადე დამასტესს, ანუ პროკრუსტეს, რომელიც მეგარადან ათენისკენ მიმავალ გზაზე ყაჩაღობდა და ხალხს საშინელი წამებით სულს ხდიდა!..**

**ნაძირალა პროკრუსტე, რომელსაც მეტსახელად „გამწელავი“ შეარქვეს, საცოდავ მგზავრებს სახლში შეიტყუებდა და მერე თავის საწოლში აიძულებდა დაწოლას. ადამიანს, რომელსაც ფეხები საწოლს იქით გადარჩებოდა, ანუ მაღალი იყო, პროკრუსტე კიდურებს ან თავს მოაჭრიდა და ასე „დააყენებდა“ საწოლის ზომაზე, ხოლო ვისთვისაც პროკრუსტეს სარეცელი დიდი აღმოჩნდებოდა, შარაგზის ყაჩაღი და მკვლელი იმას „დააგრძელებდა“, ანუ „გაწელავდა“... ერთი სიტყვით ისედაც და ასედაც სიკვდილი ყველას გარანტირებული ჰქონდა!..**



ბევრი ადამიანი გამოასალმა პროკრუსტემ სიცოცხლეს, ბევრის ცოდვა დაიდო, მაგრამ სულ ბოლოს ისეთ გმირს გადაეყარა, რომელმაც სწორედ იმ ავადსახსენებელ სარეცელში, სწორედ იმავე წესით ამოხადა მას სული, როგორადაც ვერაგი და სისხლით გაუმაძღარი ყაჩაღი მშვიდობიან მგზავრებს უსწორდებოდა!..

ასე და ამრიგად, გამოთქმა „პროკრუსტეს სარეცელი“ მსოფლიო ხალხების წარმოდგენასა და მეტყველებაში დამკვიდრდა არაადამიანური მეთოდებით რაღაცის ან ვიღაცის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის სინონიმად და თქმა არ უნდა იმასაც, რომ **ყველა დროისა და ეპოქის ყოველი პირსისხლიანი ტირანი თავისებურად იყო და არის პროკრუსტე, რომელსაც უსათუოდ ჰქონდა და აქვს თავისი სარეცელი!..**

ცხადია, ჩვენი ვადაგასული პრეზიდენტი — მიშაც პროკრუსტეა, მაგრამ ცოტა უფრო რაფინირებული, ვიდრე, მაგალითად, დოდო გუგეშაშვილი, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, 1993 წლის ნოემბერში ზუგდიდში ჩარჩენილ ზვიადისტ გოგო-ბიჭებს სწორედაც რომ ნაჯახით დასდევდა!.. სხვათა შორის, ამ და სხვა მსგავსი ფაქტების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურა დღემდე უსინდისოდ დუმს, თუმცა ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს!..

**რაც ზემოთ მოგახსენეთ, მიშა ამ ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად აკეთებდა, — საააკაშვილი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და ოპონენტებს ოდენ ტყვიით, ცოცხით, გაზითა და სამსალით უმასპინძლდებოდა, ხოლო სარეცელში „ნიკალაევიჩი“ ისეთ ხალხს ეპატიჟებოდა, რომლებსაც, „ვარდების რევოლუციის“ კუმირის პორნოგრაფიული ლტოლვის გარდა, მისი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, „პიარული“, სოციალური და გასტრონომიული ახირებანი უნდა დაეკმაყოფილებინა!..**

**ასე აღმოჩნდნენ მიხეილ-პროკრუსტეს „სარეცელში“ მომღერლები, პოეტები, ჟურნალისტები, მხატვრები, ლიტერატორები, ფეხსუსტი ქალები და ბედისმაძიებელი ავანტიურისტები...**

როგორც მითიური და ავადსახსენებელი პროკრუსტე მეგარადან ათენისკენ მიმავალ გზაზე, საააკაშვილიც თავის „ცქირებთან“ ერთად ზუსტად ისე იყო გამომდგარი ნატო-ევროკავშირის შარაზე და „სარეცელში“ ეპატიჟებოდა ყველას, — **გიგა ნასარიძეს, გიგი უგულავას, გიგა ბოკერიას, გოგა ხაჩიძეს, ნუგზარ წიკლაურს, ბაჩუკი ქარდავას, გურამ ჩახვაძეს, გიორგი თარგამაძეს, ჯონდი ბაღათურიას, ბლუ მერაბიშვილს, მამა-შვილს გაბაშვილს, შოთა მალაშხიას, აკაკი მინაშვილს, დავით ბაქრაძეს, გია ბარამიძეს, ელდარ კვერნაძეს, ახალაიებს, კოდუებს, ძმებ ქარდავებს, ნიკა გვარამიას,** რომელიც ამ ბოლო დროს აშკარად „მთვარისშუქმოხვედრილი“ პატარძალივით კნავის...

აღარაფერს ვამბობ გივი თარგამაძეზე, რომელიც მამაზეციერმა მანამ არ მოასვენა, ვიდრე ძლევამოსილი რუსეთის პროკურატურასა და სპეცსამსახურებს არ გადაჰკიდა!..

**არადა, როგორ „ქაჩა“ და „წელა“ მიშამ, მაგალითად, გიორგი თარგამაძე**

**მიხეილ-პროკრუსტემ თავისი სექტა სწორედაც რომ «სარეცელში» ჩამოაყალიბა და შექმნა... სინდის-ნამუსი ვერავის წაჰგვარა და მოჰკვეთა, რადგან მიხეილ-პროკრუსტეს «სარეცელში» «გაჭიმულ-დაჭმუჭნულთაგან», არც სინდისი გააჩნდა ვინმეს და არც ნამუსი!..**

**„სარეცელში“, როგორ და საიდან არ უბერა სული — პარლამენტშიც შეიყვანა, ვიცე-სპიკერის პოსტიც მისცა, საკრებულოშიც დასვა, მაგრამ არაფერი მაგ საქმისგან არ გამოვიდა. მოუვიდა გული ჯონდი ბაღათურიას, აქაოდა, მე რატომ არ „გამქაჩე“ თარგამაძეზე უკეთო და ისეთები ეძახა მიშას პარლამენტში, გაგიჟებული და გაქცეული საააკაშვილი ამერიკის ელჩმა ძლივს შემოიტყუა სხდომათა დარბაზში, — სულ „გამო, გამო, გიშერა“ ეძახა!..**

ეგ კი არა, „ნაცმოძრაობის სარეცელში“ თურმე „პირველი არხის“ საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი — **ხათუნა ბერძენიშვილიც** არ არის უცხო, ძალიან ცუდ რამეებს ლაპარაკობენ მასზე, — მაისის აქციების დროს თავის ჟურნალისტებს პირდაპირ ავალებდა, მომიტინგეებს უხეშად მოეპყარით, წელში შეუვარდით, იქნებ წამოიკიდოთ, პროვოკაციაზე წამოაგოთ და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა ზონდერებმაო!..

საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიანი ქრონიკები ამ ავადსახსენებელი და ცოცხლადმკვდარი ტელევიზიის კიბეზე გაიჭედა. ეს ხომ ის ტელევიზიაა, რომელიც ჯერ კომუნისტებმა „ქაჩეს“ და „წელეს“, მერე ავადსახსენებელმა კიტოვანმა „გაქაჩა“ თავის „სარეცელში“, მერე შევარდნაძემ „გაჭიმა“ და სულ ბოლოს საააკაშვილმა გააბახა. ამ ტელევიზიამ მოწამლა საქართველოს მოსახლეობა, ეს ტელევიზია აფრქვევდა შხამსა და გესლს, ამ ტელევიზიით გადაიცემოდა უბინძურესი პროგრამა „საღამო მშვიდობისა“, რომელმაც დიდწილად განაპირობა აფხაზეთის ტრაგედია და, რაც ყველაზე მთავარია, **ეს არის დინოზავრების ეპოქაში ჩარჩენილი ტელევიზია, რომლის თითქმის ყველა ჟურნალისტი თუ მაღალი იერარქი მიხეილ-პროკრუსტეს „სარეცელშია“ ნამყოფი.**

**ეს არის უნიჭოთა და მიცვალებულთა ტელევიზია, რომლის ტრანსლაციის ხარისხი იმდენად ცუდია, რომ ამ არხის ცქერა მხედველობისთვის მავნეა — ჯერ თვალსა ტკენს, მერმე — სულსა!..**

ვერც ლევან გახელაძეს უქებენ სახელს, ხოლო რაც შეეხება დავით პაიჭაძეს, ანუ „პაჭანიკს“, გახსოვთ, ალბათ, მან და გიგა ბოკერიამ ჯერ კიდევ იმ დროს დაიმკვიდრეს მიშას „პრუჟინიან სარეცელში“ „საპატიო“ ადგილები, როცა ჯიბეებში ქვებჩაწყობილები მამა ბასილის (მკალავიშვილი) მრევლს დასდევდნენ და გლდანსა და დანარჩენ საქართველოში თავიანთი ღმერთის — იეღოვას იდეებს ავრცელებდნენ!..

**იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, — პაიჭაძე უნიჭო და მუცელღმერთა ტელევიზიის — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ერთ-ერთ „სახედ“ მოგვევლინა... დღეს ის ქვებს ჯიბით აღარ დაატარებს და თავი, ვოლტერი თუ არა, პრუდონი მაინც ჰგონია, ხოლო ბოკერია საააკაშვილის სექტის მთავარ იდეოლოგად და გებელსად გამოგვეცხადა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გებელსის ცოლს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუბედავდნენ, მაგალითად, ჰიმლერი, კალტენბრუნერი ან თუნდაც მიულერი და გერინგი იმას, რომ ქორწილში ამდგარიყვნენ და მისთვის ძუძუებში ჩაერგოთ თავი!..**

მიხეილ-პროკრუსტემ თავისი სექტა სწორედაც რომ „სარეცელში“ ჩამოაყალიბა და შექმნა — ზოგს ენა მოაჭრა, რათა ბევრი არ ელაპარაკა და უსიტყვოდ შეესრულებინა შეფის ბრძანება; ზოგს — ხელები, რათა უმისჟამისოდ სადმე რაიმე არ მოეჩხრიკა და უადგილო ადგილას ხელები არ ეფათურებინა; ზოგს ძუძუ მოაღეჭა, რითაც მშვენიერი მსხვერპლი, თავისი ჭკუით, სამუდამოდ „დაიბევა“, ზოგს ფეხები წასხიპა, ვერსად რომ ვერ გაქცეულიყო; ზოგს გული ამოაცალა, რათა 7 ნოემბერს და 26 მაისს მშვიდობიანი ქართველების წინააღმდეგ მიქსეულს სიბრალულის განცდა არ დაუფლებოდა, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, **სინდის-ნამუსი ვერავის წაჰგვარა და მოჰკვეთა, რადგან მიხეილ-პროკრუსტეს „სარეცელში“ „გაჭიმულ-დაჭმუჭნულთაგან“, არც სინდისი გააჩნდა ვინმეს და არც ნამუსი!..**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცნობილია, რომ პროკრუსტე ათენელმა გმირმა — თეზევსმა განგმირა და თავისსავე სარეცელში ამოჰხადა სული!..

აი, მიშას „სარეცლის“ უკანასკნელი მსხვერპლი ვინ იქნება, არ ვიცი, რადგან **დიდია იმის ალბათობა, რომ დამარცხებული საააკაშვილი საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ „სარეცელზე“ კი არა, „სტანოკზე“ „გაჭიმოს“!..**

იყო ასეთი კაცი საქართველოს ისტორიაში — დომენტი კათალიკოსი — ვახტანგ მეექვსის ძმა, რომელიც ისე იყო მეფობის სურვილით აცუნდრუკებული, რომ პატრიარქის ანაფორა გაიხადა, ქალებს დაერია და ცოლიც შეირთო, მაგრამ საქმეში ვერაფერს გახდა!.. საააკაშვილმა, იმისათვის, რომ თავისი ტახტი გაემყარებინა, ყველაფერი პირუკუ გააკეთა: ჯერ დაერია კაცებს — ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი მოიშორა, ხოლო მერე დაერია ქალებს!..

**დომენტი კათალიკოსს იმის ზრდილობა მაინც ეყო, ჯერ ანაფორა გაეხადა და ქალებისთვის მერე დაეწყო ჩხიკინი, რასაც საააკაშვილზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რადგან, მიშა თავშივე რომ გატიტვლებულიყო და ისე ელაპარაკა ტელეკამერების წინ, არც მაგის ატეხილ ომს „ვჭამდით“, არც საჯიშე ბიჭებს დავკარგავდით და საქართველოც 150 სოფლით უფრო მდიდარი და წელმაგარი იქნებოდა!..**

**პროკრუსტე ყაჩაღი იყო, მიშაც ყაჩაღია!..**

პროკრუსტეს სისხლი უყვარდა, საააკაშვილიც ისეა სისხლში ამოვლებული, როგორც, მაპატიეთ ამ ცუდი შედარებისთვის, ძაფზე აცმული მოხალული თხილი ფელამუშში!..

უამრავი მსგავსების მიუხედავად, საააკაშვილსა და პროკრუსტეს შორის განსხვავება მაინც ძალიან დიდია, — **არა მგონია, პროკრუსტეს იმდენი ხალხი დაეყაჩაღებინოს და „მიეჭიმ-მოეჭიმოს“, რამდენიც მიშამ დახოცა და „მიჭიმ-მოჭიმა“!..**

პროკრუსტეს საკუთარსავე სარეცელზე მოეღო ბოლო, როგორც ჩანს, **არც მიშას ასცდება საკუთარი სარეცლის სტანდარტების შესაბამისად გასხეპვა.** მიშას სარეცლის სტანდარტები კი ცნობილია — „ნულოვანი ტოლერანტობა, არავითარი დანდობა, ყველანი ციხეში“!

**ლუკა აბუსერიძე**

მოვლენა

## ბაჩო ახალაია უარს აცხადებს

**ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები ნაფიცი მსაჯულების მიერ მათი საქმის განხილვაზე უარს აცხადებენ.**

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წინასასამართლო სხდომაზე, სადაც ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძისა და მათთან ერთად ბრალდებული 6 პირის საქმე განიხილება, მოსამართლემ განმარტა, რომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების თანახმად, ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში, საჯარო მოხელეების საქმეებს განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები.

მოსამართლე ეკა არეშიძემ ბრალდებულებს განუმარტა ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს წესები, თუმცა ბრალდებულებმა უარი თქვეს მათი საქმის ნაფიცი მსაჯულების პირობებში განხილვაზე. ამასთან, ბრალდების მხარემ დღეს უსაფუძვლოდ მიიჩნია დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდებულების სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.



**სააკაშვილმა ივანიშვილისგან (!) მოითხოვა: ქვეყანაში იყოს დიქტატისგან თავისუფალი სასამართლო(!), შეწყდეს ყველანაირი ზეწოლა მედიაზე(!), მასობრივი დევნა და შევიწროება „იმ ნიშნით, რომ ისინი არიან პოლიტიკური პარტიის წევრები“! ერთი სიტყვით, სასამართლოც და მედიაც კვლავ მისი გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს, ხოლო „ნაცმოძრაობის“ წევრებს პასუხი არაფერზე უნდა მოეთხოვოს!**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეხვედრა წარსულთან, ანუ კოაბიტაცია განაყოფიერების გარეშე

**პრეზიდენტისა და პრემიერის 4 მარტის შეხვედრამდე სააკაშვილის მომხრეებმა სოციალურ ქსელებში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს თავის ერთ-ერთ რეზიდენციაში — სახელმწიფო კანცელარიაში მიიღებს. „ნაცმოძრაობის“ მომხრეები რომ ნელ-ნელა სექტად ყალიბდებიან, ეს ნათელია; მხოლოდ სექტანტს შეუძლია, ასეთი ტექსტი გამოაცხოს, ოღონდ არ დაუშვას, რომ სწორედ პრეზიდენტი მიდის პრემიერთან მიღებაზე!**




ხაზგასმა, რომ პრეზიდენტი ელექტრომობილით მივიდა, იმავე რეპერტუარიდანაა: 7-მანქანიანი ესკორტი ხომ კიდევ ერთხელ ადასტურებს სააკაშვილის მორიგ სიცრუეს, თითქოს უკვე ერთი კვირაა, დაცვის გარეშე გადაადგილდება! **ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრიდან გამოსულ სააკაშვილს აშკარად ნირი ჰქონდა წამხდარი. სიტყვას „საინტერესოა“ იგი სწორედ მაშინ იყენებს, როცა დაბნეულია, თუმცა მერე და მერე, ლაპარაკისას ეშხში შედის და აკონკრეტებს, რას ნიშნავს ეს „საინტერესო“ — „რომ არის ფუნდამენტური განსხვავები მათ ხედვაში და ამას არც ერთი არ მალავს“.**

მიხეილს თურმე სიამოვნებს, რომ იყოს შესაძლებლობა, პრემიერთან საუბრები ჰქონდეს გახსნილად და არა „ფეისბუქის“ და ტელეკამერების საშუალებით. რაც შეეხება კონკრეტულ თემებს, მან პრემიერს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, თუ როგორ ხედავს **„თანამშრომლობის შესაძლებლობას საქართველოში“. ცხადია, სააკაშვილს კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ საკუთარი გუნდის ხელშეუხებლობას ითხოვდა პრემიერისგან, მხოლოდ მიანიშნა, რომ „აქ არის რამდენიმე ასპექტი“.**

მერე კი აშკარად აწუწუნდა: **„მე, როგორც პრეზიდენტი, ვარ საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობაში ჩემთვის. ბოლო წლებში შეჩვეული ვარ ყოველ დილით გაღვიძებას, ხალხმრავალ განხილვებს, შეხვედრებს, ახალი ობიექტების გახსნას. თქვენ ხედავთ, რომ ჩემი დღეები ამ გრაფიკისგან მთლიანად დაცლილია, თუ არ ჩავთვლით, რომ თეატრს ვხსნი ერთ საათში და ეს არის ჩემს საპრეზიდენტო ვადაში ჩემი საბოლოო საჩუქარი ბათუმისთვის“.**

ერთი სიტყვით, სათამაშოები ჩამოართვეს და მოიწყინა...

**„უმოქმედობა ჩემთვის მძიმე ტვირთია. რომ გითხრათ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ ამ თანამდებობაზე თავს დღევანდელ ვითარებაში, ეს იქნებოდა სიცრუე და ამას ნამდვილად არ გაკადრებთ** (ჯერაც არ უკადრებია! — თ.დ.). **ამიტომ, ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვრჩები პრეზიდენტის თანამდებობაზე, არის ის, რომ დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში და შევქმნათ რაღაც შესაძლებლობა მაინც საკონსტიტუციო სტაბილურობის“.**

სააკაშვილმა შესანიშნავად უწყის, რომ მისი ამგვარი განცხადებების აღარავის სჯერა და თავს იკატუნებს: **„ამიტომ ყოველგვარი სპეკულაცია, რომ შეიძლება გამოვიყენო პრეზიდენტის უფლებამოსილება და დავითხოვო მთავრობა ან პარლამენტი, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს. ეს მთავრობა აირჩია ქართველმა ხალხმა. ჯერ კიდევ მოკლე პერიოდია იმისთვის, რომ მისი სრულფასოვანი და ადეკვატური შეფასება მოხდეს ან ჩემ მიერ, ან ხალხის მიერ, რომელმაც აირჩია. ამგვარად, ლაპარაკი, რომ ასეთი განზრახვა შეიძლება დაიბადოს, უნდა გამოირიცხოს“.**

დედა არ დაუფიცია, მაგრამ სხვა მხრივ პირობა დადო, რომ არავის მოხსნის, შემდეგ კი ჩვეული უტიფრობით დასძინა: **„მე ვარ მათ მხარეს, მიუხედავად იმისა, მომწონს ეს მინისტრი თუ არა, ან ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს თუ – არა. მთავრობას შეუძლია წყნარად იყოს. არავინ არავის არ ითხოვს. არავის არ ვხსნი, თუმცა შეიძლება აქ ბევრი დარღვევაა და ბევრი გაუგებრობა, მაგრამ ნამდვილად არ მინდა ვინმეს ვათქმევინო, რომ ახლა კარგი რამის გაკეთება უნდოდათ და ხელი შეუშალეს. ნეტავი კარგი გააკეთონ. მხოლოდ მივესალმები, ორი ხელით ვარ ამის მომხრე“.**

ასე და ამგვარად, სააკაშვილი ცდილობს, დაარწმუნოს ივანიშვილი, რომ რაიმე საფრთხე მისგან არ ელოდება, თუმცა სიტყვა ისევ გაურბის და აცხადებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაცია და პოლიტიკური კრიზისის ნიშნებია. **„ყველაზე ნაკლებად ახლა ჩვენ პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება გვჭირდება. დღეს ყველაფერზე ვერ შევთანხმდებოდით, რადგან ჩვენი მსოფლმხედველობები განსხვავდება, მაგრამ ორივე შევთახმდით იმაზე, რომ ჩვენ, ყველანი საქართველოს შვილები ვართ, რომ საქართველოს უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ქართველ ხალხს სჭირდება სიმშვიდე და სტაბილურობა და გარანტიები გრძელვადიანი განვითარების. არც ერთ მხარეს არ გვინდა გართულება“.**

ერთი სიტყვით, მიშა შეეცადა, საკუთარ „გაგორებულ ფალავანზე“ მოერგო ფორმულა — „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე — ვენეციელი,“ მაგრამ მისი დაბოლოება — „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“ — ივანიშვილმა ჩანასახშივე მოუსპო, თუმცა ამაზე — ქვემოთ!

აი, ამის შემდეგ კი იწყება ის, რაზეც შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრი განაცხადებს, რომ „საუბარი იყო — ჩემი შენ გითხარიიო“... კერძოდ, **სააკაშვილმა ივანიშვილისგან (!) მოითხოვა: ქვეყანაში იყოს დიქტატისგან თავისუფალი სასამართლო(!), შეწყდეს ყველანაირი ზეწოლა მედიაზე(!), მასობრივი დევნა და შევიწროება „იმ ნიშნით, რომ ისინი არიან პოლიტიკური პარტიის წევრები“! ერთი სიტყვით, სასამართლოც და მედიაც კვლავ მისი გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს, ხოლო „ნაცმოძრაობის“ წევრებს პასუხი არაფერზე უნდა მოეთხოვოს!**

თუ საქართველოში ვინმეს კიდევ სჯერა, რომ **„სასამართლო ბუნებრივად ვერ იქნება ჩემი** (სააკაშვილის. — თ.დ.) **დიქტატის ქვეშ“,** ის იმავე სექტის წევრი უნდა იყოს, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მედიის თავისუფლებაზე სიტყვასაც არ დავასველებ, მისი ეს ტირადა მისსავე მომხრეებსაც აღარ სჯერათ! **ეჰ, დროებას რა ვუთხარი, თორემ მიშას ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ რა ათქმევინებდა ისეთ „მარგალიტს“, როგორიცაა: „ქვეყანაში უნდა იყოს ალტერნატიული აზრი და ოპოზიცია“!**

ბაქოში ნაჭამი სირცხვილის შემდეგ სააკაშვილი აქეთ იშვერს ხელს და აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკურ საკითხებში გარკვეული პრობლემატური თემები შეიქმნა, თუმცა დიდსულოვნად სთავაზობს ახალ მთავრობას საკუთარ დახმარებას: **„კი არ დავცხოთ ერთმანეთს. მე შემიძლია გამოვიდე და ვთქვა, ნახეთ, როგორ გააფუჭეს ყველაფერი ჩვენს პარტნიორებთან. რა თქმა უნდა, ამას არ ვიტყვით. მე არ მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი შიდაპოლიტიკური დებატების ფორმა უნდა იყოს. მეც მოვუწოდებ პრემიერს, რომ ამ თემაზე ჩვენი განსხვავებები საერთოდ არ უნდა განივიხილოთ საჯაროდ, რადგან თუ ჩვენ ერთმანეთს დავცხეთ საგარეო პოლიტიკურ თემებზე, ამით მხოლოდ ერთი ვიღაც იხეირებს და ეს არ არის ჩვენი ინტერესები“.**

დაცხებდა, აბა რას იზამდა, მაგრამ დღეს **„ის მიშა აღარ არის“** და **არც ბიძინა ივანიშვილია ის კაცი, მაგას დააცხებინოს!** მთელ მის ამ მცდელობებს პრემიერმა მოურიდებლად გადაუსვა ხაზი და მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას „შეხვედრას შეხვედრისთვის“ უწოდა. **„ჩემი სურვილია, რომ მათ მოახერხონ და დარჩნენ ღირსეული წევრები საზოგადოების, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ზოგიერთ მათგანს კანონი აქვს დარღვეული. მხოლოდ ეს იყო მიზანი ჩემი შეხვედრის“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა რამდენჯერმე შეახსენა სააკაშვილს, რომ შეხვედრა მისი თხოვნით შედგა და კარგად უნდა ჩამოეყალიბებინა, რაც სურდა. **„მე შევახსენე საინტერესო საკითხები, შევახსენე ჩემი ბოლო წერილი, რაზეც პასუხი ვერ გასცა ამ დროის განმავლობაში. ამაზე მითხრა, ძალიან საინტერესო რამ, რომ ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. მერე დავუკონკრეტე — როგორ ჩვეულებრივად, მთავრობა შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს ან მოხსნას? მან მიპასუხა, რომ რამდენიმე მაგალითს მოიყვანდა, თუმცა ეს ვერ შეძლო და შემპირდა, რომ საჯარო განცხადებას გააკეთებდა. მან თქვა, რომ რამდენიმე ქვეყნის მაგალითს მოიყვანდა, თუმცა ვერც ერთი გაიხსენა, სადაც პრეზიდენტს ასეთი უფლებები ჰქონდეს“,** — არ შეუნახა სააკაშვილს ნამუსი პრემიერმა.

ივანიშვილმა სააკაშვილს კიდევ ერთი რამ შეახსენა (სერიიდან — „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“) — უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან და არ უნდა აკეთონ განცხადებები მხოლოდ ამერიკისთვის და ევროპისთვის. **„მე ვთხოვე და მოვუწოდე, რომ მათ ისაუბრონ ისე, რომ გასაგები და მისაღები იყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და ნუ რჩებიან ვირტუალურ სამყაროში. მან მიპასუხა, რომ ეს ჩემი აზრია და მას განსხვავებულად მიაჩნია“.**

სააკაშვილს „განსხვავებულად“ რომ მიაჩნია ყველაფერი, ეს კარგა ხანია, აღარ გვიკვირს. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ უკვირთ ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც საკუთარ ავანტიურისტულ განცხადებებში მოწმედ იყენებს. როგორც ჩანს, სწორედ მათ გასაგონად განაცხადა ივანიშვილმა: **„საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს აღნიშნული მიმართულებით, ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და უქმნის პრობლემებს ახალ ხელისუფლებას. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სახელით მათ ბოდიშს ვუხდი“.**

გლეხურ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ეს დიპლომატიურად გამოთქმული აზრი ასე გამოიყურება: **გიჟი თავისუფალია!**

ბიძინა ივანიშვილმა საგანგებოდ განმარტა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სააკაშვილი პირადი პასუხისმგებლობით მოქმედებს. **„ვინაიდან არც მომავალში ვართ დაზღვეული მსგავსი ინციდენტებისგან, მინდა, განვაცხადო, რომ საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბერში მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით. მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს, თუ ეს არ არის დადასტურებული ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ“.**

ძნელი სათქმელია, რა უნდა იყოს უფრო სამარცხვინო მოქმედი პრეზიდენტისთვის — როცა მას ტყუილში მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელობა ამხელს თუ საკუთარი ქვეყნის მთავრობა? ძალად თავსმოხვეული კოაბიტაცია ასეთი პრეზიდენტის შემთხვევაში არაფრის მომტანი რომ არ არის, ჩვენთვის ნათელია. ახლა მოთმინებით ველით, როდის მიხვდებიან ამას რიჩარდ ნორლანდი და სხვა წვრილ-წვრილი ნორლანდები.

ქართველი ამომრჩეველი კარგა ხანს ვერ ხვდებოდა, რაში დასჭირდათ „ოცნების“ დეპუტატებს ბუსუსებიან და ულვაშიან პრეზერვატივებზე მსჯელობა, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა მოუგვარებელი, მაგრამ ახლა ეს ნათლად გამოჩნდა; **კაცმა რომ თქვას, ძველი და ახალი ხელისუფლების კოაბიტაციისგან ნაყოფს არც არავინ ელოდა, ხოლო, როცა უნაყოფო კოაბიტაციას გაძალებენ, ერთი გზაღა დაგრჩენია: იგი უსაფრთხო მაინც უნდა იყოს, რომ თავი დაცულად იგრძნო!**

სასაცილოდ ქცეულ ვადაგასულ პრეზიდენტს მხოლოდ ამგვარი დაცვა არ აკმაყოფილებს, მას სრული და საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნილება აქვს, რომლის მისაღებად, სავარაუდოდ, არაფერზე დაიხევს უკან. თუმცა არც ივანიშვილია საბავშვო ბაღიდან მოსული და მიშას პირდაპირ აფრთხილებს: **„არანაირი არეულობა არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს ამის სურვილი აქვთ. არ მოხდება და ვერ მოახერხებს ვერავინ ქუჩაში დაპირისპირების გადატანას და საქართველოში არეულობის მოწყობას. მე ამის გარანტიას საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ ვაძლევ“.**

„ზოგიერთები“, „სხვა ასპექტები“, „გაუგებრობა“ — ეს მინიშნებები უნაყოფო კოაბიტაციის უსაფრთხო ვერსიას ასახავს, მაგრამ როგორც 4 მარტის შეხვედრამ გვიჩვენა, **ივანიშვილი სააკაშვილის ექსცენტრიულ ატრაქციონებზე ასვლას არ აპირებს, იგი თანმიმდევრულად და აუჩქარებლად აბრუნებს სააკაშვილს მის ორგანულ ნიშაში. ეს ნიშა კი მარგინალის თავშესაფარია.** რაც უფრო მალე მიხვდებიან გუშინდელი მმართველი გუნდის წარმომადგენლები, რომ ისევ იმ მარგინალურ ჯგუფად იქცნენ, რომელსაც 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალებამდე წარმოადგენდნენ, მით უფრო უმტკივნეულო და უსაფრთხო იქნება მათთვის კოაბიტაცია.

**თამარ დავითულიანი**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გაეროს მონაცემი არაა ზუსტი. ბევრად მძიმე და დამაფიქრებელია რეალური მდგომარეობა. ამიტომ მივმართავ ხელისუფლებას, ჩაიხედონ სათანადოდ ამ საკითხში და დაიწყონ დროულად ზომების მიღება, თორემ სულ რაღაც 20-30 წელიწადში ქართველი დასათვლელად იქნება დარჩენილი; ისიც საზღვარგარეთ. ეს არაა ჩემი ფანტაზია, ამას კონკრეტული ციფრები, გამოკვლევები პროგნოზირებს“.**

### ავთანდილ სულაბერიძე:

# 20-30 წელიწადში ეთნიკური ქართველები საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით!

**გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. ამის შესახებ წინა კვირას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა. აღნიშნული კვლევის თანახმად, 28-პროცენტიანი დემოგრაფიული კლება უშუალოდ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე მოდის, რის გამოც ამიერკავკასიაში, შესაძლოა, ბალანსი მნიშვნელოვნად დაირღვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2050 წლისთვის სომხური მოსახლეობის რიცხოვნობა 6 პროცენტით გაიზრდება, ხოლო აზერბაიჯანულის — 31 პროცენტით. ხუნდაძის თქმით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები დამაფიქრებელია და, თუ ეს პრობლემა დროულად არ მოგვარდა, ქართულ გენოფონდს სერიოზული საფრთხე შეექმნება.**
**რა განაპირობებს საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის კლებას და შესაძლებელია თუ არა დღესდღეობით ამ პროცესის შეჩერება — ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დემოგრაფი ავთანდილ სულაბერიძე.**



**— ბატონო ავთანდილ, გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა უმძიმესი იქნება. საუბარია მოსახლეობის 28 პროცენტით შემცირებაზე. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს სურათი?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, ისევე, როგორც ეკონომიკური, გარკვეულ ფუნდამენტურ კანონზომიერებებს ემყარება. ამას დემოგრაფიული გადასვლა ჰქვია და ეს ყველა სახელმწიფომ უნდა გაიაროს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ასევე, აქ არის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და ამ ასპექტში თუ განვიხილავთ, **საქართველოს დემოგრაფიაზე მოქმედებს ორივე — როგორც ფუნდამენტური, ისე ეს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, პრობლემა ძალიან მასშტაბური და სერიოზულია, ამიტომ სამუშაოც კოლოსალურად დიდია.**

გაერო რომ ახლა პროგნოზებს აკეთებს, ჩვენ ეს პროგნოზები დიდი ხნის წინ გავაკეთეთ, მაგრამ იმ გამოთქმისა არ იყოს, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, არავინ მოგვისმინა... რეალურად დღეს ჩვენ დავამთავრეთ მოსახლეობის აღწარმოების ე. წ. თანამედროვე ტიპი და დაიწყო უახლესი, რომელსაც ცივილიზებულ ტიპს ეძახიან. ახლა რა არის ეს: ამ ტიპისთვის დამახასიათებელია დაბალი შობადობა, ოჯახის ალტერნატიული ფორმების არსებობა (მაგალითად, თანაცხოვრება), მოკვდაობის ზრდა, განქორწინებათა მაღალი დონე, ქორწინებების გადაწევა ზედა ასაკობრივ ჯგუფებში (საქართველოში 27 წელს მიუახლოვდა ქალის ასაკი ქორწინებაში) და ა. შ. ეს ყველაფერი კი განაპირობა რამდენიმე მიზეზმა — ომმა, დევნილების გაჩენამ და, რა თქმა უნდა, სოციალურმა პრობლემებმა. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, **ჩვენთან დემოგრაფიულ რეგრესს აქვს რევოლუციური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირების ტემპი არის კატასტროფულად მაღალი.**

**— თუ შეიძლება დავაკონკრეტოთ: 28%-იანი შემცირება, რომელსაც გაერო პროგნოზირებს 2050 წლისთვის, რამდენად რეალურია?**

— სავსებით რეალურია, მაგრამ გაერო, როგორც წესი, მონაცემებს იღებს ოფიციალური წყაროებიდან. ძირითადად, ისინი ეყრდნობიან სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ მასალებს, რომლებიც, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ყოველთვის არის ხოლმე არაზუსტი. მაგალითად, ჩვენ გვყავს იურიდიული მოსახლეობა — 4 მილიონ 400 ათასი და ფაქტობრივი მოსახლეობა, რომელიც გამოკვლევებითა და შეფასებითი მაჩვენებლების შესაბამისად შეადგენს 3 მილიონ 700 ათასს. სხვაობა საკმაოდ დიდია, იმიტომ, რომ პირველ მაჩვენებელში შედის უცხოეთში წასული დევნილებიც. ამ დროს გაერომ სწორედ ის 4 მილიონ 400 ათასი აიღო და ამის საფუძველზე გააკეთა დასკვნა.

**— გინდათ, თქვათ, რომ რეალურად უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე გაეროს მონაცემშია ასახული?**

— ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა. მაგალითად, **ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ეს არარეალურია. მოსახლეობის მატება ხდება ორი ფაქტორით — ბუნებრივით ან მიგრაციით, საქართველოში კი ორივე მაჩვენებელი კლებისკენაა.** ასევე არასწორად ხდება გარდაცვლილთა დაფიქსირებაც, მაგრამ ეს არაა მარტო სტატისტიკის დეპარტამენტის ბრალი. **2004 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ პრაქტიკულად აკრძალა მიგრაციის აღრიცხვა, რამაც აბსოლუტურად თავდაყირა დააყენა ყველაფერი.** ახლა ესენი აჩვენებენ მთლიანად გასულთა და შემოსულთა რაოდენობას, რომელთა უმეტესობაც არის ვიზიტორი... აქ ცალკე უნდა გამოიყოს, სამი თვიდან ერთ წლამდე რამდენია გასული ან შემოსული და ერთ წელზე მეტით რამდენია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ, პირველი — სამი თვიდან ერთ წლამდე გასული არის დროებითი, ხოლო ერთ წელზე მეტი ხნით გასული — მუდმივი მიგრანტი. ეს აღარ მუშავდება.

**— რა მიზეზით გაუქმდა აღრიცხვა? რა განმარტებები გაკეთდა თავის დროზე?**

— არავითარი განმარტებები არ ყოფილა. მოხდა ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი, ფაქტობრივად, იქცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნამატად, ორგანიზაცია ჩაიგდო ხელში ვანო მერაბიშვილმა და ის იძლეოდა ინსტრუქციებს.

**— რა ინსტრუქციებს?**

— რომ დაეწერათ, თითქოს საქართველოში შემოდის მეტი, ვიდრე გადის. ამ მეთოდოლოგიით, ჩვენი მთავრობა და პრეზიდენტი არიან მიგრანტები. მაგალითად, 2005 წელს 75 ათასით მეტი შემომსვლელი აჩვენეს გამსვლელზე. ამ დროს პირიქით იყო, 30 ათასით მეტი გავიდა. ეს ყველაფერი ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ სააკაშვილს გაეკეთებინა პიარი, რეალური ციფრები კი მათ არ აინტერესებდათ. სხვათა შორის, გაეროს მონაცემზე რადგან ვსაუბრობთ, მათი გათვლებით, **2025 წლისთვის აქ მოსახლეობა 4 მილიონ 400 ათასიდან დავა 3 მილიონ 922 ათასამდე. ჩვენი შეფასებით, მოსახლეობის რიცხოვნობა ამ მაჩვენებელს 2003 წელს უკვე ჩამოცილდა. რეალურად აქ არის კატასტროფულად მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა და ნუ ვუყურებთ ამ გაეროს. ბევრად უარესადაა ჩვენი საქმე...**

**— იმავე მონაცემის თანახმად, რომელიც გაერომ დადო, მეზობელი სომხეთის მოსახლეობა 6%-ით, ხოლო აზერბაიჯანის 31%-ით გაიზრდება. რა აზრის ხართ ამაზე?**

— 1926 წელს ჩვენ პირველ ადგილზე ვიყავით კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით. დაახლოებით ნახევარი მილიონით აღვემატებოდით აზერბაიჯანელებს და მილიონ-ნახევრით — სომხებს. დღეს აზერბაიჯანის მოსახლეობა ჩვენზე ორჯერ მეტია და სომხებიც სადაცაა, გაგვისწრებენ. ესაა უბედურება; **ჩვენ ახლა პოზიციებს არამარტო პოლიტიკურად ვკარგავთ, დემოგრაფიულადაც, ფაქტობრივად, მომაკვდავი ერი გავხდით.** რა არის ამის მიზეზი, რა შეიძლება გაკეთდეს, არავის აინტერესებს...

შე დალოცვილის შვილო, ყველა ვაჭრობს რუსეთთან, შენ რა გამოხვედი ასეთი, რომ ამის გაგონებაც არ გინდა?! მე არ ვამბობ, რომ ევროპულ კურსზე უარი უნდა ვთქვათ, მაგრამ ქართველებმა ზომიერება არ ვიცით. **მიგრანტთა 70% რუსეთშია გადასული და ისინი ინახავენ აქ ოჯახებს. შეიძლება, ამას ანგარიში არ გაუწიო?!** ვიღაც იტყვის, ეს რუსეთუმეაო, არ აბატონო, მე მეცნიერი ვარ და ობიექტური შეფასება უნდა გავაკეთო. აპრილში მიწვეული ვარ მოსკოვში კონფერენციაზე. მოხსენებაც გაგზავნილი მაქვს და მელოდებიან, მაგრამ ვერ მივდივარ, იმიტომ, რომ ვიზის პრობლემაა. ყოველ წელს ასეა — მიწვევენ და ჩასვლას ვერ ვახერხებ. რატომ? იმიტომ, რომ ვიღაც ბრიყვმა მოიფიქრა, რუსეთი არის ჩვენი მტერი. გასაგებია, ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, მაგრამ ამის გამო სამეცნიერო წრეები ერთმანეთს მოსწყდნენ, შეიძლება?! ასე განვვითარდებით?! რუსეთში დღეს არანაკლები დემოგრაფიული სკოლაა, უფრო მეტი თუ არა, ვიდრე დასავლეთში. ასე რომ, თანამშრომლობა ჩვენ შორის უმაღლეს დონეზე უნდა იყოს...

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება არასწორ დემოგრაფიულ მონაცემებს აქვეყნებდა. ეს, ალბათ, გარკვეული მიზნით კეთდებოდა (ვთქვათ, საარჩევნო სიების გასაბერად), მაგრამ ამის მიღმა რეალურად რა კეთდებოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— აბსოლუტურად არაფერი, გარდა იმისა, რომ სანდრა რულოვსმა გაეროდან მოიპოვა დაფინანსება და ეწეოდა პიარს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. სხვა მიმართულებით, ვიმეორებ, სახელმწიფოს მხრიდან ძვრაც არ ყოფილა. ახლა მე მოვუმზადე პროექტი „ქართულ ოცნებას“, თუ რა უნდა გაკეთდეს და წარვუდგინე. ველოდები მათ რეაგირებას. ვფიქრობ, **პირველ რიგში, უნდა გამოცხადდეს დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დეკლარაცია (რასაც ჩინეთი აკეთებს) და ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს ეს საკითხი.** სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა დემოგრაფიული განვითარების ფონდი და მე ვიყავი პრეზენტაციაზე, რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაციების შექმნა მისასალმებელია, მაგრამ ჯამში ამით მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ; **ერთეული ფონდების ძალისხმევა არაა საკმარისი, აქ სახელმწიფოს დონეზე უნდა იყოს ჩართულობა.**

**— და რას აკეთებს დღეს სახელმწიფო ამ მიმართულებით?**

— მაგალითად, 20-დან 22 მილიონამდე ლარია საჭირო, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს 20-დან 30 ლარამდე მივცეთ. ვერ მოიძებნა ჯერჯერობით ბიუჯეტში ეს თანხა. ამით რის თქმა მინდა — არ არსებობს დღეს სახელმწიფო პოლიტიკა. ამასწინათ ისიც განაცხადეს, შესაბამისი პროგრამა არ გვაქვსო და მე ძალიან გული დამწყდა. არსებობს ეს პროგრამა, უბრალოდ, მას გამოყენება უნდა.

**— დასასრულს, ისევ გაეროს მონაცემზე გკითხავთ: თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, 2050 წლის შემდეგ, სავარაუდოდ, რა დემოგრაფიული სურათი შეიძლება გვექნეს?**

— არსებობდა ასეთი ერი — უბიხები. არსებობენ დღეს?! ან შუმერები ავიღოთ... ძალიან ბევრი ხალხი გადაშენდა. ასე რომ, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ რა შეიძლება იყოს საბოლოო შედეგი, გასაგებია; მით უფრო, გითხარით და კიდევ ვიმეორებ, **გაეროს მონაცემი არაა ზუსტი. ბევრად მძიმე და დამაფიქრებელია რეალური მდგომარეობა. ამიტომ მივმართავ ხელისუფლებას, ჩაიხედონ სათანადოდ ამ საკითხში და დაიწყონ დროულად ზომების მიღება, თორემ სულ რაღაც 20-30 წელიწადში ქართველი დასათვლელად იქნება დარჩენილი, ეთნიკური ქართველები საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით; ისიც საზღვარგარეთ. ეს არაა ჩემი ფანტაზია, ამას კონკრეტული ციფრები, გამოკვლევები პროგნოზირებს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ვინ შეუკვეთა ჟვანიას მკვლელობა?

**სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი, თბილისის პოლიციის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი, ბორის ივანოვი, ყოფილი პრემიერ მინისტრის, ზურაბ ჟვანიას, ბურუსით მოცულ მკვლელობაზე სკანდალურ განცხადებას აკეთებს.**

newsplus.ge-ს ინფორმაციით, ივანოვის თქმით, ჟვანიას მკვლელობა პირადად მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სინდისზეა.

**„ზურაბ ჟვანიას მკვლელობა პირადად მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სინდისზეა. აუცილებლად უნდა დასახელდეს ზურაბ ადეიშვილიც, რომელიც ბერია იყო კვადრატში და კუბში. თუმცა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის უშუალო დამკვეთი გახლდათ მიხეილ სააკაშვილი და მისი ნებართვისა და თანხმობის გარეშე ჟვანიას ლიკვიდაცია არ მოხდებოდა“,** — აცხადებს ივანოვი „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში.

მისივე თქმით, სააკაშვილს ჟვანიას მოცილება უნდოდა, რადგან იგი ნიჭიერი კაცი იყო და ეს ხელს არ აძლევდა.

**„ბევრი სიბინძურე თქვეს ჟვანიაზე, თუმცა ხალხმა სიმართლე გაიგო და ამ სიმართლეს ხელახალი გამოძიება განამტკიცებს“,** — დასძინა მან.



SOS

**„მდინარეებში, კაზრეთულასა და მაშავერაში, ერთ ლიტრ წყალში 1 გრამი სპილენძი, 0,5 გრამი თუთია და 0,7 გრამი კადმიუმია. ეს, იცით, რას ნიშნავს? ეს სასიკვდილო განაჩენია!“**




# სააკაშვილის პირადი «გოლდენ ქარდი» კაზრეთის მოსახლეობას წამლავს

## კაზრეთულასა და მაშავერაში ბაყაყიც აღარ ყიყინებს

**კაზრეთ-ბალიჭის მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი კუთხეა და იქ საკმაო რაოდენობის ოქროს მოიპოვებენ, სახარბიელო მდგომარეობაში ნამდვილად არ არის. ახალს ვერაფერს ვიტყვით იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ ოქროს გადამმუშავებელი ქარხნიდან გამოსული ბინძური მინარევები პირდაპირ მდინარეში ჩადის. ამ მიზეზით, მდინარე მაშავერაში ბაყაყიც აღარ ყიყინებს, რომ არაფერი ვთქვათ, უნიკალური თევზის გაწყვეტაზე.**



რამდენჯერ შევსწრებივარ ბაზარში, რომ უკითხავთ, კარტოფილი ბოლნისის ხომ არ არის, არ მოგვატყუოთ, ხომ იცით, მოწამლულია და ჭამა არ შეიძლებაო. არადა, ბოლნისში კარტოფილი და ლობიო მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია. დიდი ხანია, ეს საკითხები განხილვის საგანია, მაგრამ ჯერ პრობლემების მოსაგვარებლად არავის არაფერი გაუკეთებია. ხალხი ისევ ისე იწამლება ჰაერითაც, წყლითაც და კვარციტის ქარხანაში არსებული არასათანადო პირობებითაც.

იყო პერიოდი, როდესაც ონკოლოგიურ საავადმყოფოში ყველამ იცოდა, რომ კაზრეთელები დაუყოვნებლივ, ურიგოდ უნდა მიეღოთ. იყო ასეთი პერიოდი-თქო, იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ამ კუთხით რამე შეიცვალა ან პრობლემა მოგვარდა და დღეს კაზრეთ-ბალიჭში ადამიანები სისხლის გათეთრებით აღარ ავადდებიან. არა, უბრალოდ, „მადნეულის“ თემას „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ტაბუ დაადო და საკითხიც დაიხურა.

**2003 წლის რევოლუციის შემდეგ, ხალხის პროტესტის მიუხედავად, „მადნეულში“ ნიღბიანმა და ხელკეტიანმა სპეცნაზელებმა კობა ნაყოფია და მისი გუნდი შენობაში შეიყვანეს და დასვეს. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და, ხმის ამოღება კი არა, დაწუწუნებაც აღარავის გაუბედავს.**

საქართველოში კობა ნაყოფია კახა ბენდუქიძის წყალობით ჩამოვიდა. როცა კახა ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრი გახლდათ, სასწრაფოდ შეიცვალა კონტიტუციაში მუხლი, რომელიც აქციონერების საკუთრებას იცავდა და „მადნეულის“ წილის 97% გაიყიდა. რევოლუციამდე სახელწიფოს საკუთრებაში 51% ჰქონდა, დანარჩენი მუშა-მოსამსახურეებისა იყო. იმ პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოში მუშათა კლასს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, რომელიც მათ ინტერესებს იცავდა, თუნდაც იმ დონეზე, რომ, თუ საწარმოში დაავადდებოდნენ, თანხას მაინც გადაუხდიდნენ.

დღეს კი „მადნეულის“ თანამშრომლებს დირექტორი რაღაც ვირტუალური სამყაროდან მოსული ადამიანი ჰგონიათ. ის პირველად ტელევიზიით ნახეს, როცა შერონ სტოუნი ჩამოიყვანა.

**სამი წლის წინ მოსახლეობიდან სულ რაღაც ოთხ-ხუთ კილომეტრში, სოფელ ბალიჭის ტერიტორიაზე, „მადნეულმა“ ახალი, ღია კარიერი გადახსნა. ალბათ, იცით, ეს რასაც ნიშნავს! ეს არის მომწამვლელი, ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის სასიკვდილო!** მაგრამ ხალხი ამასაც აღარ ჩივის, ამბობენ, სამუშაო ადგილები გაჩნდებაო, მათ ის უფრო აწუხებთ, კარიერზე აფეთქებების დროს სახლებს ბზარები რომ უჩნდება და დიდხანს ველარ გაგვიძლებს ეს მამაპაპისეული სახლ-კარიო. მოსახლეობამ კომპენსაციაც მოითხოვა, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ თქვენი კომპენსაცია ის არის, რომ ქარხანაში ხართ დასაქმებულიო. ამას კიდევ რა უჭირს: **მას შემდეგ, რაც „მადნეულში“ ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, კობა ნაყოფიას თავკაცობით, ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში ასეთი წარწერა გაჩნდა: „მადნეულის“ დირექციას ეკრძალება მოქალაქეთა ყოველგვარი განცხადებების მიღება-განხილვა მატერიალური დახმარებებისა, ქველმოქმედებისა და სპონსორული საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით“.**

არადა, რეალურად სტატისტიკა კაზრეთში ასეთია: **ყოველი ათი ადამიანიდან ცხრა მძიმე ავადმყოფია.**

ზემოთ ჩამოთვლილ, მართლაცდა შემაშფოთებელ პრობლემათაგან ყველაზე საშინელება ის არის, რომ მოსახლეობა იმის შიშით, რომ უმუშევრები არ დარჩნენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავს. უფრო მეტიც, ისე არიან დაზაფრულები, რომ მათი უმრავლესობა ახლა აპირებს „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში გაწევრიანებას კობა ნაყოფიას გულის მოსაგებად.

**მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ წარმომადგენლებს გავსაუბრებოდით, ჩვენს შეკითხვებზე პასუხისგამცემი ადამიანი ვერ ვიპოვეთ, პასუხის გამცემ ადამიანებს თავად „მადნეულის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი ეკა ჯოჯუაც ეძებდა, მაგრამ ამაოდ...** ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ იქ არსებულ მდგომარეობასა და ვითარებაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის კათედრის გამგეს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, **ნოდარ ჩხუბიანიშვილს** გავსაუბრებოდით.

**— ბატონო ნოდარ, იცით თუ არა, რა ვითარებაა კაზრეთის ოქროს მომპოვებელ ქარხანაში?**

— ჩვენი კათედრა ამაზე მუშაობს, ვიცით, თუ რა ვითარებაა და რა დოზით მიმდინარეობს მდინარეებისა და ჰაერის დაბინძურება.

**საწარმოში არ გვიშვებენ, ისეთი დახურულია და გასაიდუმლოებულია ყველაფერი.** გვეუბნებიან, აქ ყველაფერი რიგზეა და წესების დაცვით მიმდინარეობს ოქროს წარმოება და დამუშავებაო.

**რამდენიმე წლის წინ სპეციალისტებმა შევძელით, წყლის სინჯები აგვეღო. აღმოჩნდა, რომ მდინარეებში, კაზრეთულასა და მაშავერაში, 1 ლიტრ წყალში ერთი გრამი სპილენძი, 0,5 გრამი თუთია და 0,7 გრამი კადმიუმია. ეს, იცით, რას ნიშნავს?! ეს სასიკვდილო განაჩენია! ახლა ჰაერი ვთქვათ — დარწმუნებული ვარ, იქაურ მოსახლეობას ფილტვები შავ დღეში ექნებათ.**

**— მდინარეში ვერცხლი არ ჩადის?**

— არა, ვერცხლი არ ჩადის. ისინი ძალიან ჭკვიანები არიან, ვერცხლი სპეციალურ ავზში ჩადის.

**— იქვე, კაზრეთთან ახლოს, სოფელია, რომელთანაც სულ რაღაც სამ-ოთხ კილომეტრში ახალი კარიერი გახსნეს, რამდენად საშიშია ეს მოსახლეობისთვის?**

— ყურმოკვრით გავიგეთ ამის თაობაზე, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი გავარკვიეთ, რადგან ძალიან გასაიდუმლოებული იყო. ესე იგი მაინც გაუხსნიათ ახალი კარიერი?!

**— ბატონო ნოდარ, რატომ არ გიშვებენ საწარმოში, იქნებ მუშაობენ სპეციალისტები, მაგრამ თქვენთვის არ არის ცნობილი ამის თაობაზე?**

— ბევრი სპეციალისტია დაინტერესებული „მადნეულით“, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იქ არავინ შესულა, არ ინტერესდებიან იმ პროექტებით, რომლებსაც მათ სპეციალისტები სთავაზობენ, თუმცა ამის მიზეზი, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ.

კარიერში მუშაობისას ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ექმნება, რადგან არემარეს აბინძურებს მძიმე ლითონები, როგორიცაა თუთია, სპილენძი, კადმიუმი. ჩვენი მიზანია მძიმე ლითონებისგან მდინარეების გასუფთავება.

— **მდინარეების დასუფთავება რთული და ძვირადღირებული პროცესია. რამდენიმე წლის წინ ამ მიზნით მილიონები გამოიყო, მაგრამ არაფერი გაკეთდა.**

— ისეთ საწარმოებს, როგორიც „მადნეულია“, აქვთ ვალდებულება და რეგლამენტი, მათ აუცილებლად, რკინის ფხვნილით კუდები უნდა დაამუშაონ, რომელიც კარიერებს მოჰყვება, თუმცა „მადნეულში“ ეს არ ხდება. წინათ აღნიშნული ფხვნილები რუსეთიდან ჩამოდიოდა და პროცესი უმტკივნეულოდ და სუფთად მიმდინარეობდა, თანაც ძვირიც არ ჯდებოდა.

**— სხვა ქვეყნებში, სადაც ოქროს მოიპოვებენ და მსგავსი კარიერები აქვთ, იქ როგორ ხდება? დავიჯერო, ყველგან წამლავენ ხალხს და მიწა-წყალს?**

— ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში გავრცელებული და აპრობირებული მეთოდია ელექტროდიალიზი, მემბრანული ტექნოლოგია, რისი გაკეთებაც მარტივად არის შესაძლებელი და შედარებით იაფიც ჯდება. ელექტროდიალიზით უნდა გაიწმინდოს მძიმე ლითონების ხსნარები და შემდეგ წარმოებას სუფთა სახით დაუბრუნდეს, ამავე დროს, ამით შესაძლებლობა გვეძლევა, გამოვყოთ მძიმე ლითონები და ფხვიერი გავხადოთ სპილენძი და თუთია.

მეცნიერებს ეს დამუშავებული გვაქვს, მაგრამ, როგორც გითხარით, საწარმოში შეღწევა ვერაფრით მოვახერხეთ. **მივმართეთ სამინისტროსაც, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც სამინისტროს წარმომადგენლები ახერხებდნენ იქ შეღწევას.** ქვეყანაში აღნიშნული საქმის ბევრი და კარგი სპეციალისტი გვყავს, მათ სხვისის დახმარების გარეშე შეუძლიათ პრობლემის მოგვარება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**P.S. თუ „მადნეულის“ ადმინისტრაცია მოახერხებს ისეთი თანამშრომლის პოვნას, რომელსაც კოლოსალური ხელფასი აქვს, თანაც კომპეტენტურია და ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხებს, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მზად არის, მკითხველს მისი პოზიციაც გააცნოს.**

მოკლედ

## ცხენი — საკანალიზაციო ჭაში

**მაშველებმა ისანი-სამგორის რაიონში საკანალიზაციო ჭიდან ცხენი ამოიყვანეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ივერონს“ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მორიგემ მიაწოდა.** მისი თქმით, შემთხვევა ისანი-სამგორის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მოხდა.

**„ცხენს საკანალიზაციო ჭაში ფეხი ჩაუვარდა და ჩავარდა, პატრონი კი ვერ ახერხებდა მის ამოყვანას, ცხენის ამოყვანაში პატრონს სამაშველო სამსახურის თანამშრომლები დაეხმარნენ“,** — განუცხადა „ივერონს“ მორიგემ.

მაშველების დახმარებით, ცხენი და მისი პატრონიც უვნებლები გადარჩნენ.

## სააკაშვილის 30 მხარდამჭერი

**პრეზიდენტის რეზიდენციასთან „პატრიოტების“ ორგანიზებით მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციაზე 30-მდე ადამიანი შეიკრიბა. მათ სურდათ პრეზიდენტის რეზიდენციის გარშემო ცოცხალი ჯაჭვის გაკეთება, მაგრამ აქციის მონაწილეების სიმცირის გამო ვერ შეძლეს.**

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნატალია ებრალიძემ განაცხადა, აქცია მშვიდობიანი ხასიათისაა და ის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ტარდება. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, გიორგი მაზმანიანის, განცხადებით, პრეზიდენტის ინსტიტუტის მხარდაჭერა აუცილებელია.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პრეზიდენტმა უნდა შეძლოს გამოსავლის პოვნა კრიზისული ვითარებიდან. იგი უნდა იყოს ერთგვარი არბიტრი, რათა არ მოხდეს ხელისუფლების უზურპირება. ამას კი დიდი ცხოვრებისეული თუ პოლიტიკური გამოცდილება სჭირდება, რაც დროთა განმავლობაში მოდის“.



# ვახტანგ ხმალაძე: მომავალი პრეზიდენტი დაღვინებული ასაკის რომ იყოს, აჯობებს

**„საქართველო და მსოფლიოს“ კითხვებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ უპასუხა.**

**— რა უნდა იყოს ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მომავალი პრეზიდენტი?**

— ჩემი აზრით, ჩვენთან არჩევნები უნდა იყოს არაპირდაპირი. ჩვენი პარლამენტის წევრებს უნდა დაემატოს საქართველოს მხარეებში შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეული დელეგატები და მათ ერთობლივად უნდა აირჩიონ პრეზიდენტი, მაგრამ **იმის გამო, რომ ჩვენთან ჯერ ეს ცვლილებები მიღებული არ არის, არ არის მიღებული კანონი იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება საქართველოში ტერიტორიული მოწყობა, არ არის შექმნილი სამხარეო წარმომადგენლობითი ორგანოები, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარდება.** ხოლო შემდგომ, ანუ ხუთი წლის შემდეგ კი — იმის მიხედვით, როგორადაც კონსტიტუციაში ჩაიწერება. კიდევ ვიმეორებ: მე პირადად მხარს დავუჭერდი არაპირდაპირი წესით არჩევნებს.

ახლა რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომელთაც მომავალი პრეზიდენტი უნდა აკმაყოფილებდეს. ჩემი აზრით, რასაკვირველია, მისი პოლიტიკური წარსული მოახდენს გავლენას მის წარმატებაზე არჩევნებში. მეტიც, მისი წარსული იმაზეც მოახდენს გავლენას, საერთოდ წარადგენენ თუ არა ამ ადამიანს პრეზიდენტობის კანდიდატად, რადგან ყველა პარტიასა თუ კოალიციას ენდომება, დაასახელოს ისეთი კანდიდატი, რომელსაც გამარჯვების მაქსიმალური შანსი და მხარდაჭერა ექნება. მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ ვინ იქნება ამ კანდიდატის წარმდგენი პარტია. ასე რომ, წარსულს გავლენა აქვს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებაზეც და მის არჩევნებში გამარჯვებაზეც.

**— ანუ რა უნდა გავითვალისწინოთ მომავალი პრეზიდენტის არჩევისას?**

— ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მისი ასაკი, მისი პოლიტიკური წარსული, მრწამსი, გამოცდილება. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ფუნქციის განხორციელება ეკისრება პრეზიდენტს. საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად გაწონასწორებულია ეს პიროვნება, ხომ არ არის იგი აფექტური, რამდენად თანმიმდევრულია თავის მოქმედებებში და ა.შ.

რაც შეეხება ასაკს, **მთავრობის მეთაური და მთავარსარდალი შეიძლება იყოს ახალგაზრდა ადამიანი, მაგრამ მისი თვისებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. პირველ რიგში, ამჟამინდელი პრეზიდენტისგან განსხვავებით, არ უნდა ცვლიდეს კონსტიტუციას თავისი სურვილის მიხედვით.**

ამ ცვლილებების გამო საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა, რომელიც, საბედნიეროდ, მთლად დიქტატურაში არ გადაიზარდა. მომავალ პრეზიდენტთან დაკავშირებით, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა დაინახოს ყველა ის ხარვეზი, რომლებიც ამჟამინდელ პრეზიდენტთან მიმართებაში ვერ დაინახა. პრეზიდენტმა უნდა შეძლოს გამოსავლის პოვნა კრიზისული ვითარებიდან. იგი უნდა იყოს ერთგვარი არბიტრი, რათა არ მოხდეს ხელისუფლების უზურპირება. ამას კი დიდი ცხოვრებისეული თუ პოლიტიკური გამოცდილება სჭირდება, რაც დროთა განმავლობაში მოდის. მომავალი პრეზიდენტი დაღვინებული ასაკის რომ იყოს, აჯობებს.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის პრეროგატივა და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— ამ კითხვის დასმისას ისევ უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორი იქნება მმართველობის მოდელი. ეს უნდა იყოს მთელი ხელისუფლების პრიორიტეტი — პარლამენტისაც, მთავრობისაც და პრეზიდენტისაც. საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში დომინანტის ფუნქცია ეკისრება პრეზიდენტს. დღევანდელ სისტემაშიც პრეზიდენტს ეკისრება ეს ფუნქცია, რადგან ჩვენ სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გვაქვს. აქ პარლამენტზე ძალიან ცოტა რამ არის დამოკიდებული და, სანამ კონსტიტუცია არ შეიცვლება, ასეთი ვითარება გვექნება. მაგრამ, **საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში, უკვე ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.** პარლამენტის თანადგომითა და მხარდაჭერით, უკვე მთავრობამ უნდა იმოქმედოს ისე, რომ შეცვალოს არსებული რეალობა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან საკითხების მოგვარების პასუხისმგებლობა დაეკისრება მთავრობასა და პარლამენტს და ამას ხელი უნდა შეუწყოს პრეზიდენტმაც, თუმცა ძირითადი ბერკეტი მის ხელში არ იქნება.

**— ვინაიდან ამერიკის და ზოგადად დასავლეთის მიმართულებაზე მუშაობს ლამის მთელი სახელმწიფო აპარატი — სამინისტროები, კომიტეტები, პარლამენტი, პრემიერიც მეტწილად, კონფლიქტური რეგიონებისა და რუსეთის მიმართულება კი თითქმის არ არის წარმოდგენილი, ხომ არ იქნებოდა უპრიანი, რომ სწორედ პრეზიდენტს დაკისრებოდა ამ მიმართულებების კურირება და შესაბამისად — პასუხისმგებლობაც ჩიხში შესული ვითარების მკვდარი წერტილიდან დასაძრავად?**

— მოგახსენებთ. ეს არის დასავლური დემოკრატია. ხელისუფლება აუცილებლად ერთად მუშაობს და ერთი მიმართულებით. არ შეიძლება იყოს სხვაგვარად. თუ ხელისუფლების სხვადასხვა განშტოება დაიწყებს სხვადასხვა მიმართულებით გაწევას, ამით საქმე წინ ვერ წავა, იქნება „Лебедь, рак да щука“-ს მდგომარეობა, ამიტომ კიდევ ვამბობ, რომ ჩვენი კურსი დასავლური დემოკრატიისა იქნება შეუცვლელი. მაგრამ, გარდა ამისა, **ჩვენ გვყავს მეზობლები. მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, მათთან ნორმალური ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ და არა ომი. მგონი იმის ილუზია არავის აქვს, რომ რუსეთთან ომი უნდა ვაწარმოოთ. ომით ჩვენ რუსეთს ვერ მოვერევით. უნდა ვეცადოთ, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაუმჯობესოთ რუსეთთან ურთიერთობა. რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსეთს — მხოლოდ რუსეთის ფაქტორი არ არის აქ მნიშვნელოვანი. ჩემი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზება აფხაზებთან და ოსებთან. თუ ჩვენ — ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები მოვინდომებთ ერთად ყოფნას, მაშინ ვერავინ ვეღარ შეგვიშლის ხელს.**

**— რამდენად დამაკმაყოფილებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სტატუსი კონფლიქტურ რეგიონებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების საწარმოებლად და საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი მთავრობის მუშაობა ყველა ამ ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— არა, ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, საკითხი ჯერ უნდა მომზადდეს სათანადო დონეზე და ეს უბრალო ხალხით უნდა დაიწყოს — აფხაზებით, ოსებით, ქართველებით...

ეს კი ხანგრძლივი პროცესი იქნება. არავის ეგონოს, ერთ დღეს გაიღვიძებს და ყველაფერი უცებ მოგვარებული დახვდება. ამას ჭირდება შრომა, დრო და დიდი ძალისხმევა.

ესაუბრა
**ეკა კახაძე**



# მერაბ შათირიშვილი: «ნაცმოძრაობა» პოლიტიკური ველიდან უნდა გაძევდეს

**„ნაცმოძრაობა“ გამალებულ წინასამიტინგო სამზადისშია. ექსპერტები უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიცია 19 აპრილს ხელისუფლებისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას გეგმავს. როგორც ჩანს, სააკაშვილი ძალაუფლების მადამ შეაწუხა და რევოლუციის მოზღვავებულმა ნოსტალგიამაც შეიპყრო, მით უფრო მას ამისთვის ჯერ კიდევ საკმარისი ეკონომიკური ბერკეტები გააჩნია; ნაწილობრივ — პოლიტიკურიც. 19 აპრილამდე უმცირესობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, სავარაუდოდ, რამდენიმე მცირე აქციას გამართავს. აქცენტი კი, ძირითადად, სოციალურ საკითხებზე გაკეთდება. გზავნილი, როგორც ოპონენტების, ისე საზოგადოებისადმი, ერთია — „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხებას არ ურიგდება... რა საფრთხეები არსებობს რეალურად და მოსალოდნელია თუ არა, რომ საპარლამენტო ოპოზიცია, 8 თებერვლის მსგავსად, პროვოკაციაზე წავიდეს — ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, „ნაცმოძრაობის“ პათოსიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, 19 აპრილს, შესაძლოა, სააკაშვილის მეორედ მოსვლა ვიხილოთ. არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია, მაგრამ, 8 თებერვალს ნამდვილად პროვოკაციის მოწმენი ვიყავით. ამჯერად რა მოლოდინი გაქვთ? რა შეიძლება მოხდეს?**

— არა მგონია, ქართველი ხალხი ისეთი გულუბრყვილო და გულმავიწყი იყოს, რომ, რაც უნდა უკმაყოფილო იყოს ახალი ხელისუფლებისა, „ნაციონალური მოძრაობის“ დაძახილზე გამოვიდეს. არ მოხდება ეს. **სააკაშვილს არ მიეცემა კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საშუალება, როგორც 2003-ში მოხდა. არადა, მას ამის სურვილი აქვს ნამდვილად. ღმერთმა ნუ ქნას!**

**— რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა დაცვა მოიხსნა და ახლა ის საკუთარი მანქანით გადაადგილდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება ეს მივიჩნიოთ პროვოკაციის წინაპირობად?**

— სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. პროვოკაცია მას სისხლში აქვს. ეს დაცვის მოხსნაც პროვოკაციაა. მათ აქვთ ერთადერთი გეგმა, რომ ჩაშალონ ხელისუფლების ყველა მცდელობა, რასაც შეიძლება, რამე დადებითი შედეგი მოჰყვეს ქვეყნისთვის. **19 აპრილს ესენი შეეცდებიან ორი კურდღლის დაჭერას: ერთი — მოსინჯონ, რამდენად შეძლეს არჩევნების შემდეგ რეიტინგის ამაღლება, და მეორე — რამდენად ეფექტიანია მათ მიერ არჩეული გზა.** მე ვგულისხმობ დესტრუქციასა და იმ გაუთავებელ პროვოკაციებს, რომლებსაც ესენი მუდმივად აწყობენ. ამ თვალსაზრისით, 19 აპრილი არის გადამწყვეტი და ჩვენ, ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გავდივართ...

**„ქართული ოცნების“ კრედოა, ყველა პარტიამ თავისი როლი შეასრულოს ქვეყნის პოლიტიკურ ველზე.** ცხადია, ჭეშმარიტი დემოკრატია სწორედ ამას გულისხმობს, მაგრამ, ჩემის აზრით, და ამას ხმამაღლა ვამბობ, პოლიტიკური ველიდან „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გაძევდს. ამ პარტიის დანაშაულის ტოლფასია...

**— წინა კვირას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა, რომ იზიარებს საზოგადოებაში არსებულ შეხედულებას „ნაციონალური მოძრაობის“ კანონგარეშე გამოცხადებასთან დაკავშირებით. რა აზრის ხართ ამაზე?**

— „ნაციონალური მოძრაობა“, დამერწმუნეთ, საკუთარი თავის ლიკვიდაციას თვითონვე მოახდენს. ეს დრო შორს არაა, მაგრამ, თუკი ხელისუფლება საზოგადოებას მიუშვებს, ამას უკვე მათი ფიზიკური ლიკვიდაცია მოჰყვება. ახლა მთავრობის ამოცანა უნდა იყოს და არის მოჯადოებული წრიდან გამოსვლა, თუმცა, რა თქმა უნდა, კრიზისს ქმნიან „ნაციონალები“ და ამ კრიზისს თავი უნდა დავაღწიოთ, თორემ შედეგი იქნება იმაზე ბევრად მძიმე, ვიდრე სააკაშვილმა ცხრა წლის მანძილზე მოასწრო.

**— წინა კვირას სასამართლომ უგულავასთან დაკავშირებით პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტური იყო ეს გადაწყვეტილება?**

— რასაც სააკაშვილის „ნაციონალური სასამართლო“ ეწევა, ესაა ვირეშმაკობა და ადრე თუ გვიან მათ ამის გამო მოუწევთ კითხვებზე პასუხების გაცემა. უგულავასთვის მილიონი იმდენს ნიშნავს, რამდენსაც ჩვენთვის, ვთქვათ, ათი თეთრი...

**— ვარძელაშვილისთვის შეფარდებულ ღონისძიებაზე რა აზრის ხართ?**

— ამ ვარძელაშვილზე საერთოდ შეგვიძლია ცალკე ვილაპარაკოთ... ამასწინათ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველი უმძიმესი კადრები გავრცელდა და ეს ნაძირლები იძახიან, იარაღი ჰქონდათო. ვთქვათ, ასე იყო, თუ კი პოლიციელს ეს კანონიერ უფლებას აძლევს, ცეცხლი გახსნას და მოქალაქეები დახოცოს, მაშინ დაეხვრიტათ ვარძელაშვილიც, მასაც ხომ ჰქონდა უკანონოდ იარაღი?! თანაც ამ იარაღით კაცი მოკვდა... ამით რის თქმა მინდა: ცხადია, აქ არის შერჩევითი სამართალი, ისევ ამათი მოსამართლეებია და მათ ხელშია მთლიანად ეს სისტემა, მაგრამ მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, **ვერც გიგი უგულავა, ვერც კეზერაშვილი, ადეიშვილი და სხვები სამართლის რისხვას ვერ გაექცევიან. რა გადაწყვეტილებაც ახლა მიიღო მართლმსაჯულებამ, დროებითია.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„სანამ ადამიანებს არ დავიბრუნებთ, ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი უნდა დავივიწყოთ. ჩვენ გვჭირდება ძალიან გონივრული მოქმედება და ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩრდილოკავკასიელი ხალხები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ ერთმანეთზე, ამ კონფლიქტის მოგვარების დროს სერიოზული შუამავლები იქნებიან.“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დემურ გიორხელიძე: მომავალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს სხვის დაკრულზე მოცეკვავე, უპასუხისმგებლო, ქარიზმატული «ბალვანი»!

**რამდენიმე დღეა, ქართველების ჩრდილოკავკასიური ვიზიტი დასრულდა. ქართული დელეგაციის წარმომადგენელი დემურ გიორხელიძე აცხადებს, რომ ბოლო 22 წლის მანძილზე ეს ქართველების პირველი ორგანიზებული ვიზიტია ჩრდილოეთ კავკასიაში და იმედოვნებს, რომ ამიერიდან დიალოგი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან გაგრძელდება. ვიზიტის მიზნების, საკუთარი შთაბეჭდილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე ესაუბრა.**

— ჩვენი ვიზიტი ორგანიზებული იყო არაკომერციული პარტნიორობა Кавказское сотрудничество-ს ხელმძღვანელ ნიკოლაი სილაევის მიერ, რომელიც მოსკოვის საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, კავკასიური კვლევების ცენტრში მუშაობს. საქართველოდან ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ დელეგაციის წევრები: „კავკასიური სახლის“ წარმომადგენელი გიორგი კანაშვილი, სტრატეგიული კვლევების ცენტრის პოლიტოლოგი გიორგი გვიმრაძე და ყოფილი პოლიტპატიმარი შოთა აფხაიძე. აღსანიშნავია, რომ მცდარი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ხელისუფლების ინიციატივით გავემგზავრეთ. მე მიმიწვიეს ინდივიდუალურად და აღნიშნული ვიზიტი მთავრობასთან არ შემითანხმებია, ვინაიდან ზრდასრული ადამიანი ვარ და არავის ნებართვა არ მჭირდება. ვიმყოფებოდით ჩრდილოეთ ოსეთში, კერძოდ, ვლადიკავკაზში, დაღესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში და, შეიძლება ითქვას, საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი.

მე ვნახე კავკასიელი ხალხი, რომელიც აღფრთოვანებულია ქართველებით. ისინი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გვხვდებოდნენ და თანამშრომლობისა და მჭიდრო ურთიერთობის სურვილს გამოთქვამდნენ როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის სფეროში. ახალგაზრდებს სურთ, თბილისში ჩამოვიდნენ სასწავლებლად. **მე ახლა ვხვდები, რა გონიერი წინაპრები გვყავდა, რომლებმაც შეძლეს, დაელაგებინათ ურთიერთობა ამ მართლაც ვაჟკაც, გულისხმიერ ხალხებთან და ჩვენ საკუთარი ქვეყნის წინაშე უდიდეს დანაშაულს ჩავიდენთ, თუ ამ ურთიერთობებს არ აღვადგენთ. ყველანაირი ბიუროკრატიული ბარიერი და წინაღობა ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობაში უნდა დავძლიოთ.** უდიდეს პატივისცემას გამოხატავენ ჩვენ მიმართ და ჩვენ რა კოლექტიური შიზოფრენია უნდა დაგვემართოს, რომ ჩვენდამი ძმურად განწყობილ ხალხთან არ ვითანამშრომლოთ? **ჩრდილოეთ კავკასია დღეს უკვე სულ სხვაა, ვიდრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი: იქ ძალიან დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობს, ხალხი ცდილობს, საკუთარი გარემო უკეთესისკენ შეცვალოს. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია!**

მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენს ხალხებს ურთიერთობის საშუალება არ ჰქონდათ, ამდენად, მათ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ დღევანდელი საქართველოს შესახებ, ამიტომ ვიზიტის დროს საერთო კავკასიური მაუწყებლობის იდეაც გაჩნდა.

**— ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ საზოგადოებისა და ხელოვნების წარმომადგენლებს შეხვდით თუ პოლიტიკოსებსაც ესაუბრეთ? კონკრეტულად რა საკითხებზე იმსჯელეთ?**

— შევხვდით როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს — მინისტრებს, მთავრობის მეთაურებს, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. შეხვედრის მიზანი იყო ურთიერთობის აღდგენა. ყველაფერზე ვიმსჯელეთ. **ჩრდილოეთ ოსეთში ქართულად გველაპარაკებოდნენ. ზოგიერთებს შერეული ოჯახები აქვთ და წუხილს გამოთქვამდნენ, რომ საქართველოსთან მიმოსვლა გართულებულია.** მაგალითად, დაღესტანში მთხოვეს, იქნებ ახალსოფელთან გამშვები პუნქტი გაკეთდესო. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აუცილებლობაზე.

**— თუ გამართლდა თქვენი მოლოდინი?**

— მე არ ველოდი, თუ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველების მიმართ. ჩრდილოეთ კავკასიაზე ბევრი რამ მქონდა წაკითხული, მაგრამ ბევრი რამ მაინც არ მცოდნია. **აღმოჩნდა, რომ საქართველოსადმი ფანტასტიკური დამოკიდებულება აქვთ. შეიძლება ითქვას, ჩვენმა ვიზიტმა საოცარი წარმატებით ჩაიარა.**

**— თუმცა თქვენმა ვიზიტმა მწვავე კრიტიკა დაიმსახურა საქართველოში. ითქვა, თითქოს თქვენი დელეგაციის წევრმა შოთა აფხაიძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა 2008 წელს ოსი ხალხის გენოციდი მოაწყო...**

— მე ვლადიკავკაზში ერთი დღის დაგვიანებით ჩავედი და არ ვიცი, წინა დღეს რა მოხდა, მაგრამ შოთა აფხაიძეს მსგავსი რამ შემდეგ დღეებში არც ოფიციალურ და არც არაოფიციალურ შეხვედრებზე არ უთქვამს...

მართალია, საქართველოში სპეცსამსახურების ჯაშუშებად და რად აღარ გამოგვაცხადეს, იმის მიუხედავად, თუ რა შეფასებები მოჰყვება, მე მაინც გავაკეთებ იმას, რაც საქართველოს დასჭირდება. ჭორები იმის შესახებ, თითქოს ჩვენი დელეგაცია ცდილობს, საქართველო ევრაზიულ კავშირში გააწევრიანოს, არის გონებადაბინდული ადამიანების მსჯელობა. **საქართველოს უკვე არჩეული აქვს თავისი ორიენტაცია, თუმცა საქართველოს დასავლური ორიენტაცია არ ნიშნავს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სახიფათო ნაბიჯების გადადგმას.**

უსაფრთხოების საკითხები გვაიძულებს, ფრთხილად ვიმოქმედოთ.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ მზად ხართ, ხელისუფლებასთან ითანამშრომლოთ და საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიაროთ. უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოში დაბრუნდით, თუ გამოთქვა ხელისუფლებიდან ვინმემ თქვენთან შეხვედრის სურვილი, დაინტერესება და ხელისუფლების აქტიურობის გარეშე რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ პრობლემების მოგვარება?**

— ჯერჯერობით არავინ გამომხმაურებია.

**— საქართველოს მიერ არჩეული კურსის განხორციელება, ნატოში გაწევრიანება და პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება რამდენად რეალურია?**

— ნატოს თემა და დასავლური ორიენტაცია საქართველოში პოლიტიკოსების მიერ, უკვე წლებია, პროფანირებულია. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას არ აქვს ალტერნატივა, მაგრამ დანარჩენი ისე იქნება, როგორც მსოფლიოს „მთავარი მოთამაშეები“ შეთანხმდებიან. ჩვენ ვერ ვიქნებით მომხრეები, რომ რუსეთის მთელი სარაკეტო სისტემა საქართველოს დაუმიზნონ. **ჩვენ გვინდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში გაერთიანება, რათა ერთხელ და სამუდამოდ უსაფრთხოების გარანტია გვქონდეს. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის იდეალურია, ევროპული უსაფრთხოების სისტემაში გაერთიანება და, ვინაიდან ევროპული უსაფრთხოება რუსეთის გარეშე შეუძლებელია, ამით მოვითქვამდით სულს.**

რაც შეეხება ნატოს, თუ რეგიონული კრიზისი იქნება, ნატო არანაირი უსაფრთხოების გარანტიას არ წარმოადგენს. ცოტა ხნის წინ ფინელებმა ჩაატარეს გამოკვლევა და აღმოჩნდა: ბალტიისპირეთში თუ შევლენ რუსეთის ჯარები, კონფლიქტის შემთხვევაში, ნატოს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეუძლია ჯარები გადაამისამართოს ბალტიის მიმართულებით. წარმოგიდგენიათ ეს რას ნიშნავს?

**საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დიდწილად რუსეთ-ამერიკისა და რუსეთ-ევროპის ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ვინაიდან ჩვენ ვართ მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში, ჩვენთვის პრინციპული საკითხია, მსოფლიო მოთამაშეებს რა ურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან.** ვინაიდან არ გვინდა, რომელიმე დიდმა მოთამაშემ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ გამოგვიყენოს. მე ამერიკელებისთვის მითქვამს, რომ არასწორად მოიქცნენ, როდესაც რუსების წინააღმდეგ თავიანთ „საჩიჩქნ ჯოხად“ გვაქციეს. ამიტომ ჩვენთვის სასურველია, ამ დიდმა მოთამაშეებმა თავად დაალაგონ ერთმანეთთან ურთიერთობა და ჩვენ ნორმალური განვითარების საშუალება მოგვცენ, თორემ ჩვენ ვერც ამერიკელებს მოვერევით და ვერც რუსებს.

**— აღნიშნეთ, რომ ოსები კარგად შეგხვდნენ, მაგრამ ცხინვალთან ურთიერთობის აღდგენა როგორ გესახებათ და დღესდღეობით რამდენად რეალურად გეჩვენებათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა?**

— რეალურად მეჩვენება. **ჩვენ ტერიტორიებს კი არ დავიბრუნებთ, ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზებს და ოსებს. ეს არის ჩვენი ორიენტირი. სანამ ადამიანებს არ დავიბრუნებთ, ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი უნდა დავივიწყოთ.** ჩვენ გვჭირდება ძალიან გონივრული მოქმედება და ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩრდილოკავკასიელი ხალხები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ ერთმანეთზე, ამ კონფლიქტის მოგვარების დროს სერიოზული შუამავლები იქნებიან.

**ჩრდილოეთ კავკასიაში მე ვერ ვნახე ვერავინ, ვინც ექსტრემიზმს უჭერს მხარს! პირდაპირ ამბობენ, რომ ეს არის გზა არსაითკენ.**

**— რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გახდა. რა გავლენას მოახდენს ეს ფაქტი საქართველოზე?**

— რუსეთის პოლიტიკა დასავლეთთან დღეს სრულიად შეცვლილია. ეს საქართველოშია ანტირუსული რიტორიკა და, რა თქმა უნდა, გასაგებია ჩვენი პრეტენზიები, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავინახოთ, რომ დღეს ნატო-რუსეთისა თუ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა ვითარდება. არ გვინდა დავინახოთ, როგორი დამოკიდებულებაა ევროპაში რუსეთისადმი. ჩვენ ვხატავთ სურათს, თითქოს რუსეთი ხვალვე დაინგრევა, რადგან მთელი მსოფლიო მზად არის, ეომოს მას. არადა, მსგავსი არაფერი ხდება.

**— მომავალი პრეზიდენტის შერჩევის კრიტერიუმებისა და მისი ფუნქციების თემა, რაც ჩვენმა გაზეთმა ორიოდე კვირის წინ წამოჭრა, დღეს პოლიტიკური პარტიების აქტიური დისკუსიის საგანი გახდა. კერძოდ, ჩვენს გაზეთთან საუბრისას პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ახლებური, საინტერესო ხედვა წარმოადგინა ამ საკითხზე და ხაზი გაუსვა, რომ მომავალი პრეზიდენტის მთავარი პასუხისმგებლობა კონფლიქტურ რეგიონებთან, აგრეთვე, რუსეთთან და ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობების მოგვარება უნდა იყოს... თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?**

— საზოგადოება უნდა გრძნობდეს, რა პრობლემების წინაშე დგას, რა უნდა, საით უნდა და რატომ უნდა... სოციალურ შეკვეთას უნდა ქმნიდეს იმ გონიერ პოლიტიკოსებზე, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყანაში პროგრესის უზრუნველყოფა. ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც თავისუფლად განვითარდება მოქალაქეების ნიჭი და უნარი, აიწევს მათი კეთილდღეობა, მაღალი იქნება განათლების დონე, განვითარდება მეცნიერება, იქნება წესრიგი, იქნება ტრადიციული კულტურისა და ფუნდამენტური ფასეულობების პატივისცემა და განვითარების შესაძლებლობა საკუთარი, არათავსმოხვეული ტრაექტორიით. და, რაც მთავარია, არ იქნება „სხვის დაკრულზე“ მოცეკვავე „უპასუხისმგებლო, ქარიზმატიკული ბალვანი“...

ვერანაირი სალი პრეზიდენტი საქართველოში ამ ეტაპზე არჩეული ვერ იქნება. საზოგადოება არ არის მზად ამისთვის. მისი კრიტერიუმები და შეხედულებები დეფორმირებულია, მათ მოსწონთ „მარიფათიანი“, მყვირალა, უპასუხისმგებლო ადამიანები, მაგრამ მოვა დრო და ამ ავადმყოფობას აუცილებლად დავძლევთ.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— მე არ ვფიქრობ, რომ ანბანური რაღაცები დადასტურებას მოითხოვდეს, **ჩვენ თუ სასიცოცხლო პრობლემას არ გადავჭრით და არ მოვძებნით გზებს ოს და აფხაზ ხალხთან შესარიგებლად, ქვეყანა დეზინტეგრაციის სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.**

ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობა კი პრინციპულად აუცილებელია. ასევე აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაც, რადგან ეს საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებშია და კრეტინული ანტირუსული პოლიტიკა დასაძლევია. მოგვწონს თუ არა, მეზობლებთან მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ და ნორმალური ურთიერთობა გქონდეს.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

ანონსი

## უგულავას პრეზიდენტობისთვის ამზადებენ

**სამართალმცოდნეობის დოქტორი, ყოფილი მოსამართლე, მინდია უგრეხელიძე, მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობა“ თბილისის მერს, გიგი უგულავას, საპრეზიდენტოდ ამზადებს.**

**„ნაციონალებს“ უგულავაზე ძალიან სერიოზული ფსონი აქვთ დადებული — პრეზიდენტობისთვის ამზადებენ და ყველაფერს აკეთებენ მის გადასარჩენად. ასე რომ, არ გამიკვირდებოდა, უგულავა ციხეში რომ ჩაესვათ და წამებულის ეკლიანი გვირგვინით შეემკოთ. ეკლიანი გვირგვინიდან კი დაფნის გვირგვინამდე ძალიან ცოტა მანძილია. ისე კი, რაც უნდა ეცადონ, მაინც ვეღარაფერს გააწყობენ. ისტორიის კანონზომიერება მოითხოვს, რომ „ნაციონალებმა“ ყველაფერი კატასტროფული მარცხით დაასრულონ“,** — განმარტავს მინდია უგრეხელიძე.

მისივე თქმით, უზენაეს სასამართლოში საიდუმლო თათბირებს ატარებენ და ცდილობენ, მოსამართლეები დაამუნათონ, შეაშინონ ან დააშანტაჟონ და ისე მიაღებინონ ესა თუ ის გადაწყვეტილება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ინტერვიუ

# «რატომ არ იჭერთ ვანო მერაბიშვილს?»

„ვიცი, რომ ამერიკელებმა ახალ ხელისუფლებას სააკაშვილისა და გიგა ბოკერიასთვის მოსთხოვეს ხელშეუხებლობის გარანტია, მაგრამ იქნებ იმ სიაში მერაბიშვილიც არის? თუ ასეა, გამოვიდნენ და თქვან, თორემ ხალხი იმასვე დაიჯერებს, რასაც მე და თქვენ ვფიქრობთ: ვანომ ხელისუფლების გავლენიანი ფიგურები ისე „დაავერბოვკა“, მის დაჭერას ვინ ჩივის, შიშით მისი დაჭერის აუცილებლობაზეც ვეღარ იღებენ ხმასო“



## ლაშა ამირეჯიბი:

# ამერიკას საქართველო სჭირდება კავკასიაში დასაყრდენად, კოლონიურ სახელმწიფოდ, რომლის ხელისუფლებაც მის ნებისმიერ ნება-სურვილს შეასრულებს

**„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ამირეჯიბი მიიჩნევს, რომ ის უსიამოვნებები, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა დაატეხა თავს, უპირველესად, ამერიკის დამსახურებაა. საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები კავკასიაში ამერიკის ინტერესებს ეწირება და ნაწილობრივ უკვე შეეწირა კიდეც. „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას ლაშა ამირეჯიბი იმასაც აცხადებს, რომ ამერიკელი მაღალჩინოსნები საკუთარ აგენტურას ხელს აფარებენ და ახალ ხელისუფლებას მათი დასჯის ნებას არ აძლევენ.**

**— კონკრეტულად რა პრეტენზიები გაქვთ საქართველოში ამერიკის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკასთან?**

— ამერიკული დემოკრატიის მამები მთელ მსოფლიოში ტრაბახობენ თავიანთი დემოკრატიით და დემოკრატიის ექსპორტით მთელ მსოფლიოში. მიხეილ სააკაშვილი მიიჩნეოდა „დემოკრატიის შუქურად“ ამერიკაში და ბევრი დღესაც ასე მიიჩნევს. **რა „დემოკრატიის „შუქურა“ და „ჩირაღდანიცაა“ ტირანი სააკაშვილი, ქართველმა ხალხმა ყველაზე უკეთ იცის. ჩვენ საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ სააკაშვილის რეჟიმის მთელი სიმძიმე და სისასტიკე. თუ ეს არის ამერიკული დემოკრატია, მაშ, დიქტატურა რაღაა? დემოკრატია კი არა, ტირანია დაამყარა სააკაშვილმა ამერიკელების დახმარებით საქართველოში და აი, ეს პრეტენზიები მაქვს მათთან.**

**— უკვე ამერიკელებმაც გაიგეს, როგორი „დემოკრატიცაა“ სააკაშვილი. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, სააკაშვილი 1 ოქტომბრის არჩევნებსაც გააყალბებდა და ამერიკელები, სულ მცირე, მის „გაპრავებაში“ დაეხმარებოდნენ. ამგვარი დახმარება ამერიკელებმა არაერთხელ გაუწიეს სააკაშვილს.**

— ჯერ ერთი, ქართველმა ხალხმა გააგებინა ყველას, მიშა რომ დიქტატორი იყო და მის ატანას აღარ აპირებდა. ხალხის ნების წინააღმდეგ კი ამერიკელები ამჯერად ვეღარ წავიდნენ. მეორეც, როდის გაიგეს ამერიკელებმა, რომ მათი „დემოკრატიის შუქურა“ ბჟუტავდა? 2007 წლის 7 ნოემბერი, ფაქტობრივად, აპატიეს — სააკაშვილი ყასიდად გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან, ისევ ამერიკელების დახმარებით გააყალბა არჩევნები და ხელმეორედ გახდა პრეზიდენტი. ქუჩაში ხალხის ხოცვა-ჟლეტა აპატიეს (9 წელიწადში 120 კაცი მოკლა ქუჩაში პოლიციამ), უდანაშაულო ხალხის დაჭერა, წამება და ათასი უბედურება აპატიეს. 2011 წლის 26 მაისი ვისი ხელდასხმით მოხდა? ამერიკის მაშინდელი ელჩი, ჯონ ბასი, არ იყო, რუსთაველზე მიტინგის დარბევის „კურთხევა“ რომ მისცა მიშას — 25 მაისის საღამოს არ განაცხადა ბასმა, არაკანონიერია ეს მიტინგიო? ამით მწვანე აუნთო სააკაშვილს. მეორე დღეს, 26 მაისს, ის საშინელება, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა, ბასმა გაამართლა — უსანქციო მოტინგი უნდა დაეშალათ, მაგრამ ძალისთვის არ უნდა გადაეჭარბებინათო. **მხოლოდ ძალის გადაჭარბება და გადამეტება იყო ხალხის დახოცვა და მეტი არაფერი? ქალებსა და ბავშვებს არმატურის ნაჭრებით სცემდნენ, ხალხი დაახეიბრეს და უამრავი უდანაშაულო ადამიანი ციხეში გაუშვეს... ის ცალკე სალაპარაკოა, რა ჯოჯოხეთურ ციხეებში მოუწიათ ამ პატრიოტ ადამიანებს სასჯელის მოხდა. აი, ეს არის ამერიკული დემოკრატია საქართველოში.** თუმცა, ამის მიუხედავად, ამერიკელები ხელს არ იღებენ თავიანთ გეგმაზე — „ნაციონალური მოძრაობის“ რაც შეიძლება მეტი დამნაშავე გადაარჩინონ.

**— იქნებ დააკონკრეტოთ, რას და ვის გულისხმობთ?**

— ჯერ იმას გეტყვით, ვის ვგულისხმობ: **შს მინისტრის მოადგილე, შალვა ჯანაშვილი, რატომ არის ხელშეუხებელი კადრი? ამ კაცმა 26 მაისის დარბევა დაგეგმა და განახორციელა. მეორე დღეს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც ხალხს გამეტებით არბევდა და სცემდა, პრემიები გამოუწერა.** ვინც მათსავით არ გაისარჯა, იმ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს საყვედური გამოუცხადა. ჩემი ინფორმაციით, **სწორედ შალვა ჯანაშვილის მოწყობილია 26 მაისს დაღუპული ნიკა კვინტრაძის ვითომ დენის დარტყმით სიკვდილის ინსცენირებაც, მისი დავალებით შემოდეს ნიკას ცხედარი ჯიხურის თავზე და მეორე დილით ვითომ შემთხვევით ჯიხურის მეპატრონემ აღმოაჩინა.** გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ **ჯანაშვილი მონაწილეობდა აკაკი ელიავას მკვლელობაში, მისი ლიკვიდაციის სპეცოპერაციაში.** ვინ იცის, კიდევ რამდენი დანაშაული აქვს ამ კაცს ჩადენილი, მაგრამ ამერიკელები აფარებენ ხელს. ირაკლი ღარიბაშვილმა მისი მოხსნა რომ მოინდომოს, დიდი ამბავი ატყდება. ამერიკელები ლობირებენ არა მარტო ჯანაშვილს, არამედ სხვებსაც. მათ არ აინტერესებთ, აღსრულდება თუ არა ქართველი ხალხის უპირველესი მოთხოვნა — აღდგეს ქვეყანაში სამართლიანობა და იზეიმოს მართლმსაჯულებამ. ისინი მხოლოდ თავიანთი აგენტურის გადარჩენაზე ფიქრობენ.

**— რატომ აფარებენ მაინც და მაინც შალვა ჯანაშვილს ხელს ამერიკელები?**

— იმიტომ, რომ მათი გამოზრდილია და იმ ამერიკულ „დემოკრატიას“, წეღან რომ ვლაპარაკობდით, ჯანაშვილი წარბშეუხრელად ამყარებდა საქართველოში. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო შალვა ჯანაშვილი ამერიკაში და იქ სპეცსამსახურის პროგრამით გაიარა სწავლება. მერე, ეტყობა, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომ საქართველოში „დემოკრატია“ უფრო უკეთ დაემყარებინა, ვანო მერაბიშვილმა ხელმეორედ გაუშვა ამერიკაში სასწავლებლად. მარტო ჯანაშვილი რომ იყოს, რაღა გვიჭირდა? **უამრავ საკვანძო პოსტზე ისევ „ნაციონალები“ მუშაობენ, ზოგი კი დაითხოვეს სამსახურიდან, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მათთვის პასუხი მოეთხოვათ, ისევ თბილ კაბინეტებში სხედან, ოღონდ სხვაგან; მაგალითად, დათო ჩხატარაშვილი — ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას, მოადგილე. ეს კაცი იყო პროკურატურაში ყველაზე ბინძური საქმეების გამთეთრებელი და მრავალი დანაშაულია მის კისერზე.** ჩემი ინფორმაციით, დღეს ეს ჩხატარაშვილი გია ხუხაშვილის არასამთავრობო ორგანიზაციაშია დასაქმებული. ხუხაშვილი, რომელიც სახელმწიფო ჩინოვნიკია და დღევანდელ ხელისუფლებას წარმოადგენს, დღენიადაგ იმას გაიძახის, უამრავი ადამიანი იყო სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლიო და მოითხოვს, ამ ადამიანებს შევუნდოთ. ერთი იმ ხალხსაც ჰკითხოს, ჩხატარაშვილებმა და მისნაირებმა რომ გააუბედურეს, შეუნდობენ თუ არა მათ!

**მე მაინტერესებს, ამერიკელთა ლობირებით თუ სხვა მიზეზით, რამდენ სისხლის სამართლის დამნაშავეს უნდა დააფაროს ხელი დღევანდელმა ხელისუფლებამ?!**

**— უფრო უპრიანი იქნებოდა, ჩვენი გაზეთის საშუალებით, ეს იმ თქვენი მეგობრებისთვის გეკითხათ, დღეს რომ ხელისუფლებაში არიან, ოპოზიციაში ყოფნისას კი ხალხს სწორედ ჯანაშვილისნაირების დაჭერასა და სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდნენ.**

— მართალია, თუ ვინმეს უნდა მოვკითხო, უპირველესად, ჩემს მეგობრებს, თანაც არა მარტო ჯანაშვილის გამო. ჰოდა, **ვეკითხები სოსო ჯაჭვლიანს, ეკა ბესელიას, პაატა ბარათაშვილს, ზაზა პაპუაშვილს... — რატომ არ იჭერთ ამ ადამიანს და, უპირველესად, ვანო მერაბიშვილს? საზოგადოებამ კარგად იცის მერაბიშვილის ავკაცობის შესახებ, 120 უდანაშაულო ადამიანი მარტო ქუჩაში დახვრიტა პოლიციამ მერაბიშვილის მინისტრობისას, უამრავი უდანაშაულო ადამიანი გაუშვა მან ციხეში, ათასობით ადამიანს კი, ბიზნესს ვინღა ჩივის, სახლკარი წაართვა და ქუჩაში დატოვა.** საზოგადოებამ სწორედ ყოფილი ოპოზიციონერებისგან იცის ეს ამბები, ისინი ლაპარაკობდნენ ამის თაობაზე, მერაბიშვილს მკვლელს ეძახდნენ. ახლა აღარ არის მკვლელი?

**ლევან ბერძენიშვილს მინდა ვკითხო, რუსეთის აგენტობა რომ დააბრალა და თემშარაზე რომ გამოაჭენა მერაბიშვილმა, მაშინ იმუქრებოდა, ამას არ ვაპატიებო. დღეს ყველაზე მეტს რატომ ლაპარაკობს კოაბიტაციაზე? რა დროს კოაბიტაციაა, ხალხო!** მკვლელები თავისუფლად დადიან და საამისო ძალა და ყველანაირი რესურსი ჯერაც შენარჩუნებული აქვთ, რომ კიდევ გაამწარონ უამრავი ადამიანი. დავიჯერო, ვანო მერაბიშვილზე პროკურატურამ ერთი უტყუარი, რომ იტყვიან, „გაუჭრელი“ სამხილი ვერ მოიძია ამდენი ხნის მანძილზე, რათა ეს კაცი „ვირის აბანოში“ მიაბრძანოს? ხელისუფლებადქცეული გუშინდელი ოპოზიცია არ ირწმუნებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ყველა სასტიკი დანაშაულის ავტორი ან თანამონაწილე მერაბიშვილიაო? მახსოვს, კონკრეტული ფაქტებითაც ლაპარაკობდნენ. სად არის ახლა ეს ფაქტები? რატომ არ მოიძიებს პროკურატურა? რა, ვანო მერაბიშვილს აეროპორტის საბაჟოზე რომ მეორე სამსახურებრივი პირადობის მოწმობა აღმოაჩნდა ლევან მაისურაძის სახელზე, სულ ეს იყო მისი დანაშაული? ან ეგ ამბავი რას ჰგავდა, რა ცირკი დადგეს? „ნაციონალებმა“ მოიფხანეს ისევ გული — მერაბიშვილი იმდენად უდანაშულოა, რომ ვერანაირი კანონდარღვევა ვერ მოუძებნეს წარსული საქმიანობიდან და რაღაც პასპორტს ედავებიანო.

**— ეჭვიც არ მეპარება, რომ მერაბიშვილის სინდისზე უამრავი დანაშაულია და მეც თქვენსავით მიკვირს, ამდენ ხანს კონკრეტულად რატომ არაფერს ედავებიან სამართალდამცავები.**

— ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მაინც გეტყვით. ერთმა მაღალჩინოსანმა მითხრა, ოღონდ მის ვინაობას ვერ გაგიმხელთ: **„ვანო მერაბიშვილი, ავი თუ კარგი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. 8 წელი ერთდროულად მართავდა როგორც შინაგან საქმეთა, ასევე, უშიშროების ყველა სტრუქტურას და უამრავი ხალხი ჰყავს „დამუშავებული“. როგორ გგონია, „ქართულ ოცნებაში“ და საერთოდ, დღევანდელ ხელისუფლებაში არ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც ვანოს აგენტები იყვნენო?“** ახლა რომ ვუფიქრდები, მართალი მგონია ეს კაცი — ხელისუფლებაში ნამდვილად იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ვანოზე კომპრომატები აქვთ და, თუ მის წინააღმდეგ ხმა ამოიღეს, წამსვე აუფრიალებს მათ. ვინ იცის, ზოგიერთს იქნებ ხელწერილიც კი ჰქონდეთ დაწერილი კუდთან და სოდთან თანამშრომლობაზე.

**— გამოდის, არაოფიციალურად, ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონია ვანო მერაბიშვილს.**

— ეგრე გამოდის... მე ვიცი, რომ **ამერიკელებმა ახალ ხელისუფლებას სააკაშვილისა და გიგა ბოკერიასთვის მოსთხოვეს ხელშეუხებლობის გარანტია, მაგრამ იქნებ იმ სიაში მერაბიშვილიც არის?** თუ ასეა, გამოვიდნენ და თქვან, თორემ ხალხი იმასვე დაიჯერებს, რასაც მე და თქვენ ვფიქრობთ: **ვანომ ხე-**



# «ლევან ბერძენიშვილს მინდა ვკითხო, რუსეთის აგენტობა რომ დააბრალა და თემშარაზე რომ გამოაჭენა მერაბიშვილმა, მაშინ იმუქრებოდა, ამას არ ვაპატიებო. დღეს ყველაზე მეტს რატომ ლაპარაკობს კოაბიტაციაზე? რა დროს კოაბიტაციაა, ხალხო!»

**„მხოლოდ ძალის გადაჭარბება და გადამეტება იყო ხალხის დახოცვა და მეტი არაფერი? ქალებსა და ბავშვებს არმატურის ნაჭრებით სცემდნენ, ხალხი დაახეიბრეს და უამრავი უდანაშაულო ადამიანი ციხეში გაუშვეს... ის ცალკე სალაპარაკოა, რა ჯოჯოხეთურ ციხეებში მოუწიათ ამ პატრიოტ ადამიანებს სასჯელის მოხდა. აი, ეს არის ამერიკული დემოკრატია საქართველოში.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლისუფლების გავლენიანი ფიგურები ისე „დაავერბოვკა“, მის დაჭერას ვინ ჩივის, შიშით მისი დაჭერის აუცილებლობაზეც ვეღარ იღებენ ხმასო.**

**— დავიჯერო, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ჰყავს ვანო მერაბიშვილს „თავისი მეოცნებეები“? პროკურატურაში უამრავი საჩივარია მერაბიშვილის წინააღმდეგ შესული, თუმცა ჯერ მის წინააღმდეგ საქმეც კი არ აღძრულა.**

— მაგას ვდავობ მეც, მეტს კი არაფერს! ვინმეს გაუკვირდება, პროკურორების ნაწილიც რომ ვანოს ჰყავდეს „დამუშავებული“? ანდა, მაგათ რაღა „დამუშავება“ და ხელწერილების ჩამორთმევა უნდათ თანამშრომლობაზე? **პროკურორების უმეტესობა თავად არის გარეული ძველ დანაშაულებებში. თავად ესწრებოდნენ კუდსა და სოდში უდანაშაულო ადამიანების წამებას, ისიც მსმენია, რომ ამ ავადსახსენებელ ორგანოებში სწორედ ზოგიერთი პროკურორის მითითებით აწამებდნენ ხალხს, რადგან აღიარებით ჩვენებებს უდანაშაულო ხალხი ნებით არ იძლეოდა. იყვნენ ისეთი პროკურორებიც, რომლებიც წამებაში თავადაც მონაწილეობდნენ, მაგალითად, დავით საყვარელიძე, დღეს პარლამენტიდან კოაბიტაციაზე რომ გველაპარაკება.** ამ ყველაფერს ხომ იწერდნენ „მოდულის“ შენობაში დამონტაჟებულ კამერები? როგორ გგონიათ, 1 ოქტომბრის არჩევნები რომ წააგეს „ნაციონალებმა“, სპეცსამსახურებიდან უკანმოუხედავად გაიქცა ხალხი და მიატოვა სამსახური? ასე არ მომხდარა — მათ საკმაო დრო ჰქონდათ, რომ ყველაფერი დაეარქივებინათ და შეენახათ, მათ შორის, ეს ჩანაწერებიც. როცა დასჭირდებათ, მაშინ გამოიყენებენ. ისე, მე მგონია, რომ უკვე იყენებენ კიდეც.

კარგი, ესეც იქით იყოს, მაგრამ ის ხომ ყველამ ეჭვმიუტანლად იცის, რომ წამებას პროკურორთა უმრავლესობა ესწრებოდა. რა გამოდის? სულ მცირე, უამრავი პროკურორი დანაშაულზე ხუჭავდა თვალს, საკუთარი გულგრილობით აქეზებდა დამნაშავეებს და ესეც სისხლის სამართლის დანაშაულია. ცხადია, ამგვარი ფაქტებიც დაფიქსირებულია და მერაბიშვილის ხალხის არქივში იქნება შენახული.

**— თუკი შალვა ჯანაშვილს ამერიკელები მფარველობენ და თანაც ისე გულმოდგინედ, რომ თანამდებობიდანაც ვერ მოხსნეს, გაგიკვირდებათ, ვანო მერაბიშვილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმავე ამერიკელებთან პოლიტიკური ან სხვა სახის გარიგების შედეგად რომ არ დაიჭირონ?**

— კარგა ხანია, აღარაფერი მიკვირს, ხალხს რა პასუხს გასცემენ, თუ ასე მოხდა, ამაზე უნდა იფიქრონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ვიმეორებ, ამერიკელთა მიერ „შეწყალებულთა“ სიაში მარტო სააკაშვილი და ბოკერია მოხვდნენ და იქ მერაბიშვილი არ ყოფილა. რამე ახალი თუა, გვითხრას ხელისუფლებამ. არადა, ვიმეორებ: **ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ ყველა, ვინც მერაბიშვილის დაჭერაზე უფლებამოსილია და ამას არ ახორციელებს, ვანოს თავის დროზე „დამუშავებული“ ჰყავს. ცხადია, ეჭვმიტანილთა სიაში ის პოლიტიკოსებიც არიან, წინასაარჩევნოდ ვანო მერაბიშვილს მონსტრსა და მკვლელს რომ ეძახდნენ და ახლა რიტორიკა შეიცვალეს, ვანოს მიმართ გამოთქმები შეარბილეს.**

ამერიკელებსა და საქართველოში მათ მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე მინდა გითხრათ. რა მოგვცა ამერიკამ ამ 9 წლის განმავლობაში? — 4 მილიარდი დოლარი და საქართველოს ამომგდები სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“! სულ ეს არის. კი, 4 მილიარდი დიდი ფულია, მადლობა ამისთვის ამერიკელებს, მაგრამ, ვინც ეს მილიარდები გამოგვიყო, ერთი არ დაინტერესებულა, სად დაიხარჯა ამხელა თანხა? მანახეთ ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახი, ამ ფულის სიკეთე მცირედით მაინც რომ ეგრძნოს. **ისევ „ნაცების“ დროსტარებას, მათი ბიზნესების გაფართოებას მოხმარდა ეს მილიარდები და ისევ სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრთა საბანკო ანგარიშებზე დაილექა. ამ თანხის ნაწილი კი „ატკატის“ სახით უკან, ამერიკაში დაბრუნდა და სააკაშვილისა და მისი პარტიის ლობისტურ ამერიკულ კომპანიებს გადაუხადეს. არაფერი სასიკეთო ამ ფულიდან ქართველ ხალხს არ უნახავს.** 26 მაისს ხალხი სწორედ ამ ფულით ნაყიდი ცრემლსადენი გაზით დაწამლეს, ამ ფულით ნაყიდი „დუბინკებით“ სცემეს და ამავე ფულით ნაყიდი ჭავლმრტყორცნი მანქანებით გადაუარეს ქართველებს. **ამერიკელებს საქართველო თავიანთი გეოსტრატეგიული ინტერესებისთვის სჭირდებათ და ეს ინტერესები იმდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ კიდევ რამდენიმე მილიარდს არ დაიშურებენ, რომ ეს ინტერესები დაიცვან.**






**«ვეკითხები სოსო ჯაჭვლიანს, ეკა ბესელიას, პაატა ბარათაშვილს, ზაზა პაპუაშვილს... — რატომ არ იჭერთ შალვა ჯანაშვილს და ვანო მერაბიშვილს?»**

**— კავკასიაში ამერიკელთა ინტერესებს გულისხმობთ?**

— ცხადია, ამას ვგულისხმობ. **ამერიკას საქართველო სჭირდება კავკასიაში დასაყრდენად, კოლონიურ სახელმწიფოდ, რომლის ხელისუფლებაც მის ნებისმიერ ნება-სურვილს შეასრულებს.** სააკაშვილი და „ნაციონალები“ კი სწორედ ამას აკეთებდნენ. ამერიკის ელჩები განსაზღვრავდნენ მთლიანად საქართველოს საგარეო პოლიტიკას და ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრები მათ მიერ დაწერილი „შპარგალკებით“ ხელმძღვანელობდნენ. ნიშანდობლივად არ მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ ამერიკას საქართველოში უფრო დიდი საელჩო აქვს, ვიდრე რუსეთში? საქართველოს გარდა, ამერიკას კავკასიაში მოკავშირე არ ჰყავს. უფრო სწორად, კოლონია არა აქვს, თორემ მისი მოკავშირე თურქეთიცაა, მაგრამ მის დაკრულზე არ ცეკვავენ თურქეთის ხელისუფალნი. გაიხსენეთ, ამერიკის სამხედრო მოკავშირემ, ნატოს წევრმა თურქეთმა, როცა ამერიკელებს ერაყი უნდა დაებომბათ, მათ ავიაციას საკუთარი საჰაერო სივრცე არ დაუთმო. აი, ეს არის ქვეყნის ინტერსების დაცვა და პატრიოტი ხელისუფლება. ჩვენი ხელისუფლება რას აკეთებდა ამ დროს?

მართალია, ირან-ამერიკის ომის თემა დროებით მიყუჩდა, მაგრამ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ამ ომშიც მიჰყვებოდა ამერიკას, მარნეულის სამხედრო აეროდრომი სწორედ ამისთვის აშენდა. **თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რამდენიმე სართული გარემონტდა, სამხედრო ყაიდაზე გადაკეთდა ყველაფერი და დღეს გამოკეტილია. ესეც ირან-ამერიკის ომისთვის საქართველოს ხელისუფლების მზაობის კიდევ ერთი ნიშანია.** არადა, მოდით, სიმართლე ვთქვათ: რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანმა ურთიერთობამ ის ხომ მაინც მოგვიტანა, რომ არც ერთ, ისტორიულად მტერ მუსლიმანურ სახელმწიფოს არ შევუწუხებივართ? რატომ ვიწყებდით ხელახალ მტრობას ირანთან ამერიკის გამო? ანდა ვინ შეგვარჩენდა ამერიკელთა პარტნიორობას ამ ომში? ირანის პრეზიდენტმა ახმადინეჯადმა აკი გარკვევით განაცხადა, რომ, თუ ამერიკამ დაგვარტყა, მისი ნებისმიერი სახის სამხედრო პარტნიორს მტრად აღვიქვამთ და ადექვატურ პასუხს გავცემთო. ახმადინეჯადზე სერიოზული და საკუთარი სიტყვის პატრონი პოლიტიკოსი დღეს ძალიან ცოტაა. ირანის ადექვატური პასუხი იქნებოდა მათი ბალისტიკური რაკეტები თბილისის თავზე. არადა, რაღაც 700 კილომეტრით ვართ დაშორებული საჰაერო სივრცით ირანისგან. ჩვენ რომ მოგვწვდეს, იმგვარი ბარე 10 სახეობის რაკეტა აქვს ირანს. მეორე უბედურება ის იქნებოდა, რომ მყისვე ისლამისტი ტერორისტების სამიზნე გავხდებოდით.

თუმცა, **ავღანეთის ომში მონაწილეობის გამო, მათი სამიზნე ისედაც არის საქართველო და, თუ თბილისში ტერაქტები არ ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ არ სჭირდებათ მათი მოწყობა. როცა მოინდომებენ, ნებისმიერ დროს თბილისშიც მოაწყობენ ტერაქტებს. რა, დაცულები ვართ? თუ უსაფრთხოების სამსახურები გვყავს ისეთი ძლიერი, რომ აღკვეთავენ ამის საშიშროებას?** ინგლისის მეტროსა და საფრანგეთის რკინიგზაზე მოაწყვეს ტერაქტი ისლამისტებმა და აქ გაუჭირდებათ? ან ამ ავღანეთის ომში რატომ შეგვტენა სააკაშვილმა, რას გვერჩოდა?

მოდით, ისიც ვთქვათ, რომ **კავკასიაში ამერიკის პოლიტიკამ დაძაბა ქართულ-რუსული ურთიერთობა ისე, რომ 2008 წელს რუსეთთან ომის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. რა გააკეთა ამ ომის აღსაკვეთად საქართველოს ხელისუფლებამ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, სიტუაცია რომ ამერიკელებმა დაძაბეს, ამას თქმა არ უნდა.**

**— დავიჯერო, რუსეთს ხელს არ აძლევდა ეს ომი?**

— საბოლოოდ, მოგებული ამერიკა დარჩა. მან ომის შემდეგ 4 მილიარდი კი გამოგვიგზავნა, მაგრამ თავის უმთავრეს მეტოქეს, რუსეთს ამ ომის შემდეგ რამდენიმე ათეული მილიარდი დააკარგვინა როგორც სახელმწიფოს, ასევე — რუსულ ბიზნესს. უამრავი ფული დაახარჯა რუსეთმა უცხოურ ლობისტურ კომპანიებსა და ცალკეული სახელმწიფოების ჩინოვნიკებს, რათა შელახული იმიჯი აღედგინათ. არ უღირდა რუსეთის ეს ზარალი 4 მილიარდად ამერიკას? უღირდა! საქართველომ რაც „მოიგო“ ამ ომით, ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების შანსები მინიმუმამდე დავიდა. აი, ასე „ზრუნავს“ ამერიკა საქართველოზე. ჰო, ამას ავღანეთში ქართული ბატალიონიც მიათვალეთ და გამოდის, რომ ამერიკელები ამ 4 მილიარდით ძალზე იაფადაც კი გამოვიდნენ.

აქვე ერთ მეტად მნიშვნელოვან თემასაც მინდა შევეხო. **„ნაციონალები“ ძალიან ეწინააღმდეგებიან საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენას. ამასაც ამერიკელთა დავალებით აკეთებენ, რადგან ამერიკის გარდა, არავის აძლევს ხელს, რომ რკინიგზის ეს მონაკვეთი არ აღდგეს.**

**— ამერიკისთვის რა მნიშვნელობა აქვს, აღდგება თუ არა აფხაზეთში რკინიგზა?**

— სწორედ ამერიკელებისთვის აქვს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ამას. რკინიგზის ამ მონაკვეთის პარალიზებით, რუსეთი მოწყვეტილია თავის სტრატეგიულ პარტნიორს — სომხეთს. ასევე, თუ რკინიგზის ეს მონაკვეთი აღდგა, რუსეთს შანსი უჩნდება, ასევე თავის პარტნიორთან, ირანთან, სახმელეთო კავშირის დამყარებისა. რუსეთს ამ 2 სახელმწიფოსთან მხოლოდ საზღვაო და საჰაერო კავშირები აქვს, რაც ძალიან ძვირი უჯდება. ანდა, რატომ მხოლოდ ირანი და სომხეთი? მთელ აზიასთან არ გააჩნია სახმელეთო კავშირი. ამერიკამ აზიას და, უპირველესად, ამ ორ პარტნიორ ქვეყანას მოსწყვიტა რუსეთი ამ მონაკვეთში რკინიგზის ხაზის დაბლოკვით. სწორედ ამერიკას არ აძლევს ხელს მისი აღდგენა და სააკაშვილი და „ნაციონალები“ ისე ასაღებენ, თითქოს საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება რკინიგზის ხაზის აღდგენა. ეს აბსურდია და ამას მალე აღარავინ დაიჯერებს. შესაბამისად, **საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის გაფუჭება ამერიკის სტრატეგიული ინტერესების ნაწილი იყო. ამერიკელთა გამოისობით რუსეთთან ვიომეთ და ამით აუნაზღაურებელი ზარალი ვნახეთ. არათუ აფხაზეთში რკინიგზის ხაზის აღდგენას, „ნაციონალები“ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენასაც ეწინააღმდეგებიან, რასაც შეძლებისდაგვარად ცდილობს ახალი ხელისუფლება.** ამერიკა ყველაფერს გააკეთებს „ნაციონალებისა“ და სააკაშვილის ხელით, რათა დაწყებულ მოლაპარაკებებს ხელი შეუშალოს და საქართველო რუსეთთან მუდმივი კონფრონტაციის რეჟიმში დარჩეს.



**«ავღანეთის ომში მონაწილეობის გამო, მათი სამიზნე ისედაც არის საქართველო და, თუ თბილისში ტერაქტები არ ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ არ სჭირდებათ მათი მოწყობა. როცა მოინდომებენ, ნებისმიერ დროს თბილისშიც მოაწყობენ ტერაქტებს. რა, დაცულები ვართ? თუ უსაფრთხოების სამსახურები გვყავს ისეთი ძლიერი, რომ აღკვეთავენ ამის საშიშროებას?»**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მძიმე დანაშაულში მხილებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს გიორგი გოგინაშვილმა აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ მიუსაჯა, ჩათვალა, რომ ისინი ვერც გამოძიებაზე მოახდენდნენ ზეწოლას, არც მტკიცებულებათა განადგურების საშუალება გააჩნდათ და მოწმეებზეც ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ. ყველას გირაო შეუფარდა და სახლში გაუშვა. სამაგიეროდ, 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 28-ლარიანი ნივთის ქურდობაში ბრალდებულ კაცს.**

# «მიშისტი» მოსამართლეები თემიდას აუპატიურებენ!

**მიხეილ სააკაშვილის „ჯიბის მოსამართლეები“ კვლავ უგულებელყოფენ კანონისა და საზოგადოების მოთხოვნებს და იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე ამ ქვეყანას ანგრევდნენ, უამრავ არაადამიანურ დანაშაულს სჩადიოდნენ და ნაირგვარ კრიმინალურ ქმედებებში იმხილებიან, გირაოს სანაცვლოდ ათავისუფლებენ, პროკურატურის სამართლიან შუამდგომლობებს უარყოფენ და აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის გამოყენებაზე უარს ამბობენ. „ნაციონალებს“ რამდენიმე „მოსამართლე-ფალავანი“ ჰყავთ და ყველაზე ბობოლა ნაციონალ-დამნაშავეთა საქმეებს ისინი იხილავენ. მედიით ვრცელდება დასაბუთებული ცნობები, რომ ეს მოსამართლეები „ნაციონალთა“ მრავალი დანაშაულის თანამონაწილენი და პრაქტიკულად საკუთარი ძველი ქმედებების მძევლები არიან. ფაქტია, კოტე კუბლაშვილის უსამართლო სასამართლოს ყველაზე საჩინო წარმომადგენლები მეტისმეტად ლმობიერად ექცევიან მძიმე დანაშაულში ბრალდებულ „ნაციონალებს“ და ისინი წინასწარი 2-თვიანი პატიმრობისთვისაც არ ემეტებათ. არადა, „ნაციონალთა“ ზეობისას, იგივე მოსამართლეები მსუბუქი დანაშაულისთვისაც კი თვალის დაუხამხამებლად იყენებდნენ 2-თვიან წინასწარ პატიმრობას აღმკვეთ ღონისძიებად. ქართული სასამართლო სააკაშვილის ხელში პოლიტიკური დევნის იარაღი იყო, 1 ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალთა“ კრახის შემდეგ კი სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენელთა პატიებისა და მიტევების ინსტრუმენტად იქცა.**



გიორგი გოგინაშვილი

**გიორგი გოგინაშვილმა საციხედ ვერ გაიმეტა კალანდაძე და სამჯერ შეუფარდა მას აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო. ბაჩო ახალაიასა და გიორგი კალანდაძის ამფსონი ზურაბ შამათავაც სახლში გირაოს საფასურად გაუშვა გოგინაშვილმა.**

**თემურ პატარიძე** — **კუდის აჭარის სამმართველოს უფროსი.** თემურ პატარიძეს პროკურატურამ 5 მუხლით წაუყენა ბრალი: **143-ე — თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება პატიმრობით 7-დან 10 წლამდე; 180-ე — თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება პატიმრობით 4-დან 7 წლამდე; 181-ე — გამოძალვა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე; 333-ე — ისჯება ჯარიმით ან 3-წლიანი პატიმრობით. აღსანიშნავია, რომ 333-ე მუხლით პროკურატურა 4 ეპიზოდში სდებს ბრალს პატარიძეს. 338-ე — დიდი ოდენობით ქრთამის აღება და გამოძალვა, ისჯება 11-დან 15 წლამდე პატიმრობით.** „აჭარის №1 სადისტად“ წოდებულ თემურ პატარიძეს ლამის ყველა ამქვეყნიურ დანაშაულს ედავებოდა პროკურატურა, ცხადია, კონკრეტული მოწმეების ჩვენებებიც იყო საქმეში და სხვა სახის მტკიცებულებებიც. ახლა კონკრეტულ დანაშაულებზე მოგახსენებთ.

**თემურ პატარიძემ დახმარება გაუწია დანაშაულებრივ ჯგუფს ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრის, ბესო სურმავას, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.**

დაშინებითა და მუქარით, პატარიძემ კუდისთვის **პეტრე დევრიშაძეს უსასყიდლოდ გადააცემინა ავტომობილი „ფოლქსვაგენ-პასატი“.** იმავე დევრიშაძეს ძალდატანებით მოსთხოვა და მერე თავის სახელზე მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი, 3000 დოლარად ღირებული თოფი გადაიფორმა.

**გიორგი ქენქაძეს მოტყუებით გამოსძალა 2000 დოლარად ღირებული პისტოლეტი.** ქენქაძეს შეჰპირდა, რომ დაეხმარებოდა გამოძიების პროცესში, რაც არ გაუკეთებია.

**ომარ დიასამიძეს,** მანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლის გამო, **ქრთამის სახით, გამოსძალა 37 ათასი დოლარი და BMW X-5.**

პატარიძე მუქარით **აიძულებდა თეიმურაზ მორჩილაძეს, 8000 დოლარად ღირებული ავტომანქანა BMW-320 მისთვის გადაეფორმებინა,** რადგან მანქანას შეცვლილი ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნომერი. თუ მანქანას არ აჩუქებდა, პატარიძე მორჩილაძეს დაჭერით დაემუქრა.

**აი, ამ დანაშაულში მხილებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს გიორგი გოგინაშვილმა აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ მიუსაჯა, ჩათვალა, რომ ისინი ვერც გამოძიებაზე მოახდენდნენ ზეწოლას, არც მტკიცებულებათა განადგურების საშუალება გააჩნდათ და მოწმეებზეც ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ. ყველას გირაო შეუფარდა და სახლში გაუშვა.** მათ შორის, გოგინაშვილმა ისეთი რამ გააკეთა, ალბათ, საქართველოში არც ერთ მოსამართლეს რომ არ უქნია. **პროკურატურამ სამჯერ მიმართა სასამართლოს კალანდაძისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის მოთხოვნით, გოგინაშვილმა კი სამჯერვე უგულებელყო პროკურატურის მოთხოვნა და გიორგი კალანდაძეს სამჯერვე გირაო დააკისრა — საციხედ მაინც ვერ გაიმეტა.** როგორც „ნაციონალური“ მოძრაობის ლიდერები ირწმუნებიან, გოგინაშვილი პატიოსანი, სამართლიანი და პრინციპული მოსამართლეა და მას ყველა გადაწყვეტილება კანონისა და სინდისის კარნახით გამოაქვს.

**ახლა გიორგი გოგინაშვილის 2 გადაწყვეტილება შევადაროთ ზემოთ მოხსენიებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მან 1 ოქტომბრამდე გამოიტანა და ვნახოთ, მართლა კანონსა და სინდისზეა დაფუძნებული მისი ქმედებები თუ არა.**

**ნაზი კონჯარია.** ნასამართლობის არმქონე. ბრალი წარედგინა 172-ე მუხლის 1 ნაწილით და 362-ე მუხლის 1 ნაწილით. არასრულწლოვანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით. ნაზი კონჯარია, ახალშობილის შვილად აყვანის მიზნით, შეუთანხმდა ლალი კვარაცხელიას, ახალშობილზე გაკეთდა ყალბი ჩანაწერები, რის საფუძველზეც გაიცა ყალბი დაბადების მოწმობა — მასში ბავშვის დედად მითითებული იყო ნაზი კონ-

**პროკურატურამ სამჯერ მიმართა სასამართლოს კალანდაძისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის მოთხოვნით, გოგინაშვილმა კი სამჯერვე უგულებელყო პროკურატურის მოთხოვნა და გიორგი კალანდაძეს სამჯერვე გირაო დააკისრა — საციხედ მაინც ვერ გაიმეტა**

„საქართველო და მსოფლიო“ გაგაცნობთ ორი „ნაციონალი“ მოსამართლის საქმიანობის რამდენიმე ეპიზოდს — როგორი მკაცრი განაჩენები გამოჰქონდათ მათ 1 ოქტომბრამდე და მერე მყისიერად როგორ შეიცვალნენ და როგორი მოწყალენი გახდნენ, როცა განსასჯელის სკამზე სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. მკითხველისთვის ამ ფაქტების მოხმობით უფრო თვალნათელი გახდება, თუ რა უსამართლო სასამართლოს პირობებში ვცხოვრობთ და, ვიდრე ამ მოსამართლეთა განსასჯელი იქნება მტყუან-მართალი, მანამდე ამ ქვეყანაში სამართლიანობა ვერ აღდგება.

## გიორგი გოგინაშვილი – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

ამ მოსამართლემ ოქტომბრიდან დღემდე არ დააკმაყოფილა პროკურორების არც ერთი შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ და ყველა „ნაციონალ“ ბრალდებულ ჩინოვნიკს აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდა. აი, ეს ბრალდებულებიც:

**გიორგი ყორანაშვილი — საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე.** მას ბრალი 258-ე და 333-ე მუხლებით წაუყენა პროკურატურამ. **ყორანაშვილს კომპიუტერული სისტემების უკანონოდ გამოყენება და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებოდა ბრალად.** მან, პოლიტიკური პარტიებიდან ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით, სხვა პირებთან ერთად შექმნა ისეთი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც არსებულ პროგრამაში იწვევდა ცვლილებების შეტანას და ინფორმაციის არასანქცირებულ გადაღებას, საუბრის უკანონო მიყურადებას და გადაღებას. **ეს ორივე დანაშაული ცალ-ცალკე 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მოსამართლე გოგინაშვილმა არად ჩააგდო პროკურატურის მოთხოვნა, რომ თავისუფლებაში მყოფი ყორანაშვილი ანალოგიურ დანაშაულს, თუ მოისურვებდა, კიდევ ჩაიდენდა და მას ამაში ხელს არავინ შეუშლიდა.**

ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**გიორგი კალანდაძე — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ჯარების შტაბის ყოფილი უფროსი.** კალანდაძეს ბრალი პროკურატურამ 333-ე, 332-ე და 143-ე მუხლებით წაუყენა. **კალანდაძეს ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი არაერთგზის, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება; ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება დაზარალებულის პირადი შეურაცხყოფით — ისჯება ციხით, ასევე, 5-დან 8 წლამდე. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ეს დანაშაული კი 5-დან 10 წლამდე ციხეს ითვალისწინებს.** მოდით, უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ის ბრალდებები, რომლებიც პროკურატურამ კალანდაძეს წაუყენა.

გიორგი კალანდაძემ, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ და მე-4 ქვეითი ბრიგადის ყოფილმა მეთაურმა ზურაბ შამათავამ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სამხედრო მოსამსახურეებს. ძალის გამოყენებით აიძულებდნენ მათ, ელიარებინათ ჯარში ბუნტის მოწყობა და არეულობის შეტანა. **ამ უსასტიკესი მოპყრობის შედეგად, ჯარისკაცმა ბესიკ გოგლიძემ დედის საფლავზე მაღალი ძაბვის ელექტროსადენზე შეხებით სცადა თავის მოკვლა. საბედნიეროდ, გოგლიძე გადარჩა.**

გიორგი კალანდაძემ და ბაჩო ახალაიამ ორგანიზება გაუკეთეს ზვიად აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთას. მას ჯერ სცემეს, მერე **კონსპირაციულ ბინაში დააბეს და აიძულეს, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანა BMW X-6 სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის გადაეფორმებინა.**

კალანდაძემ და ახალაიამ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მხოლოდ იმის გამო, რომ კალანდაძის მიერ მანამდე კვლავ სიტყვიერად შეურაცხყოფილებმა უარი განაცხადეს, მასთან და ახალაიასთან ერთად ესადილათ.

**გიორგი არევაძემ აქაც „ნაციონალთა“ დაკვეთა შეასრულა — უგულავა დარბაზიდან გაათავისუფლა. მას გირაოც კი არ შეუფარდა აღმკვეთ ღონისძიებად. არევაძემ არც უფლებამოსილება შეუჩერა უგულავას — თბილისის ბიუჯეტის გაფლანგვაში ბრალდებული მერი ისევ პოსტზე დააბრუნა და იმავე ბიუჯეტის განკარგვის უფლება მისცა. სამაგიეროდ, სანდრო ბრეგაძეს, რომელიც უკვე თანამშრომლობდა გამოძიებასთან და საკუთარ საქციელსაც ინანიებდა, 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და კატეგორიული უარი განუცხადა აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს გამოყენების მოთხოვნაზე.**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ჯარია. **ეს დანაშაული ითვალისწინებდა ჯარიმას ან პატიმრობას 3 წლამდე. გოგინაშვილმა არ დააკმაყოფილა კონჯარიას ადვოკატთა არც ერთი შუამდგომლობა, არც გირაოს გამოყენების მოთხოვნა და ნაზი კონჯარია ციხეში გაისტუმრა — 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.**

**ომარ ლიფონავა.** ეს სისხლის სამართლის საქმე გიორგი გოგინაშვილის პრაქტიკაში, უეჭველად „ოქროს ასოებით“ ჩაიწერება. მას თუ მართლა შერჩენია სინდისის ნატამალი, წესით, ახლა თუ არა, შემდგომში მაინც უნდა იგრძნოს მისი ქენჯნა იმის გამო, რომ ომარ ლიფონავა ციხეში გაუშვა. ლიფონავაც ნასამართლობის არმქონე გახლდათ. მას 177-ე მუხლის 1 ნაწილით წაუყენეს ბრალი. **მისი მთელი დანაშაული ის იყო, რომ 28 ლარად ღირებული „ბრელოკი“ მოიპარა და დანაშაულის ადგილზე წაასწრეს. დანაშაული ჯარიმას ან ერთიდან 3 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. გოგინაშვილი ამ შემთხვევაშიც „უპრინციპულესი“ მოსამართლე გამოდგა — 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 28-ლარიანი ნივთის ქურდობაში ბრალდებულ კაცს.**

## გიორგი არევაძე – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

არც გიორგი არევაძეს ემეტება „ნაციონალი“ ბრალდებულები, თუნდაც 2-თვიანი წინასწარი პატიმრობისთვის. მან ყოფილი ხელისუფლების მრავალი დიდმოხელისა და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ბიზნესმენების არა ერთი საქმე განიხილა, მაგრამ ყველას გირაო შეუფარდა აღმკვეთ ღონისძიებად.

**თორნიკე გუნავა** — თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსი. ბრალი წაუყენეს 332-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ბრალდება: **სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 5 წლამდე.**

2012 წლის დასაწყისში თორნიკე გუნავამ, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მთავარმა ინსპექტორმა ალექსანდრე კუჭუხიძემ და ამავე დეპარტამენტის მეორე განყოფილების უფროსმა მერაბ მეტრეველმა მოიპოვეს მონაცემები მოქალაქე გ. ხ.-ზე. კერძოდ, დაადგინეს, რომ იგი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა იყო და ამის შესახებ შეატყობინეს სამხედრო პოლიციის იმჟამინდელ უფროსს — მეგის ქარდავას. **ქარდავას მითითებით, გუნავამ, კუჭუხიძემ და მეტრეველმა ფიზიკური ძალის გამოყენებით და პირადი ღირსების შეურაცხყოფით, გ. ხ. იძულებით დაითანხმეს თანამშრომლობაზე. მას დაავალეს, მოეპოვებინა ინფორმაცია არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების შესახებ და დაემყარებინა მათთან ურთიერთობა.**

2012 წლის ივნისში წინასწარ სათანადო აპარატურით აღჭურვილ ბინაში გ. ხ.-მ სქესობრივი კავშირი დაამყარა ი. კ.-სთან, რაც დააფიქსირა ფარულად დამონტაჟებულმა კამერამ.

**მოსამართლე გიორგი არევაძემ თორნიკე გუნავას გირაო შეეფარდა თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებად. მან ასევე გირაო შეუფარდა გუნავას 2 თანამზრახველს — კუჭუხიძესა და მეტრეველს.** მათაც იმავე მუხლებით აქვთ ბრალი წაყენებული, რომლითაც გუნავას და, გუნავას მსგავსად, მათაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

**გიორგი ქელბაქიანი.** შპს „ენ-სი-სი“-ს დირექტორის წინააღმდეგ საქმე 194-ე მუხლის 2 პუნქტითაა აღძრული. **გამოძიება ქელბაქიანს უკანონო ქონების ლეგალიზაციას ედავება. თანაც გამოძიება ამტკიცებს, რომ ეს დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ იყო ჩადენილი და ქელბაქიანმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი მიიღო. აღნიშნული დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, გიორგი ქელბაქიანს 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.**

2009-2012 წლებში შპს „გვირაბგამყვანის“ გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად გადარიცხული **6 მილიონ 624 ათას 925 ლარიდან ქელბაქიანმა და „ენსისი“-ს ფინანსურმა დირექტორმა ჩოგოვაძემ 2 მილიონ 535 ათას 546 ლარი კანონდარღვევით უკან მიიღეს და ამ ხერხით დამალეს მისი წარმოშობის წყარო.**

2009 წლის 19 დეკემბერს გიორგი ქელბაქიანმა თბილისში, 90 ათას დოლარად შეიძინა 160 კვ. მ მიწის ნაკვეთი. თუმცა შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებში მიწის ნაკვეთის ღირებულებად 300 ათასი დოლარი დააფიქსირა. ამით ქელბაქიანმა 200 ათასი დოლარი გაათეთრა (10 ათასი დოლარი შუამავალს გადაუხადა). **გიორგი არევაძემ გიორგი ქელბაქიანიც ვერ გაიმეტა საციხედ და ისიც გირაოთი გამოუშვა.**

**ცეზარ ჩოჩელი.** მცხეთათიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულსაც **უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და საჯარო მოხელის შესახებ კანონის დარღვევაში ედება ბრალი.** მის წინააღმდეგ 194-ე და 337-ე მუხლებითაა აღძრული საქმე. **პირველი ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ჩოჩელს 9-დან 12 წლამდე ციხე ემუქრება, მეორე ბრალდება კი 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.** ცეზარ ჩოჩელს, როგორც საჯარო მოხელეს, ეკრძალებოდა სამეწარმეო საქმიანობა. ამ დროს ის, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ შაქარაშვილის მიერ 2004 წელს დაარსებულ შპს „ნიუ ენერჯის“, საიდანაც სისტემატიურად იღებდა სარგებელს. ამასთან, სხვა პირებთან ერთად, წარმართავდა 2009 წლის 20 მარტს ნიკოლოზ შაქარაშვილის, ლუხუმ კაპანაძისა და იაგო ჩოჩელის დაფუძნებულ შპს „ბერტას“ საქმიანობას. **მიუხედავად ამ სოლიდური ბრალდებებისა, გიორგი არევაძემ ცეზარ ჩოჩელსაც გირაო შეუფარდა აღმკვეთ ღონისძიებად.**

**გიგი უგულავა.** ამ გახმაურებული საქმის დეტალებით თავს არ შეგაწყენთ. მოკლედ გეტყვით, რომ **გიგი უგულავას პროკურატურა დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას, ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების მიზნით დანაშაულებრივი სქემის შექმნას და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელობას ედავება.** შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნოდ გიგი უგულავამ „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორებისა და აქტივისტებისთვის ანაზღაურების ლეგალური ფორმის მიცემის მიზნით, მერიის დასაქმების სამსახურში შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. **აღნიშნულ სამსახურში 764 „ნაციონალი“ იყო გაფორმებული და მშობლიური პარტიისთვის გაწეული სამსახურისთვის თბილისის ბიუჯეტიდან იღებდნენ ხელფასს.** ახლა მეორე ბრალდებას მივხედოთ. თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრ დავით კეზერაშვილთან ერთად, გიგი უგულავა იყო მთავარი მომლაპარაკებელი პირი ბადრი პატარკაციშვილის გერ ძმასთან — ჯოზეფ ქეისთან. **მან მერიის მიერ 7 მილიონად გაყიდული რიყის ტერიტორია, მერიისავე სახსრებით, 17 მილიონად უკან გამოისყიდა და სხვაობა, 10 მილიონი, ჯოზეფ ქეის გადაუხადა „იმედის“ საკონტროლო პაკეტის საფასურად.** გიგი უგულავას წინააღმდეგ 182-ე და 194-ე მუხლებით არის საქმე აღძრული. **პირველ შემთხვევაში, რაც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებით კვალიფიცირდება, უგულავას 7-დან 11 წლამდე ციხე ემუქრება, მეორე ბრალდების (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) დამტკიცების შემთხვევაში კი — 9-დან 12 წლამდე პატიმრობა.**

**გიორგი არევაძემ აქაც „ნაციონალთა“ დაკვეთა შეასრულა — უგულავა დარბაზიდან გაათავისუფლა. მას გირაოც კი არ შეუფარდა აღმკვეთ ღონისძიებად.** შესაძლოა, პროკურატურის მოთხოვნილი გირაოს თანხა — 1 მილიონი ლარი ებევრა არევაძეს, მაგრამ მას შეეძლო გაცილებით ნაკლები თანხა შეეფარდებინა გირაოდ თბილისის მერისთვის. **არევაძემ არც უფლებამოსილება შეუჩერა უგულავას** — თბილისის ბიუჯეტის გაფლანგვაში ბრალდებული მერი ისევ პოსტზე დააბრუნა და იმავე ბიუჯეტის განკარგვის უფლება მისცა.

ახლა ვნახოთ რამდენიმე ფაქტი საზოგადოებისგან „ზონდერ-მოსამართლედ“ წოდებული გიორგი არევაძის 1 ოქტომბრამდე გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან. ამის მერე კი თავად დაასკვენით, რამდენად მიუკერძოებული და პატიოსანი მოსამართლეა ბატონი არევაძე.

**მამუკა მაისურაძე.** ამ პიროვნებამ 286-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა. მთელი მისი ცოდვა ის არის, რომ **3500 ლარი აიღო „გასამრჯელოდ“, რის სანაცვლოდაც, შპს „თელიზის“ დირექტორ ლიანა ლოლაშვილს გადასცა საკონტროლო სალარო აპარატი შეცვლილი ფისკალური მეხსიერებით.** ახალ აპარატზე ნავაჭრი თანხა დაფიქსირებული იყო 42 ათას 371 ლარი, ნაცვლად რეალური ნავაჭრი თანხის — 61 ათასი ლარისა. სახელმწიფო ამით 20 ლარითაც კი არ აზარალა მამუკა მაისურაძემ, როცა გიგი უგულავამ ათეულობით მილიონი ლარი მოპარა თბილისის ბიუჯეტს. **მაისურაძეს სახელმწიფო ბიუჯეტზე „მზრუნველმა“ გიორგი არევაძემ, ცხადია, აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა** და მისი ადვოკატების წინადადება გირაოს შეფარდების შესახებ არც კი განიხილა.

**რომან ბურაშვილი.** ნასამართლობის არმქონე. **ამ პიროვნებას პროკურატურამ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღებაში დასდო ბრალი.** მან ზ. მაისურაძესთან და ლ. დარასელიასთან ერთად, დაამზადა და გაყიდა 3 ყალბი დაბადების მოწმობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი. დაბადების მოწმობების რეალიზაციით 210 ლარი მიიღო, დიპლომის საფასურის, 400 დოლარის, აღებისას კი დააკავეს. **გიორგი არველაძემ რომან ბურაშვილიც, დარასელიაც და მაისურაძეც ძიების დასრულებამდე 2 თვით გაუშვა ბაჩო ახალაიას ჯოჯოხეთში — ქართულ ციხეში.**

**სანდრო ბრეგაძე.** 2011 წლის გაზაფხულზე ყოფილ პარლამენტარს **„ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურზე ოპერატორთან შელაპარაკება მოუვიდა.** გიორგი არევაძემ არ გაითვალისწინა ბრეგაძის დაცვის შუამდგომლობა, რომ გირაო შეეფარდებინათ მისთვის. არადა, ბრალდებული იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და ადვოკატმა ესეც ფაქტებით დაუმტკიცა მოსამართლეს. ამასთან, **ბრეგაძე უკვე თანამშრომლობდა გამოძიებასთან და საკუთარ საქციელსაც ინანიებდა.** ამის მიუხედავად, **სანდრო ბრეგაძეს გიორგი არევაძემ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და კატეგორიული უარი განაცხადა აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს გამოყენების მოთხოვნაზე.** სანდრო ბრეგაძე გამოძიებას დაემალება და ზეწოლას მოახდენს გამოძიებასა და დაზარალებულზეო, — განუცხადა ბრეგაძის მხარეს გიორგი არევაძემ.

**მოკლედ, ნულოვანი ტოლერანტობა უსაზღვრო ჰუმანურობამ შეცვალა ქართულ სასამართლოში.**

**ამის შემდეგ მეტი აღარაფერი მეთქმის: Национальный суд — самый гуманный суд в мире!!!**

**ლევან ჯავახიშვილი**


გიორგი არევაძე

**6 მილიონ 624 ათას 925 ლარიდან ქელბაქიანმა და «ენსისი»-ს ფინანსურმა დირექტორმა ჩოგოვაძემ 2 მილიონ 535 ათას 546 ლარი კანონდარღვევით უკან მიიღეს და ამ ხერხით დამალეს მისი წარმოშობის წყარო. გიორგი არევაძემ გიორგი ქელბაქიანიც ვერ გაიმეტა საციხედ და ისიც გირაოთი გამოუშვა**

**ნულოვანი ტოლერანტობა უსაზღვრო ჰუმანურობამ შეცვალა ქართულ სასამართლოში. ამის შემდეგ მეტი აღარაფერი მეთქმის:**

**НАЦИОНАЛЬНЫЙ СУД — САМЫЙ ГУМАННЫЙ СУД В МИРЕ!!!**



რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თავისუფლების ინსტიტუტი“ სხვას არაფერს აკეთებს ქვეყანაში, თუ არა დისკრედიტაციას მართლმადიდებლური ეკლესიისა. ამასთან, ძალიან კარგად თანამშრომლობენ სხვადასხვა კონფესიასთან და, უწინარეს ყოვლისა, უდიდეს რელიგიურ კონფესიებთან.“

მამა ბართლომე:

# კმარა ბოკერია, კმარა სააკაშვილი, კმარა უგულავა, კმარა რამიშვილი... კმარა თუთბერიძე!

## მორჩა თქვენი დრო საქართველოში!

«თუ სასულიერო პირი, გინდაც ერის ადამიანი, გინდაც მთავრობის წევრი არ აღიარებს თავის დანაშაულს და სასჯელს არ მოიხდის, მიტევებაზე ლაპარაკი ზედმეტია»

**თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაიშვილი) აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებებში, მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქომ სასულიერო პირებს მოსთხოვა, თავი აერიდებინათ პოლიტიკური დატვირთვის მქონე აქციებისთვის. რა რეაქცია მოჰყვა მის ამგვარ ქმედებას? გაკიცხეს, დასაჯეს, შეუნდეს, თუ — არც არაფერი?**



— ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი და ღირებულება არის თავისუფლება. ღმერთმა იგი თავისუფალი ნებით შექმნა, მისი თავისუფლების შეზღუდვა არავის შეუძლია. თავისუფლებაა, როცა შენ საკუთარი თავის უფალი ხარ. ადამიანი სრულად არის დამორჩილებული გონს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ იყო დამორჩილებული კეთილ გონს, კეთილ თავს ვერ იყო დამორჩილებული.

„ქართული ოცნების“ მოძრაობაში ჩემი ჩართვის მიზეზი და მიზანი (მე, როგორც ერთ ადამიანს, მოქალაქეს ამ ქვეყნისას და ამავე დროს სასულიერო პირს, ასე მიმაჩნდა) ჩემი სამშობლოს გვერდით ყოფნა იყო.

**მამა ბართლომე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ ეროვნული მოძრაობაა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ერის წინამძღოლი ადამიანი და, ღმერთისა და ხალხის ნებით, გამოიყვანა საქართველო უმძიმესი მდგომარეობიდან. მისთვის სამშობლო უფრო მაღალი მცნებაა, ვიდრე სახელმწიფო. ეს ყველაფერი ლოგიკურ ჯაჭვად ისეა შეკრული, რომ არ მოვერიდე და ვკითხე:**

**— მამაო ბართლომე, ეს რწმენა, რომელიც თქვენს გონშია ჩამჯდარი, რომელმაც გამოგიყვანათ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ნუთუ უცხო იყო იმათთვის, ვინც ზემოთ თქმული მითითება გასცეს?!**

— მე ვერავის სულში ვერ ვიხედები, არავის შინაგანის განჭვრეტა არ შემიძლია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩემს დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ, თუმცაღა **არის ადამიანების ნაწილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მოღვაწეობა იყო გამართლებული, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. 2003 წელს ვიყავი მომხრე ცვლილებების, მაგრამ ამ ცვლილებებმა, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაამართლა.**

ჩვენ, სასულიერო პირები, აქტიურად დავდიოდით ციხეებში.

**— ნუგეშის საცემად პატიმართა?**

— არა მარტო ამისთვის. ყველას კარგად ახსოვს პრეზიდენტის მოწოდება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, რასაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია დაემატა, რომელიც მან საჯაროდ გამოიტანა: მე ვარ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის მომხრე. რაც, ალბათ, მიუღებელია ამ თანამდებობაზე მყოფი ადამიანისთვის, რომელიც სამართლიანობის მომხრე უნდა იყოს და არა სიმკაცრის.

**— „ქმნა მართლისა სამართლისა“...**

— დიახ, ასე. **სიტუაცია, რომელიც ციხეებში ჩამოყალიბდა, რთულზე ურთულესი იყო. სრულიად გაუსაძლისი. პატრიარქი ამაზე ხშირად ლაპარაკობდა თავის ქადაგებებში.**

მესმის, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს: უმჯობესია, ადამიანმა სასჯელი ამ ქვეყანაზე მოიხადოს, ვიდრე საიმქვეყნოდ წაყვეს. საეკლესიო წესისა და კანონის თანახმად, **ადამიანს ერთი ცოდვისთვის, ერთი დანაშაულისთვის ერთი სასჯელი ედება. ჩვენს პატიმრებს ამას რომ არ აკმარებდნენ, ვიცით: აწვალებდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, ღირსებას ულახავდნენ. ყოველგვარი უმსგავსობა ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის ციხეში.**

გარკვეული ხნის შემდეგ შევწყვიტე ციხეებში სიარული.

**— ალბათ, იმიტომ, რომ აზრი არ ჰქონდა?**

— ამიტომაც.

**— მამაო, მოგეკითხათ იმის გამო, რომ დაარღვიეთ საპატრიარქოს მითითება?**

— არა, არა. ვერ ვიტყვი, რომ მომეკითხა. თუმცა იყო გარკვეული რჩევა სასულიერო პირთა ერთი ნაწილისგან, არ მევლო მიტინგებზე. მაგრამ იმას, რაც ხდებოდა, მიტინგს ვერ დავარქმევ. ვფიქრობ, რომ ეს იყო საერთო-სახალხო, ეროვნული შეკრებები, რომლებზეც მისვლა ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა...

არა მგონია, რომ ვინმეს სურვილი ჰქონდა, მოეკითხა ჩემთვის. ვფიქრობ, ისინიც კი, ვინც აკრძალვას ემხრობოდნენ, შინაგანად ჩემსავით იყვნენ განწყობილნი.

**— ყოფილი ხელისუფლება რომ ცდილობდა ეკლესიის ორად გახლეჩას, ცნობილია. ამ თემასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ.**

— რაც შემეძლება, გიპასუხებთ.

**— არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გახლეჩის რეკომენდაცია, გნებავთ, მითითება, აშშ-ის სპეცსამსახურებიდან მოდიოდა, დაკვეთა იყო, დავალება. ატყობდით ამის მსგავსს?**

— რაც ხელისუფლებაში მოვიდა „ნაციონალური მოძრაობა“, მის მერე ვატყობდი და ვგრძნობდი, რომ **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრებული და გამიზნული ზემოქმედება მიმდინარეობდა.** ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ამერიკა, ევროპა თუ რუსეთი იქნება ამ წნეხის შემოქმედი.

არ ვიტყვი, რომ ზემოქმედება უშუალოდ პატრიარქზე მიმდინარეობს, მაგრამ ქვედა რგოლებზე გავლენის მოპოვებას ყველა სახელმწიფო ესწრაფვის, რათა თავის სასიკეთოდ გამოიყენოს რელიგიური გარემო. სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, რომ რელიგიური გარემო არ არის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების ასპარეზი, არამედ შინაგანი მრწამსის გამოხატულებაა. თუმცაღა **„თავისუფლების ინსტიტუტი“ სხვას არაფერს აკეთებს ქვეყანაში, თუ არა დისკრედიტაციას მართლმადიდებლური ეკლესიისა. ამასთან, ძალიან კარგად თანამშრომლობენ სხვადასხვა კონფესიასთან და, უწინარეს ყოვლისა, უდიდეს რელიგიურ კონფესიებთან.**

ბუნებრივია, რომ ასეთი საქმიანობა მართული იყო და სერიოზული თანხებიც იყო ჩადებული.

**— თანხები კი ციდან მანანასავით არ ცვივა. დამფინანსებელი გავლენიანი ძალებია, გავლენიანი და მდიდარი.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იყო და რჩება ქართული ეკლესიის ერთგული. ის, უხვად დაფინანსებული მზაკვრული გეგმა ჩაიშალა. ეკლესია ცოცხალი სხეულია, მას ძალით ვერ დაანგრევ, ამიტომ ცდილობდნენ ნეობოლშევიკები შიგნიდან მის გატეხვას ისეთი სასულიერო პირების მეშვეობით, რომლებიც ოცდაათ ვერცხლად გაიყიდებოდნენ; ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხდებოდა სასულიერო პირთა გარკვეულ ჯგუფზე ზემოქმედება, რაშიც აქტიურად იყო ჩართული მთავრობა გარკვეული სახის მოსყიდვებით.

**— მოსყიდვების ერთი ფორმა, რომელმაც მრევლზე უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა, იყო ძვირადღირებული ავტომანქანებით დასაჩუქრება... თქვენ ხომ არ მიგიღიათ ასეთი ავტომობილი?**

— არა. ეს ძვირფასი ავტომანქანები დაურიგდათ მღვდელმთავრებს.

**— თქვენი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი?**

— ადამიანი, რომელიც ზნეობრივ სიმაღლეზე დგას, მას გინდა ძვირფასი მანქანა აჩუქე, გინდა ოქროს კოშკი დაუდგი, იგი არ გაიყიდება. თუ ვინმეს ამის გამო გადაცდომა ჰქონდა, გაიყიდა, ეს მისი ზნეობრივი და შინაგანი პრობლემაა. ზნეობრივი ადამიანისთვის საჩუქარი არ უნდა გახდეს მისი მონური მორჩილების განმსაზღვრელი.

**— მაგრამ აქ სხვა პრობლემა იჩენს თავს. კერძოდ, ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა თავისი ქონება, რაც კონკორდატითაა დადასტურებული (მუხლი მე-11) და რაც ეკლესიის საკუთარი შესაძლებლობით მომძლავრებისა და ფეხზე დადგომის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს არ სურდა ყოფილ ხელისუფლებას, მან უარყო ეს შეთანხმება, სამაგიეროდ მანქანების დარიგების მსგავსი ღონისძიებებით შეეცადა ეკლესიის სახელმწიფოზე დამოკიდებულების განმტკიცებას.**

**ეკონომიკურად სუსტი ეკლესია და „გულმოწყალე“ სახელმწიფო, რომელზეც სრულად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული „მადლიერების გრძნობით გამსჭვა-** ▶

«იმას, რაც ხდებოდა, მიტინგს ვერ დავარქმევ. ვფიქრობ, რომ ეს იყო საერთო-სახალხო, ეროვნული შეკრებები, რომლებზეც მისვლა ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა...»

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ყველაზე ძლიერი საბოტაჟი სუფევს კუბლაშვილის სასამართლოში. ეს არ არის ქართული სახელმწიფოს სასამართლო. ეს არის ვიწრო პარტიული ჯგუფის სასამართლო, რომელსაც სათავეში უდგას კოტე კუბლაშვილი, ეს ადამიანი დასცინის ქართულ საზოგადოებას, დასცინის ქართველ ხალხს.“

◀ლული“ მართლმადიდებლობის სულიერი ტაძარი.

**გიფიქრიათ ამაზე?**

— ეკლესიას სახელმწიფოს დახმარება არ დასჭირდება იმ შემთხვევაში, როცა თავისი ქონება დაუბრუნდება. ეკლესიას სახელმწიფოს ვალი არ აქვს. სახელმწიფოს აქვს ეკლესიის ვალი — უამრავი ჩამორთმეული მიწა, შენობა-ნაგებობა, ძვირფასეულობა — ხატების შემკობილობა და ა. შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სახელმწიფო მოვალე არის, ეკლესიისთვის გარკვეული, არ ვიტყოდი დახმარება, უფრო კომპენსაცია გაეწია. ავტომანქანა თუ სხვა რამ, ვფიქრობ, ერთგვარი სატყუარა იყო, რათა მთავრობაზე ეკლესიის დამოკიდებულების შთაბეჭდილება შექმნილიყო და გამჯდარიყო ეკლესიის შიგნითაც და საზოგადოებრივ აზრშიც.

თქვენი გაზეთის მკითხველების ყურადღებას მივაქცევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: **ქართული ეკლესიის გვერდით არ დგანან მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები. ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ პატრიარქის საიუბილეო დღეებზე დასასწრებად აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა შეიხ-ულ-ისლამი კავკასიისა და პატრიარქს ორდენი გადასცა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. უდიდესი პატივისცემის გამოხატულებასთან ერთად ეს იყო, ჩემი აზრით, პასუხი ბინძური ძალების ყოვლად უსინდისო მცდელობაზე — ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ მუსლიმი(!) და მართლმადიდებელი ქართველები საქართველოს შიგნით.**

— რა ძალები იდგნენ ამ პროვოკაციის უკან, გაშიფრა ამ დღეებში აზერბაიჯანიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, შეეცადა, ჯერ აზერბაიჯანელი კოლეგა დაერწმუნებინა, შემდეგ — ქართველი საზოგადოებრიობა, რომ მოსკოვში მოღვაწე მარნეულელი აზერბაიჯანელი ბიზნესმენი ამზადებს მეზობელი ქვეყნის კანონიერი მთავრობის დამხობას. ქვეტექსტი — როგორც მე მომიწყოო „მოსკოვის აგენტმა“ ქართველმა მილიარდერმა. ეს ერთი. მეორე, არანაკლებ მზაკვრული ჩანაფიქრი — საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის განხეთქილების ჩამოგდება.

მიიღო კიდეც პასუხი ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელებისგან. ამის წინაპირობა კი შეიხის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო.

**— თქვენც გსმენიათ, ალბათ, რომ აშშ-ის სპეცსამსახურების სპეციალისტებმა დაამონტაჟეს საქართველოს საპატრიარქოში და ყველა ეპარქიაში მიყურადების თანამედროვე აპარატურა. ამ ოპერაციის კოდური სახელმწოდება იყო „აღსარება“, მკრეხელური ცინიზმის მწვერვალი.**

— ამის შესახებ არაფერი ვიცი და ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რად უნდა ამას ამერიკის სპეცსამსახურები, როცა მიშა სააკაშვილის მთავრობის დროს უსმენდნენ ყველას, ისმენდნენ ყველაფერს. ეს იყო პათოლოგია, დაავადება, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა და დამკვიდრდა. ვერ დავაბრალებ ამას ვერც ერთ სპეცსამსახურს, ეს ჩვენი ყოფილების ავადმყოფური აკვიატება იყო.

**— თქვენს დასკვნას ადასტურებს ისიც, რომ ოპერაცია „აღსარებას“ ხელმძღვანელობდა ერთი პატარა კაცი, შსს-ს მაღალჩინოსანი, კუდის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ქვეყნიდან გაქცეული სოსო თოფურიძე, რომელიც თავის დროზე სადისტური სიამოვნებით აცხადებდა, ამდენი და ამდენი კაცი დავაპატიმრეთო.**

— ძალიან პატარა ადამიანები იყვნენ. როცა მთავრობაში იყვნენ, ძალიან ომახიანად ყვიროდნენ, დახტოდნენ, ცუდი სიტყვა უნდა ვიხმარო, გორილასავით დახტოდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მათ ბევრი თავიანთი წვრილფეხობა დატოვეს ეკლესიაში, რადგან გარკვეული ურთიერთობები ჰქონდათ გაბმული მათთან. მაგრამ ეს ადამიანები ისტორიისთვის, ალბათ, არაფერს წარმოადგენენ და ისტორია მათ დაივიწყებს ისევე, როგორც ბევრი სხვა დაუვიწყებია.

**— მამაო ბართლომე, მითხარით, ამდენი ცოდვის ჩამდენთ მიეტევებათ?**

— ცოდვის მისატევებლად საჭიროა, რომ ადამიანმა აღიაროს ჩადენილი ცოდვა. აღიარებას უნდა მოჰყვეს სასჯელი, გარკვეული ეპიტემია, რაც ნიშნავს, რომ იგი სინანულის ქვეშ იმყოფება. სინანულს უნდა მოჰყვეს გამოსწორება ადამიანის ქცევის, მისი სულიერი მდგომარეობის.

**თუ სასულიერო პირი, გინდაც ერის ადამიანი, გინდაც მთავრობის წევრი არ აღიარებს თავის დანაშაულს და სასჯელს არ მოიხდის, მიტევებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მიტევებამდე ბევრი გზაა გასავლელი: აღიარება, სინანული, სასჯელის მოხდა, შენდობა ღმერთისგან. „მამაო ჩვენოში“ წერია: მიუტევე, რომ მოგეტევოს. ჩვენ მივუტევებთ, როგორც ადამიანები, მაგრამ ღმერთი?**

**— საოცარია პირდაპირ უსაზღვროება გაუნათლებლობისა. ახლახან რამდენიმე ჟურნალისტთან შეხვედრის დროს სააკაშვილი ალაპარაკდა „მოტევებაზე“: ერთხელ, ორჯერ — მოტევება და მოტევებაო. ესმის კი მიტევების არსი ადამიანს, რომელსაც ეს სიტყვაც კი სწორად ვერ წარმოუთქვამს?**

— მიშა სააკაშვილის გამონათქვამების სიბრიყვე საყოველთაოდ ცნობილია. როცა მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის წინ ხალხს დაჰპირდა, რომ ჩვენ დავბრუნდებითო აფხაზეთში, იქვე დაამატა, — ეს სიტყვები არასოდეს ასეთი დარწმუნებით და ასეთი თავდაჯერებით არ წარმომითქვამსო.

მაშინ იქ ერთმა ადამიანმა თქვა: ღმერთმა ქნას!

წარმოუდგენლად მკრეხელური იყო ამ სიტყვებზე სააკაშვილის რეაქცია: ღმერთმა კი არა, ჩვენ უნდა ვქნათო. ესე იგი, ღმერთს იგნორირება გაუკეთა, შეურაცხყო იგი...

და ღმერთმაც მას ანალოგიურად მიაგო.




## «კოტე კუბლაშვილმა ბევრი გადაიტანა თავისი ჯანმრთელობის გამო. მინდა ვუთხრა, როცა რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, თავი მაღლა აწიოს და ღმერთს შეხედოს!»

ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს დააკნინა ეროვნული იდეა, კერძოდ ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახა თავისი უმეცრება. არა მგონია, რომ დედა ღვთისმშობელმა აპატიოს მას ეს.

უბედურებაა, რომ სააკაშვილს ჟურნალისტების გარკვეული ნაწილი ბაძავს. იმ დღეს პირველ არხზე მოვუსმინე დიალოგს დავით პაიჭაძესთან და ისიც ანალოგიურად მსჯელობს.

**— ნუ გიკვირთ, მამაო ბართლომე, ჩვენი გაზეთის უკვე ნახსენებ პუბლიკაციაში — „ვინ დააფინანსა ოპერაცია „ორი პატრიარქი“. და რა მიზანს ემსახურებოდა ოპერაცია „აღსარება“, ნათქვამი იყო, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ რეგულარულ თავდასხმებს ქართულ ეკლესიასა და მის უმაღლეს იერარქებზე, ისევე, როგორც ამერიკიდან მიღებული დირექტივების ქართული რეალობისთვის ადაპტირებას განახორციელებდა ერთი ჯგუფი გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილის, გიგი თევზაძის, ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, მამუკა ახვლედიანის, გივი თარგამაძის, ამირან მესხელის, აკაკი მინაშვილისა და გიორგი მელაძის შემადგენლობით. მათ შორის იყო თქვენ მიერ ნახსენები დავით პაიჭაძეც, ამიტომ მისგან ასეთი მკრეხელობა ბუნებრივია და მოსალოდნელი.**

— არც მიკვირს. მაგრამ მინდა, ამ ადამიანს მოვუწოდო, ცოტა გონს მოეგოს. ღმერთის სახელის ამაოდ ხსენებას თავი დაანებოს, თორემ უფალი მას ისე თუ შეეხო, როგორც საჭიროა, მაშინ მიხვდება ღმერთის ძალას და დაავიწყდება, სეკულარიზაცია რაც არის.

**— „კმარას“ ფუძემდებლები...**

**— მართლა კმარა გიგა ბოკერია, მიშა სააკაშვილი, გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი და მათნაირები. თუგინდ — თეა თუთბერიძე. კმარა, მორჩა მათი დრო საქართველოში.**

**— საერთო-სახალხო მოძრაობა ახსენეთ თქვენ, ეროვნული მოძრაობა. ახლა რა დრო გვიდგას? ხომ არ დამუხრუჭდა ხალხის აღზევებული ძალა?**

— ამ მოძრაობას არა აქვს მინელების დრო და საშუალება, არც უფლება.

არ მინდა, ქვეყნის სათავეში მოსული პრემიერ-მინისტრი ვაქო, მაგრამ ნამდვილად მჯერა ამ ადამიანის დაულალაობის, შრომის, ენერგიის, რომელსაც იგი საქართველოს, თავის სამშობლოს მოახმარს. მაგრამ ქებასაც ვერ გავურბივარ, რადგან ვხედავ მის გულანთებულობას. გახსოვთ, რამდენს ლაპარაკობდნენ წინასაარჩევნო პერიოდში, რომ ბიძინა ივანიშვილი შეცდომას შეცდომაზე უშვებსო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთხელ არ შემცდარა. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და შედეგიც მივიღეთ.

ვფიქრობ, რომ ახლაც ყველაფერი გათვლილი აქვს.

**დღეს საქართველოში, ასე თუ ისე, ორხელისუფლებიანობა სუფევს. ერთ მხარეს მთავრობაა, მეორე მხარეს — მიშა სააკაშვილი და მისი ჯგუფის წევრები, რომლებიც პრემიერ-მინისტრის, ქართველი ხალხის წინააღმდეგ აწყობენ საბოტაჟს. ამ საბოტაჟის სუნი ყველგან მცემს.** მესმის, რომ საშუალო და დაბალ რგოლებში მომუშავე ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნა დაუშვებელია, მაგრამ იმათაც უნდა ესმოდეთ, რომ ასევე დაუშვებელია საბოტაჟში მონაწილეობა. თუ ადამიანები მათ პასუხს არ მოსთხოვენ, ღმერთი ხომ მოსთხოვს!

**— სამართალი დუმს?**

**— ყველაზე ძლიერი საბოტაჟი სუფევს კუბლაშვილის სასამართლოში. ეს არ არის ქართული სახელმწიფოს სასამართლო. ეს არის ვიწრო პარტიული ჯგუფის სასამართლო, რომელსაც სათავეში უდგას კოტე კუბლაშვილი, ეს ადამიანი დასცინის ქართულ საზოგადოებას, დასცინის ქართველ ხალხს.**

მინდა შევახსენო, რომ წლების წინ მას მძიმე დაავადება აქვს გადატანილი, რომელმაც შეიძლება კვლავ თავი იჩინოს, თუ იგი კვლავ ასე მოიქცევა: იგი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიდის და ცდილობს, პარტიული ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის, გადაარჩინოს.

ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო, კოტე კუბლაშვილმა ბევრი გადაიტანა თავისი ჯანმრთელობის გამო. მინდა ვუთხრა, როცა რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, თავი მაღლა აწიოს და ღმერთს შეხედოს!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S წინასაარჩევნო პერიოდში მამა ბართლომე ხშირად ჩადიოდა ჭორვილაში, ხვდებოდა ქალბატონ ციცინოს — ბიძინა ივანიშვილის 90 წლის დედას. ვეკითხები, როგორი იყო დედის დამოკიდებულება ქვეყნის ბედტეხილის სათავეში მდგარი შვილის რისკიანი საქმიანობის მიმართ?**

**— ყოველთვის შემართებული განწყობილება ჰქონდა. ყოველთვის სჯეროდა თავისი შვილის სამშობლოსთვის გამარჯვების.**

**მხნედ იყო და მისთვის ჩვეულ იუმორს არ ივიწყებდა. წინასაარჩევნო დღეებში „ნაციონალებმა“ ჭორვილელთა ღობეებს, მათ შორის, ივანიშვილების ღობესაც, წრეში ჩაწერილი ხუთიანები მიახატეს.**

**შეშფოთდნენ მეზობლები და თავიანთი შეწუხება ქალბატონ ციცინოს გაუზიარეს. იმან კი:**

**— რაო, თქვენს ღობეებს რომ დააჩხაპნეს და ჩემსას ლამაზად რომ მიაწერეს, ამან შეგაწუხათ?**

**იუმორში გაუტარა.**

## კახა კალაძე: სააკაშვილი საქართველოს ნომერ პირველი ჯამბაზია!

**საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, კახა კალაძე, მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილთან ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მოლაპარაკება წარმოუდგენელია. ამის შესახებ მინისტრი გაზეთ „ვერსიასთან“ ინტერვიუში აცხადებს.**

„ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებები იმას მაგონებს, კატა თაგვს კუთხეში რომ მიიმწყვდევს, „ნაციონალები“ თაგვის როლში არიან. კოაბიტაციის მიმართ პესიმისტურ განწყობას კი 9 წლის განმავლობაში მათი ცხოვრება მიქმნის. „ნაციონალების“ ქცევა კანონს, ქართველი ხალხის, ქვეყნის ინტერესებს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება.

წარმოუდგენელია, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მოლაპარაკება ისეთ ადამიანთან, როგორიც სააკაშვილია. ის პოლიტიკურად გაკოტრებული ადამიანია, რომელმაც თავისი ფუნქციები ამოწურა და ვადაგასული პრეზიდენტია. ისე, ბოლო წლებში, თავისი ქმედებიდან გამომდინარე, ჩემთვის პრეზიდენტი არ ყოფილა. დღეს კი თავის ქმედებებით, სატელევიზო განცხადებებითა და პრესკონფერენციებით სააკაშვილი საქართველოს ნომერ პირველი ჯამბაზია“, — აცხადებს კახა კალაძე.

მისივე აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმები სიცრუესა და დემაგოგიაზეა აწყობილი.

**„სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია, მაგრამ პროკურატურის მუშაობის შედეგს კოტე კუბლაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის უპასუხისმგებლო სასამართლო აბათილებს და წყალში ყრის. ეს ადამიანები, პირდაპირი მნიშვნელობით, მომსხდრები არიან სამართალზე — მათთვის კანონი არ არსებობს და საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებენ. სასამართლო პირდაპირ სააკაშვილს ექვემდებარება, კუბლაშვილი კი სააკაშვილის ყურმოჭრილი მონაა და იმას აკეთებს, რასაც სააკაშვილი დაავალებს. კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს, რომელიც კრიმინალია“,** — აცხადებს კახა კალაძე.



საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლებამ ერთპიროვნული გადაწყვეტილებები აღარ უნდა მიიღოს არც პრეზიდენტის არჩევის საკითხთან დაკავშირებით, არც იმასთან დაკავშირებით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტი. ამაში უნდა იყოს ჩართული სამოქალაქო საზოგადოება, ხალხი, რომლის პრეზიდენტიც უნდა გახდეს ის. ხელისუფლება საზოგადოებას უნდა დაეკითხოს ყოველთვის ასეთ სერიოზულ საკითხებში.“**

# მომავალი პრეზიდენტი — დეკორაცია თუ კონფლიქტების მოგვარების გასაღები?

**მომავალი პრეზიდენტის შერჩევის კრიტერიუმებისა და მისი ფუნქციების თემა, რომელიც ჩვენმა გაზეთმა ორიოდე კვირის წინ წამოჭრა, დღეს პოლიტიკური პარტიების აქტიური დისკუსიის საგანი გახდა. კერძოდ, ჩვენს გაზეთთან საუბრისას პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ სრულიად ახლებური და საინტერესო ხედვა წარმოადგინა ამ საკითხზე და ხაზი გაუსვა, რომ მომავალი პრეზიდენტის მთავარი პასუხისმგებლობა კონფლიქტურ რეგიონებთან, აგრეთვე, რუსეთთან და ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობების მოგვარება უნდა იყოს. „საქართველო და მსოფლიომ“ ამასთან დაკავშირებით აზრი პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს ჰკითხა.**



**— პრეზიდენტის არჩევის ფორმის პარალელურად, ხომ არ უნდა გაიმართოს დისკუსია იმაზეც, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი?**



**გულბაათ რცხილაძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— ამასწინათ რომელიღაც აქციაზე ახალგაზრდა გოგონას ეჭირა პლაკატი და მიხეილ სააკაშვილს ეკითხებოდა, ფსიქო თუ გაქვთო. ალბათ, **ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რომელიც მომავალმა საპრეზიდენტო კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს, ფსიქოანალიზის ქონაა.** ამჟამინდელ პრეზიდენტს, მართალია, ვადა გაუვიდა, მაგრამ კარგი იქნებოდა, მისთვისაც მოგვეთხოვა თავის დროზე. კიდევ ბევრი კრიტერიუმის ჩამოთვლა შემიძლია, რასაც მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა ჩვენს პირობებში კრიტერიუმების წინასწარ შერჩევას და დაკანონებას, როგორც ვხედავ, საერთოდ აზრი არ აქვს უკვე.

**— რამდენად სასურველია, მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატს რომელიმე წინა ხელისუფლებასთან ჰქონდეს კავშირი?**

— **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მას რომელიმე წინა ხელისუფლებასთან კავშირი ჰქონდეს. მითუმეტეს, არ შეიძლება ის წინა ხელისუფლების წარმომადგენელი იყოს, რომლის კისერზეა 7 ნოემბერი, აგვისტოს ომი, სხვადასხვა უბედურება და არ შეიძლება ეს პიროვნება ზოგადად სააკაშვილის გუნდთან ასოცირდებოდეს.**

## გულბაათ რცხილაძე:
## ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რომელიც მომავალმა საპრეზიდენტო კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს, ფსიქოანალიზის ქონაა

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— რა თქმა უნდა, ეს ასე უნდა იყოს. მეზობლებთან დალაგებული ურთიერთობები უნდა გვქონდეს. ყველაზე რთული ვითარება ამ შემთხვევაში რუსეთთან გვაქვს. რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით უნდა ვეცადოთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას და ამის პარალელურად, რუსეთის იზოლირების გარეშე, აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყებას.



**ბაკურ ბაკურაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

— „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დამარცხების შემდეგ გაიხსნა ველი იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ერთპიროვნული გადაწყვეტილებები არ მიიღოს — არც მნიშვნელოვან და არც ნაკლებადმნიშვნელოვან საკითხებზე; ეს საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის და ვფიქრობ, ყველაფერთან დაკავშირებით უნდა იმართებოდეს უფრო ფართო დისკუსია, ვიდრე იმართება. **ხელისუფლებამ ერთპიროვნული გადაწყვეტილებები აღარ უნდა მიიღოს არც პრეზიდენტის არჩევის საკითხთან დაკავშირებით, არც იმასთან დაკავშირებით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტი. ამაში უნდა იყოს ჩართული სამოქალაქო საზოგადოება, ხალხი, რომლის პრეზიდენტიც უნდა გახდეს ის.** ხელისუფლება საზოგადოებას უნდა დაეკითხოს ყოველთვის ასეთ სერიოზულ საკითხებში.

**— უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსეთთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**



— მომავალი პრეზიდენტის პრიორიტეტი ვერ იქნება იმ ფორმულირებით ჩამოთვლილი რეგიონები, რომლებიც თქვენ თქვით, რადგან სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკები და რუსეთი სხვა საქმეა. **პრიორიტეტი მომავალი პრეზიდენტისთვის, რასაკვირველია, უნდა იყოს ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან ურთიერთობების ნორმალიზება, აღდგენა და საუბარი.** ის უნდა იყოს სრულიად საქართველოს პრეზიდენტი და ჩვენ თუ ვთვლით, რომ აფხაზეთი და ოსეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს ასევე აფხაზეთისა და ოსეთის პრეზიდენტიც. რა თქმა უნდა, იურიდიულად ჩვენ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ის ვერ იქნება აფხაზეთში და ოსეთში მცხოვრები ადამიანების მიერ არჩეული, თუმცა, მეორე მხრივ, **აფხაზეთისა და ოსეთის ძირძველი მოსახლეობის დაახლოებით 70% დევნილია. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტი, თუ ის იქნება პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული, ასევე იქნება აფხაზეთისა და ოსეთის პრეზიდენტი, როგორც იურიდიულად, ასევე ხალხის არჩევის თვალსაზრისითაც.**

რაც შეეხება რუსეთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის დარეგულირებას, ყველა პრეზიდენტის ვალდებულებაა, პირველ რიგში, ურთიერთობები დაალაგოს მის სტრატეგიულ პარტნიორებთან და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ყველა პრობლემის ნორმალიზებას. მეზობლებთან კეთილმეზობლური, თანაბარუფლებიანი, ღირსეული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობა კი უნდა გაძლიერდეს, გაღრმავდეს და უფრო შედეგიანი უნდა გახდეს ქვეყნისთვის, ვიდრე დღეს არის.

## ბაკურ ბაკურაძე:
## პრიორიტეტი მომავალი პრეზიდენტისთვის, რასაკვირველია, უნდა იყოს ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან ურთიერთობების ნორმალიზება, აღდგენა და საუბარი

**პაატა კოღუაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი:**

— ახალი კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტის უფლებები, წინა ხელისუფალთან შედარებით, საკმაოდ შემცირებულია. მას ძირითადად, წარმომადგენლობითი როლი აკისრია. მიუხედავად ამისა, როდესაც ადამიანს პრეზიდენტი ჰქვია, იგი უნდა განასახიერებდეს მის ერს, მის კულტურას, ტრადიციას, ღირებულებებს და ა. შ. მაგრამ **სიტუაციას რომ ვუყურებ, მიმაჩნა, რომ კანონში დამატებითი ცვლილებები გვაქვს შესატანი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტობის კანდიდატების ფსიქიატრიული შემოწმება. ეს უნდა ეხებოდეს არა მარტო პრეზიდენტებს, არამედ უმაღლესი თანამდებობის პირებსაც. იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველოა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს პარლამენტმა.** მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს უფლებები შეეზღუდა, მას დარჩა ისეთი უფლებები, რომლებიც საგანგებო სიტუაციებისას შესაძლებელია საქართველოს ინტერესების საკეთილდღეოდ იქნას გამოყენებული. პრეზიდენტად უნდა აირჩიონ ადამიანი, რომელმაც გადააჭარბა 50 წელს. უნდა ჰქონდეს კარგი განათლება. შესაძლოა, კარგი მეცნიერი, იურისტი, მწე-

## პაატა კოღუაშვილი:
## იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველოა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს პარლამენტმა

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „საქართველოს სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც შეძლებს დიალოგში ჩაბმას. თუ ის ამას ვერ მოახერხებს, სხვა საკითხებსაც ვერ დაარეგულირებს. ყველაფერი დღეს ქართულ-რუსული ურთიერთობებიდან გამომდინარეობს — როგორც ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ასევე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.“

რალი იყოს. აუცილებლად უნდა ჰქონდეს ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება. ეს ადამიანი უნდა მოგვევლინოს გარკვეულ სიტუაციებში არბიტრად.

**— უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— რუსეთი განსაკუთრებული თემაა ჩვენთვის და ძალიან მნიშვნელოვანი. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა ჩვენი ინტერესების შეზღუდვის გზით არ უნდა ხორციელდებოდეს. რუსეთთან კიდეც უნდა ვივაჭროთ და კულტურული ურთიერთობებიც უნდა გვქონდეს, მაგრამ ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.



### ირინა სარიშვილი:
## მომავალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს შემჩნეული უცხო ქვეყნის სპეცდავალებების შესრულებაში

**ირინა სარიშვილი, პარტია „იმედის“ ლიდერი:**

— პირველ რიგში, ჩვენი ცუდი გამოცდილებიდან გამომდინარე, **მომავალ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ. შემდგომ, ალბათ, უნდა არეგობდეს ასაკობრივი ზღვარი — როგორც ქვედა, ასევე ზედა. არ უნდა იყოს შემჩნეული უცხო ქვეყნის სპეცდავალებების შესრულებაში...**

**— წინა რომელიმე ხელისუფლებასთან რამდენად უნდა ჰქონდეს კავშირი?**

— საქართველო პატარა ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, დღეს ძნელად მოძებნით ადამიანს, რომელსაც რომელიმე ხელისუფლებასთან მეტნაკლები კავშირი არ ჰქონია. თუ წინა ხელისუფლებასთან კავშირზეა საუბარი, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რაში გამოიხატებოდა ეს კავშირი და ხელისუფლებასთან თანამონაწილეობა.

**— უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— რა თქმა უნდა, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის ნორმალიზება დაკავშირებულია უშუალოდ ქვეყნის მთლიანობის აღდგენასთან და საერთოდ, ტერიტორიულ მთლიანობასთან. რაც შეეხება ყველა სხვა დანარჩენს, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, **რუსეთი ჩვენი უშუალო მეზობელი სახელმწიფოა და მასთან ერთად სხვებთანაც, რომელი სახელმწიფოებიც საქართველოს ემეზობლებიან, ნორმალური ურთიერთობის დამყარება პრიორიტეტი უნდა იყოს.** რადგან ყველა უბედურება, რომელიც კი ქვეყანაში დღეს ხდება, ძირითადად, აქედან მომდინარეობს.



**ნიკოლოზ ლალიაშვილი, „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის წევრი:**

— კრიტერიუმები, ამ შემთხვევაში, რაცაა განსაზღვრული, სრულიად დამაკმაყოფილებელია. მხედველობაში მაქვს ასაკი, მოქალაქეობა და ა. შ. **ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა საქართველოს პოლიტიკურ თაობებს „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანმა მმართველობამ. შესაძლებელია, მორალური საკითხები წამოვიდეს წინა პლანზე — სხვა ხელისუფლებებთან ასოცირება და ა.შ.,** მაგრამ მაინც არ მიმაჩნია სწორად, რადგანაც, რაც უფრო ნაკლები ციფრები და ვალდებულებები ექნება, მით უკეთესი. ის, რაც ახლა კანონით გათვალისწინებულია, ეს უპირობოდ ასევე უნდა დარჩეს.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— პრეზიდენტის ინტიტუტი, როგორც ასეთი, წარმოადგენს ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტს. რა თქმა უნდა, **ქვეყნის პრეზიდენტის პირველადი ამოცანა უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა დანარჩენი, ამასთან შედარებით, უკვე მეორეხარისხოვანია.**

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას?**

— ნებისმიერი პრეზიდენტისთვის უმთავრესი უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოება, ეკონომიკური კეთილდღეობა და ა. შ. **თუკი რუსეთთან დალაგებული ურთიერთობები არ გაქვს, ეს ყველაფერი შეუძლებელია — ვერც უსაფრთხოებას უზრუნველყოფ და ვერც ეკონომიკურ კეთილდღეობას. ეს ყველაფერი ქვეყნის მომავალმა პრეზიდენტმა ავტომატურად უნდა გააანალიზოს.** ახალი კონსტიტუციით მას აქვს წარმომადგენლობითი ფუნქცია საგარეო ურთიერთობებში და შეუძლია იფიქროს რუსეთთან და ასევე ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთანაც ურთიერთობის ნორმალიზებაზე.



**კახა კუკავა, თბილისის საკრებულოს წევრი, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

— მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატს, შესაძლოა, ჰქონდეს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური კრიტერიუმები. ფორმალური კრიტერიუმები, ვფიქრობ, რასაც კონსტიტუცია ითვალისწინებს, საკმარისია. მას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი კრიტერიუმი. მოისმინეთ, ალბათ, ის, რომ ასაკობრივი შეზღუდვა უნდა დაწესდეს. პრინციპში, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. არის კიდევ ერთი მომენტი — **დასაზუსტებელია კანონში, რომ ის შესწორება, რომელიც თავის დროზე იქნა მიღებული, რომ ევროკავშირის მოქალაქეებს აქვთ პრეზიდენტობის უფლება, რასაკვირველია, უნდა გაუქმდეს. მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს ქართველი, საქართველოს მოქალაქე.** ვფიქრობ, გარკვეული ბინადრობის ცენზიც უნდა არსებობდეს. რაც შეეხება არაფორმალურ კრიტერიუმებს, ეს, რა თქმა უნდა, უკვე პოლიტიკურ გემოვნებაზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, **მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ექნება წინა ხელისუფლებების დანაშაულებთან კავშირი და, გამოცდილებიდან გამომდინარე, მომავალი პრეზიდენტი დამოკიდებული არ უნდა იყოს არც ერთი უცხო ქვეყნის მთავრობაზე. რადგან დღევანდელი და წინა მთავრობისგან ხშირად გვესმის ასეთი არგუმენტი, რომ ევროპა ვერ გაგვიგებს, რომ ამერიკელებს უნდა დავუჯეროთ და ა.შ.** ვისურვებდი, შემდეგი პრეზიდენტი იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთ არგუმენტებს არ მოიყვანს, მაშინ, როცა საჭირბოროტო საკითხები იქნება გადასაწყვეტი.

**— თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსებთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— ყველაფერში, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, გეთანხმებით, გარდა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისა. ჩემი აზრით, მომავალი ქვეყნის პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი არ უნდა იყოს ეს. ზოგადად, კულტურული ურთიერთობა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის გამართლებულია, მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობ, კულტურული ურთიერთობის მხრივაც კი გარკვეული პაუზა აჯობებდა. რაც შეეხება აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსეთთან ურთიერთობას, ეს აუცილებელია. **საქართველოს სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც შეძლებს დიალოგში ჩაბმას. თუ ის ამას ვერ მოახერხებს, სხვა საკითხებსაც ვერ დაარეგულირებს. ყველაფერი დღეს ქართულ-რუსული ურთიერთობებიდან გამომდინარეობს — როგორც ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ასევე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

### კახა კუკავა:
## მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ექნება წინა ხელისუფლებების დანაშაულებთან კავშირი

### ნიკოლოზ ლალიაშვილი:
## ქვეყნის პრეზიდენტის პირველადი ამოცანა უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა დანარჩენი, ამასთან შედარებით, უკვე მეორეხარისხოვანია




## 4 მილიონად ღირებული ჩიორა და მაკა

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნები არსებობს იმის შესახებ, რომ სამოქალაქო ინსტიტუციონალური განვითარების ფონდი, რომლის თავმჯდომარე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, დავით ბაქარძის, მეუღლე მაკა მეტრეველია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხულ თანხებს არამიზნობრივად ხარჯავდა.**

ამ ფონდში დასაქმებული არიან პარლამენტის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი, ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი მაგდა ანიკაშვილი და სხვ. 2009 წლიდან 2013 წლამდე ინსტიტუციონალური განვითარების ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი მიიღო.

**„ჩვენ წარმოგიდგენთ ამის დამადასტურებელ დოკუმენტს, ეს არის მთავრობის განაკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მაშინდელი პრემიერი ნიკა გილაური, ამჯერად სარეზერვო ფონდიდან თანხები თავდაპირველად სასჯელაღსრულების სამინისტროში, მერე განათლებისა და მეცნიერების და ბოლოს ინსტიტუციონალური განვითარების ფონდში ირიცხებოდა,“** — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, იტყობინება citizens.ge.

## სააკაშვილის განცხადებამ გაოცება გამოიწვია

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ამ ორი ქვეყნის რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციის საშიშროებაზე საუბრობს.**

კომენტარში ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადება აზერბაიჯანულ მხარეში გაკვირვებას იწვევს.

„თითოეულ ქვეყანას საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკუთარი გზა გააჩნია, სწორედ ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ამ კუთხით სხვადასხვა კურსი აქვთ არჩეული. ამასთანავე კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთში არსებული ჩვენი დიასპორის გარკვეული წევრები უარყოფითად მოქმედებენ ჩვენს ქვეყანაზე, შეიძლება სააკაშვილის პირად აზრად ჩაითვალოს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთანავე კომენტარის მიწურულს ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრული ურთიერთობა არსებობს და აზერბაიჯანული მხარე წუხს იმის გამო, რომ სააკაშვილი რუსეთის მიმართულებით გაკეთებულ განცხადებაში მათ ქვეყანასაც შეეხო.

განცხადებას ხელს აწერს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი — ნოვრუზ მამედოვი.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნატოს სახით ჩვენ თვითონ ჩამოვიკიდეთ ცხვირწინ სტაფილო, მივდევთ ამ ვირტუალურ სტაფილოს და მოღალატედ ვაცხადებთ ყველას, ვინც არ ყვირის იმას, რომ მზად არის, სდიოს ამ სტაფილოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ეს მარაზმი ძვირად დაუჯდა ერს.“**

# ქუთაისში პარლამენტის შენობის ასაშენებლად დახარჯულია 360 მილიონი. სად არის დანარჩენი 640?

**საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის, განცხადებით, ახალ მთავრობასთან მოლაპარაკებების პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გამოიკვეთა. მისი თქმით, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და ლიდერების დონეზე იმუნიტეტს არავინ ითხოვს, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ რაიმე ფორმით დაკავშირებული პირების დაკითხვებზე ტარება უნდა შეწყდეს.**
**— „დამნაშავეა დათო ბაქრაძე? გამოიძიონ და დასაჯონ“, — განცხადება ამ ტექსტით დავით ბაქრაძემ სულ ახლახან გააკეთა. მართლაც დამნაშავეა დავით ბაქრაძე თუ არა, ამას მალე გაიგებს ქართული საზოგადოება, მანამდე კი მის მოღვაწეობას ზოგადად გადავავლოთ თვალი. ამ და სხვა თემებზე ჩვენს სტუმარს, ბატონ პეტრე მამრაძეს, ვესაუბრებით.**



**— ბატონო პეტრე, პარლამენტის დანგრევის თემით დავიწყოთ.**

— შეგახსენებთ, რომ პარლამენტის წევრი დებს ფიცს ღვთისა და ერის წინაშე, რომ ემსახურება ხალხს, დაიცავს ადამიანის უფლებებს და ა. შ., ფიცის გატეხვა კი უმძიმესი დანაშაულია. ამ მხრივ ბაქრაძეც და წინა პარლამენტის უმრავლესობის და ამჟამინდელი პარლამენტის უმცირესობის წევრები ნამდვილად დამნაშავეები არიან. ისინი ემსახურებოდნენ სააკაშვილის სადისტურ, ავტორიტარულ რეჟიმს და ახლაც ემსახურებიან მის ვადაგასულ ნარჩენებს. ამას აკეთებდნენ საკუთარი კარიერისა და მატერიალური ინტერესებისთვის. ახლა უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, ხოლო მატერიალური ინტერესები დღესაც დიდია. ეს დიდი დანაშაულია.

რაც შეეხება ამნისტიას, სააკაშვილი და მისი დაჯგუფების თავკაცები უკანონო, დანაშაულებრივ ბრძანებებს ზეპირად იძლეოდნენ, ხელს არაფერს აწერდნენ. ახლა გამომძიებლები იძულებულნი არიან, გამოძიება შემსრულებელთა დაკითხვით დაიწყონ. შემსრულებლებმა უნდა თქვან, ვინ დაავალა მათ ასეთი დანაშაულის ჩადენა და მაშინ, კანონის ძალით, შეიძლება შეუმსუბუქდეთ სასჯელი. სწორედ ამის ეშინიათ სააკაშვილსა და მისი სადისტური სისტემის თავკაცებს, ამიტომ ითხოვენ შემსრულებელთა ამნისტიას. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ოქტომბრის არჩევნებამდე პარლამენტის შენობის ინფრასტრუქტურა გაანადგურეს იმ მასშტაბით, რომ ახლა რამდენიმე მილიონი ლარის დახარჯვაა საჭირო მის აღსადგენად. ცნობილია, რომ ბაქრაძემ ზეპირი დავალება მისცა პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელებს, მათ ეს შესაბამის მუშაკებს დაავალეს. უარის თქმა ვერავინ გაბედა სასტიკი ანგარიშსწორების შიშით და სახელწიფო ქონებას დიდი ზარალი მიადგა. ცხადია, **ბაქრაძე ამას თავისი ნებით ვერ გააკეთებდა, რადგან ის არ გახლდათ იმ დონის ფიგურა, რომელსაც მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარ თავზე აღება შეეძლო.** ეს განკარგულება ან სააკაშვილმა გასცა, ან მერაბიშვილმა, ან ადეიშვილმა. ბაქრაძემ კი მხოლოდ გადასცა სხვებს მათი ბრძანება. ცხადია, ეს გარემოება ვერ შეამსუბუქებს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის დანაშაულს. თუმცა, ჩემი აზრით, მისი გაცილებით მძიმე დანაშაული ის არის, რომ, თავისი კარიერისა და საკუთარი ჯიბისთვის მეტი სარგებლის მოპოვების მიზნით, ემსახურებოდა და ახლაც ემსახურება სააკაშვილს და ღალატობს ქვეყნის ინტერესებს.

**— ამას წინათ თქვენ ისაუბრეთ ფულზეც, იმ გამქრალ მილიონებზე, რომლებიც ახალი პარლამენტის აშენებისთვის იქნა გამოყოფილი.**

— დიახ ასეა. **საქმეში ჩახედული ადამიანებისგან ვიცი, რომ სხვადასხვა სტრუქტურის მეშვეობით მილიარდ ლარამდე გადაირიცხა ქუთაისში პარლამენტის შენობის ასაშენებლად. დახარჯულია 360 მილიონი და ისმის კითხვა — სად არის დანარჩენი 640? მარტო ეს ფაქტია საკმარისი მრავალი მაღალჩინოსნის დასაკავებლად.**

**— რას იტყვით ბაქრაძის მიმართვაზე, ჩანგლებითა და დანებით დავხვედროდით მტერს (2008 წლის ომის პერიოდს ვგულისხმობ)?**

— ეს იყო ბინძური და ძალიან სახიფათო პროვოკაცია. ბაქრაძემ ეს 2008 წლის 10 აგვისტოს შუადღისას თქვა. მაშინ ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალი ჩაკეტილი იყო ბუნკერში და შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა... ბაქრაძე გამოვიდა და სააკაშვილის მოწოდება გადმოგვცა, რომ მოსახლეობას ყველგან ყველა მისაწვდომი საშუალებით წინააღმდეგობა გაეწია შემოსული ჯარისთვის. ამ დროისთვის ჩვენს არმიას უკვე შეწყვეტილი ჰქონდა ბრძოლა. წარმოიდგინეთ, ქვეყანაში ერთი ადამიანი მაინც რომ აჰყოლოდა ამ პროვოკაციას, რამდენი დაიღუპებოდა! სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს კი სწორედ ეს სურდათ — რაც შეიძლება მეტი ზარალი და მსხვერპლი ეჩვენებინა მსოფლიოსთვის. არადა, ხელისუფლება ვალდებულია, ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე.

**— ამ დროსBბაქრაძე საკმაოდ დამაჯერებელი ტონით საუბრობს და, შეიძლება ითქვას, სტაბილურობითაც გამოირჩევა სხვა ჩინოვნიკებისგან.**

— სანამ ნაცისტების გუნდში აღმოჩნდებოდა, კარგი მუშაკის სახელი ჰქონდა. მაგრამ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული მერიტოკრატია იმაში მდგომარეობდა, რომ აწინაურებდნენ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც საქმით დაამტკიცებდნენ, რომ მზად იყვნენ, შეესრულებინათ სააკაშვილის ნებისმიერი უკანონო, დანაშაულებრივი დავალება. ბაქრაძემაც ასეთი გზა აირჩია და სადისტური სისტემის მსახურად იქცა. ასე არიან სხვებიც ამ „გუნდში“. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ბოლოს სააკაშვილმა კონსტიტუციაც კი შეცვალა მხოლოდ იმისთვის, რომ მორიგი ფავორიტი ქალი პარლამენტში მოეხვედრებინა.

**— როგორ ფიქრობთ, ბაქრაძე ბოლომდე ერთგული დარჩება რეჟიმისა და მის ლიდერთა მიმართ, თუ შეეცდება სხვა გზებიც მონახოს?**

— ვერ გეტყვით. დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ ყველაფერს გააკეთებს თავის გადასარჩენად და საკუთარი კეთილდღეობისთვის. სხვა პრინციპები მას და „გუნდის“ სხვა წევრებს არც გააჩნიათ. ერთი საგულისხმო ამბავი გამახსენდა. ცოტა ხნის წინათ საქართველოში ჩამოსული იყო ჰილარი კლინტონის თანაშემწე ფილიპ გორდონი. ის უნდა შეხვედროდა ჩვენი ამჟამინდელი უმცირესობის ლიდერებს, მათ შორის ბაქრაძესაც. **პროგრამის მიხედვით, ბაქრაძესთან შეხვედრას ნაცისტების გენმდივანი მერაბიშვილიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ ბაქრაძემ ამოაშლევინა ამერიკელებს მერაბიშვილი დამსწრეთა სიიდან. ეს უცხოელმა ექსპერტებმა მითხრეს, თან იცინოდნენ — „ადრე მერაბიშვილი ბაქრაძესთან დარეკვასაც კი არ იკადრებდა, ახლა კი — რეებს ბედავს ბაქრაძეო“.**

**— ნიშნავს ეს იმას, რომ ბაქრაძე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ცდილობს?**

— მისი პოზიცია მისი კარიერაა. ეტყობა, უნდა, როგორმე გაემიჯნოს უცხოელების თვალში ნაცისტების ოდიოზურ თავკაცებს. სხვა საქმეა, ეს როგორ გამოუვა. შეიძლება ამის გამო უკვე ისე დატუქსეს ნაცისტებმა, რომ მეორედ ვეღარც გაბედოს მსგავსი რამ.

**— გვერდს ვერ ავუვლით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. საინტერესოა თქვენი აზრი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. როგორ შეაფასებთ წინა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ახალი ხელისუფლების მოქმედებას ამ მიმართულებით?**

— ცნობილი ამერიკელი და ევროპელი პოლიტოლოგების აზრით, სააკაშვილმა გააკეთა ის, რასაც საქართველოს ყველაზე საშინელი მტერიც კი ვერ გააკეთებდა: ოთხწლიანი კონტრპროდუქტიული პოლიტიკის გატარების შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში, მან განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა და ლანგარზე მიართვა მოსკოვს საქართველოს ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის საშუალება. ახლა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი განუსაზღვრელი დროით დაკარგულია ჩვენთვის.

ახალ ხელისუფლებას ურთულესი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. საქართველოს გამთლიანების პერსპექტივის შესაქმნელად საჭიროა ჩვენი, აფხაზებისა და ოსების ნდობის, მეგობრობისა და სიყვარულის მოპოვება. ეს პროცესი კი არ დაიწყება მანამ, სანამ არ მოვაგვარებთ ურთიერთობას რუსეთის ხელისუფლებასთან.

დღეს არათუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია, აიძულოს ან დაითანხმოს რუსეთის ხელისუფლება, გაიყვანოს სამხედრო ბაზები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან და გააუქმოს ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა. ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთობის თანდათან აღდგენა და დიალოგის დაწყება ჩვენს აფხაზებთან და ოსებთან. ამისათვის არა მარტო ცალკეული პიროვნების ან თუნდაც მთელი მთავრობის, არამედ მთელი ერის შეთანხმებული ხანგრძლივი ძალისხმევაა საჭირო.

**— სააკაშვილი ამბობს, რომ არ კარგავს ნატოში შესვლის იმედს, ამასვე ამბობს ახალი მთავრობაც. თქვენ ბრძანებთ, რომ ეს შეუძლებელია და ეს ყველამ იცის... თქვენი კომენტარი ამის თაობაზე.**

— **სააკაშვილის მიერ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, არ მიიღოს საქართველო თავის რიგებში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მის გადახედვას, პოლიტიკურად განჭვრეტას მომავალში არავინ აპირებს. დახურულ კარს მიღმა ნატოს წარმომადგენლები ამას პირდაპირ ამბობენ.** მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამის გაცხადება საჯაროდ, ვინაიდან ასეთი განცხადება ნატოს დაშლის გადაწყვეტილების ტოლფასი იქნება. ეს შესანიშნავად იციან სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა და თავისი ჭკუით, წაუგებელ თამაშს თამაშობენ: ცდილობენ, მოატყუონ ხალხი, რომ, თუ ნატოში სწრაფად ვერ გავწევრიანდით, ეს ახალი ხელისუფლების ბრალი იქნება. ახალ ხელისუფლებასაც არ შეუძლია სიმართლის თქმა იმ ფონზე, როდესაც ერთის მხრივ ნატოს წარმომადგენლები რეგულარულად იმეორებენ კარგად დაზუთხულ ფრაზას, რომ „ნატოს კარი ღიაა საქართველოსათვის და რომ საქართველო უსათუოდ გახდება ნატოს წევრი, თუ თვითონ მოინდომებს ამას და თუ დააკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს“, მეორე მხრივ კი, სააკაშვილისგან და მისი ჯამბაზებისგან მოედინება ცილისწამების უწყვეტი ნიაღვარი — რომ „ახალი მთავრობა პრორუსულია, მიათრევს საქართველოს რუსეთში“ და ა. შ.

საბოლოო ჯამში, ნატოს სახით ჩვენ თვითონ ჩამოვიკიდეთ ცხვირწინ სტაფილო, მივდევთ ამ ვირტუალურ სტაფილოს და მოღალატედ ვაცხადებთ ყველას, ვინც არ ყვირის იმას, რომ მზად არის, სდიოს ამ სტაფილოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ეს მარაზმი ძვირად დაუჯდა ერს.

**«ადრე მერაბიშვილი ბაქრაძესთან დარეკვასაც კი არ იკადრებდა, ახლა კი — რეებს ბედავს ბაქრაძეო»**

ესაუბრა **ეკა კახიანი**

**სიცრუესა და ძალადობაზე დამყარებულმა ასეთმა რეჟიმმა მთელი 9 წელი იარსება საქართველოში. ახლაც საშიშია მისი ნარჩენები, რადგან იგი სახელმწიფოს აპარატშია და იქიდან აგრძელებს თავის დესტრუქციულ საქმიანობას. თუ შევძლებთ, რომ მსოფლიოს გავაგებინოთ სიმართლე ამ რეჟიმის საქმიანობის მეთოდებისა და შედეგების შესახებ, მაშინ არც ერთ მორალურ ძალას არ ექნება სურვილი, მას აღმოუჩინოს მცირედი მხარდაჭერაც კი.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სიცრუესა და ძალადობაზე დამყარებული რეჟიმის ნარჩენები სახელმწიფოებრივ, სახელმწიფო აპარატში. სათავეში არიან გადასული

„ნუ ქადაგებთ, მოქადაგენო! არ უქადაგოთ მათ, ვინც ვერ გაექცევა სირცხვილს“.
*მიქა წინასწარმეტყველი (2,6)*

**ახალი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ საქმეთა შორის ორი რამ აღსანიშნავია: პირველი ის, რომ თანმიმდევრულად ინერგება ხალხზე ზრუნვის, მისი კეთილდღეობის ამაღლებისა და სამართლიანობის კულტურა, რაც რეალური, ხელშესახები გახდა თითოეული ჩვენგანისთვის და, მეორე, ჩვენი ქვეყნის რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით განისაზღვრა გლობალურ გარემოში ინტეგრაციისა და მსოფლიო ბაზარზე ფუნქციონირების ვექტორები.**

ამას ბიძინა ივანიშვილის გუნდმა მიაღწია დაპირისპირებული, პოლიტიკური ძალაუფლებით აჭურვილი პრეზიდენტის სახელისუფლო ვერტიკალის ღია და გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში.

ეს წინააღმდეგობა არ არის ხალხში და ხალხის მიერ განპირობებული. იგი პირიქით, ხავსმოკიდებულ, მაგრამ გამოცდილ კარიერისტთა ერთი ნაწილის მიერ ჩვენი საზოგადოებისთვის თავსმოხვეული და ხელოვნური ხერხებით წარმოებული რეალობაა, ვიტყოდი, საშიში და დამაფიქრებელი რეალობა, რომელიც ვნებს ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებით, მის საერთაშორისო იმიჯს. ამიტომ, თუ ახალი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა ჩვენი სამოქალაქო ვალია, ამ ვადაგასული, დრომოჭმული ძალის ნამდვილი სახის გამოვლენა და უკუგდებაც ჩვენი ვალდებულებაა.

## რა რეალობასთან გვაქვს საქმე

ჩვენი ეროვნული განვითარების გზაზე ისეთი დროც დაგვიდგა, როცა აღმოვჩნდით დღევანდელობის გააზრების წინააღმდეგობრივ გარემოში. რეალურ ცვლილებებს მოწყურებული საზოგადოება, რომლისთვისაც გაუსაძლისი იყო დემოკრატიულობის ნიღაბს ამოფარებული დისციპლინარული რეჟიმი, იძულებული ხდება, შეეგუოს საერთაშორისო ბიუროკრატიასთან შეთანხმებულ პოლიტიკურ კალენდარს, რომელიც ძლიერი საზოგადოებრივი რეფორმებისთვის დროს გვაკარგვინებს. ახალ პოლიტიკურ რეალობასთან შეგუება გვიჭირს, მაგრამ სავალდებულოა. **უკვე გადაწყვეტილი კითხვა „ვინ — ვის“ ახალი ფორმატით ცოცხლდება, იქმნება რევანშის იურიდიული, ლეგიტიმური ველი, როდესაც დაწუნებული, უარყოფილი აგრძელებს არსებობას და ინარჩუნებს სახალხო სამართლის საწინააღმდეგო პერსპექტივას.**

პრობლემა საერთოდ არ იარსებებდა, ის რეალური პოლიტიკური ძალა რომ არა, რომელიც აგრძელებს არსებობას მოქმედი სახელმწიფო აპარატის ფარგლებში. ერთ მხარეზეა ხალხის სურვილისა და ნების საფუძველზე შექმნილი ახალი ხელისუფლება, რეალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტებით; მეორე მხარეს — ქვეყნის პოლიტიკური რეგლამენტით შემორჩენილი პრეზიდენტი და მისადმი ლოიალური სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობა, ფულად-საკრედიტო და სხვა საბაზრო სეგმენტების მარეგულირებელი ორგანოები. **საქართველოში ბევრი ჩინოვნიკი მორალურად ვერ ამაღლდა აზროვნებისა და მოქმედების სახელმწიფოებრივ დონეზე, ამიტომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სახელმწიფო აპარატის ფარგლებში მიმდინარე პოლიტიკურ დაპირისპირებასთან.**

არ მინდა არსებული სიტუაცია შევადარო პარიზის კომუნას, მაგრამ დაკვირვებული თვალი გარკვეულ პარალელებს დაინახავს, რაც დამაფიქრებელია. ჩვენც ისე, როგორც პარიზელი კომუნარები, მოვითხოვთ ხელისუფლებისგან სამართლიანობას და ამ ტევადი ღირებულების შინაარსი დაგვყავს სამოქმედო იმპერატივებამდე: „გაათავისუფლე უსამართლოდ დასჯილი“, „დასაჯე დამნაშავე“, „მომეცი, რასაც დამპირდი“ და „დანარჩენი შენ იცი“, ხოლო ის საფრთხეები, რომლებიც ასეთმა არჩევანმა შეიძლება შექმნას, არ გვაინტერესებს.

ასეთ სიტუაციაში კი, ის, რასაც ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ სახელმწიფო უფლებებით აღჭურვილი ხელისუფლება ჩადის, საშიშია, რადგან, როგორც ევროპული და ამერიკული მედიიდან ვიგებთ, მათი სჯერათ, მათ უსმენენ, მათი რიტორიკა ცუდ სამსახურს უწევს ჩვენს ქვეყანას.

## თვითგანხორციელებადი წინასწარმეტყველება

**„ნაციონალური მოძრაობა“ მის დაქვემდებარებაში დარჩენილი ადმინისტრაციული რესურსებითა და საგარეო ავტორიტეტის ნაშთებით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. მათი საქმიანობა აგებულია თანამედროვე სოციოლოგიაში კარგად ცნობილ მეთოდზე, რომელსაც რობერტ მერტონმა „თვითგანხორციელებადი წინასწარმეტყველება“ უწოდა.** ეს მეთოდი გულისხმობს საზოგადოებისთვის ისეთ ცრუ რეალობათა შეთავაზებას, რომლებიც იწვევს არამართებულ მოქმედებას და მიზნობრივი ორიენტირების ცვლილებით ხდება წინასწარ გაცხადებული შედეგების მიღწევა. ეს მეთოდი განსაკუთრებით მაშინ არის შედეგის მომტანი, როდესაც ასეთ წინასწარმეტყველებას აქვს ძლიერი მხარდაჭერა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების მიერ. ამ შემთხვევაში საზოგადოება (მისი დიდი ნაწილი) ექცევა ისეთ ხელოვნურ გარემოში, როდესაც სინამდვილის მასობრივ წარმოდგენას არ გააჩნია რეალური ადეკვატი. მაგალითად, კაცს, რომელსაც ცალი ფეხი ციხეში გქონდა და არც იცოდი, რატომ; დატუსაღებული სასჯელს იხდიდა, არა იმისთვის, რაც რეალურად დააშავა, არამედ სხვა მორიგი ბრალდებით (ჩახალიანის შემთხვევა); შეეძლოთ ებრძანებინათ, წვითა და დაგვით შეძენილი ქონება სხვას გადაუფორმეო; გამშვიდებდნენ: „სამაგიეროდ, შენს მანქანას ვერავინ მოიპარავს და ღამე მშვიდად გძინავსო“. ამ მოვლენის შეფასებისას, ფრანგი სტრუქტურალისტების გავლენით, ქართველი პუბლიცისტები „სიმულიაკრს“ (წარმოსახვას, ასლს, რომელსაც არა აქვს ასახვის რეალური ობიექტი) უწოდებენ და საკმარისად ცნობილია ქართველი მკითხველისთვის.

ასეთი თვითგანხორციელებადი წინასწარმეტყველება მართლაც იყო არსებული რეალობის წყარო. მის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა არა დეკლარირებული სიმართლე, არამედ შიში, რომელიც გაჩნდა მოსახლეობის განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაწილის დასჯით. **იმ ხელისუფლების პოლიტიკური კრედო, რომელსაც ხალხმა უარი უთხრა მანდატის გაგრძელებაზე, იყო ადამიანების დასჯა, ანუ მასობრივი ტერორი.**

ამ სტრატეგიული კურსის გამართლება შესაძლებელი იყო მხოლოდ სიცრუით, ხოლო სიცრუე, რომელიც ტირაჟირებული და განმტკიცებული იყო მეოთხე ხელისუფლების ავტორიტეტით, ქმნიდა იმ სიმულიაკრს, რომელსაც წარმოადგენდა ჩვენი სახელმწიფო.

ვერ დავეთანხმები ჩემს თანამოქალაქეებს, იმათ, ვინც ამბობს, რომ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება ხალხისთვის სასურველი და თავისი აღზევების საწყის ეტაპზე სამართლიანი იყოო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი სამართლიანად არ მოსულა. აქვე შევნიშნავ, რომ ხელისუფლება, რომელიც მანამდე იყო, სამართლიანად ჩამოაგდო ხალხმა. ერთს რომ უარს ვეუბნები, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მეორეს ვეთანხმები. 2003 წელს, ძნელი არ იყო შეგემჩნია, რომ თვით სახელიც — „ნაციონალური მოძრაობა“ ხალხის შეცდომაში შეყვანის მიზნით დაირქვა შინაარსით ანტიეროვნულმა ძალამ. მეორე, იმიტომ, რომ **დღიდან მოსვლისა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უკანონოდ, უფრო სწორად, უსაფუძვლოდ მიითვისა რევოლუციონერის მაღალი წოდება და იმთავითვე შეუდგა საკუთარი ძლევამოსილების განმტკიცებას, არსებული კანონმდებლობის საკუთარ ტანზე მორგების გზით.**

ამ მიზნით, მან უმოკლეს ვადებში: **1. შეცვალა კონსტიტუცია, ანუ ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი გააძლიერა პრემიერ-მინისტრის თანამდებობითაც, რამაც, თავის მხრივ, გააჩინა პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების მიტაცების ლოგიკური საჭიროება. ამიტომ ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ გარემოებას, რომ დღევანდელი პოლიტიკური დაპირისპირების ნაღმი 2004 წელს ჩაიდო ჩვენს კონსტიტუციაში;**

**2. სასწრაფოდ მორაგეს არჩევნების კანონი საკუთარ დაბალრეიტინგულ ავტორიტეტს და განამტკიცეს მისი ტოტალური გაყალბების კანონიერი მექანიზმებით.**

გაამკაცრეს „შავი“ ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული კანონი. ამ და კიდევ სხვა ცვლილებებით შექმნეს იურიდიული პლატფორმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დასარბევად.

თვითგანხორციელებადი წინასწარმეტყველების მეთოდის გამოყენება ახალი არ არის „ნაციონალური მოძრაობისთვის“, იგი ადამიანების მოტყუებისა და საკუთარი მიზნების მიღწევის ამ ხერხს 2004 წლიდან თანმიმდევრულად იყენებს და, უნდა ითქვას, წარმატებითაც.

## ფარდაახდილი ძალადობა და სიცრუე

ერთია, მოხვიდე ხელისუფლებაში, რაც საზოგადოებრივი ევოლუციის რთულ და ბოლომდე გაუცნობიერებელ გზაზე, სამწუხაროდ, შესაძლებელია და ამის უამრავი მაგალითი არსებობს; მეორეა, შეინარჩუნო გარემოებათა გამო ხელში ჩავარდნილი ძალაუფლება. ეს კარგად იცოდა ყველამ, ვინც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდა „ვარდების რევოლუციასთან“. ისიც იცოდნენ, რომ ამისათვის მათ დიდი დრო არ ჰქონდათ და ამიტომ სასწრაფოდ დაიწყეს ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. ყოველივე, რაც ამ მიზანდასახულობებიდან გამომდინარე ჩაიდინა ყოფილმა ხელისუფლებამ 9 წლის მანძილზე, შემდეგი ხუთი მიმართულებით შეიძლება წარმოვადგინოთ:

**1. განხორციელდა პოლიტიკურ მოწინარმდეგეთა მიმართ თანმიმდევრული, მკაცრი ანგარიშსწორება.**

აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი პოლიტიკური ვერტიკალი დაეყრდნო მათთვის მიუღებელი და აქტიური მოსახლეობის დასჯას და სასჯელაღსრულების მექანიზმებს. დასჯის მთავარი დანიშნულება იყო პოლიტიკური მოწინააღმდეგის ნეიტრალიზება: ქვეყნიდან გაძევებით, ქონების კონფისკაციით ან საკუთრების იძულებით სხვებზე გადაფორმებით, დაპატიმრებით, მასზე და მისი ოჯახის წევრებზე განხორციელებული ძალადობებით. პირდაპირ აცხადებდნენ: „რად გვინდა, რომ დავიჭიროთ, ჯობია, წავართვათ საკუთრება, შევულახოთ საზოგადოებრივი ავტორიტეტი და იაროს ასე შერცხვენილმა“. სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია ამგვარი პოლიტიკური „მართლმსაჯულება“ და მას **ანტისოციალურ დასჯას** უწოდებენ. მიჩნეულია, რომ დაბალი სოციალური კორპორირების საზოგადოებაში, სადაც კანონის უზენაესობის იგნორირება ხდება, ასეთი ანტისოციალური დასჯა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების განვითარებას, რადგან პრინციპულად ხდება საზოგადოების სასარგებლო საქმიანობისთვის დასჯის კულტივირება.

**2. ანტისოციალური დასჯის სხვა, საპირისპირო თვალსაზრისით წარმოჩენის მიზნით, იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინათ მოქმედების სამართლიანობაში, შეიქმნა სიცრუის ტირაჟირების ძლიერი სისტემა.**

ტელევიზიიდან მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ: ა) ისინი ცხოვრობდნენ ისეთ სოციალურ გარემოში, რომელშიც პოლიტიკური ისტებლიშმენტი შერწყმული იყო ორგანიზებულ დამნაშავეობასთან („კანონიერ ქურდებთან“), ბ) საზოგადოებაში ბატონობდა გაუსაძლისი სიდუხჭირე. აცოცხლებდნენ 1993 წლის სურათებს და ხალხს არწმუნებდნენ, რომ 2003 წელს მასზე „კანონიერი ქურდები“ ბატონობდნენ. მოქალაქეთა გონებაში ცოცხლდებოდა 1992-1993 შავბნელი წლების (კორუფციის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან იდეოლოგიური ერთიანობა, ორგანიზებულ დამნაშავეთა ლეგალური თარეში, ენერგეტიკული კოლაფსი) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მახასიათებლები და 2004 წელს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ამ ბრძოლას, რომელიც მიმართული იყო სოციალურად აქტიური ადამინების მარგინალიზაციისკენ. ეს, ალბათ, ერთადერთი მასშტაბური სოციალური ექსპერიმენტია, როდესაც ანტისოციალურ დაჭერებს ამართლებდა საზოგადოებრივი აზრი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

**3. ყველაფერი, რაც მიღწეული იქნა 10 წლის მანძილზე საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, სამეურნეო სივრცეში და საზოგადოების რეფორმირების სფეროში, უტიფრად მიიწერეს.**

**4. თავიანთი ყველა შეცდომა გადააბრალეს ობიექტურ მიზეზებს და მტერს, რომლის ხატსაც წარმატებით ქმნიდნენ.** მაგალითად, მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც აიძულეს მინორიტარი აქციონერები საბაზრო ფასით (ეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავისუფალი კოტირების შეზრუდული სისტემის პირობებში) მიეყიდათ მსხვილი პაკეტის მფლობელებისთვის და როდესაც ვინმე ელიტარულ კორუფციაზე საუბრობს, ასეთ კანონთა შემოქმედ ადამიანებს თავი მამა აბრამის ბატკნად მოაქვთ.

**5. ყველა ამ პროცესის დემოკრატიისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის ფორმით საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენა არც თუ მარტივი იყო.** ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა მსოფლიო პოლიტიკურ ცენტრებში საქართველოში მიმდინარე პროცესების გაშუქების სისტემა. დაკვეთილ პუბლიკაციათა უმრავლესობა მიმართული იყო ქართველი პოლიტიკოსების თავდადებულ დემოკრატებად და ხალხის ინტერესების დამცველებად წარმოსაჩენად.

**სიცრუესა და ძალადობაზე დამყარებულმა ასეთმა რეჟიმმა მთელი 9 წელი იარსება საქართველოში. ახლაც საშიშია მისი ნარჩენები, რადგან იგი სახელმწიფოს აპარატშია და იქიდან აგრძელებს თავის დესტრუქციულ საქმიანობას.** თუ შევძლებთ, რომ მსოფლიოს გავაგებინოთ სიმართლე ამ რეჟიმის საქმიანობის მეთოდებისა და შედეგების შესახებ, მაშინ არც ერთ მორალურ ძალას არ ექნება სურვილი, მას აღმოუჩინოს მცირედი მხარდაჭერაც კი. ეს საჩქარო და მნიშვნელოვანი საქმეა. ამისათვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მაგრამ ასევე ეფექტიანი იქნება, საქმით მოვახდინოთ მკვეთრი დისტანცირება ამ მემკვიდრეობიდან, რომელიც ჩათესილია საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებში, უამრავ კანონში და სხვა ნორმატიულ აქტებში, უნდა გვახსოვდეს, რომ **ძველ ტიკებში ახალ ღვინოს არ ასხამენ.**

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკა მხარს არ უჭერს და არ ეხმარება თავის ჯარისკაცებს. ახალგაზრდები, რომლებიც წავიდნენ არმიასა და ფლოტში, რათა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაეცვათ დანარჩენი ამერიკელების სიცოცხლე, ამის სანაცვლოდ პოლიტიკური და ფინანსური ძალების თამაშში პაიკებად იქცნენ. მეორე მხრივ, ამერიკელები მიდიან იმ ომებში, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ამერიკის დაცვასთან.**

# სადამდე დაეცა ამერიკა

**აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების, არმიისა და ფლოტის ახალი ბიუჯეტი, რომელიც ძალაში 2013 წლის 1 მარტს შევიდა, თითქმის 34 მილიარდი დოლარით შეამცირებს მილიონობით ადამიანის ხელფასს, სამივლინებო თანხებისა და დასვენების დღეების ანაზღაურებას. არმიასთან დაკავშირებით შემცირება გამოიხატება 15 მილიარდ დოლარში, ამ თანხაში შედის სამუშაო ანაზღაურების შემცირება, შვებულებების ანაზღაურება და სამსახურიდან წასვლისას გასაცემი დახმარებები. ეს ზომები მთელი ქვეყნის მასშტაბით 300 000 ადამიანს შეეხება. ფლოტი ანალოგიურ შემცირებას 11 მილიარდი დოლარით იწვნევს და ეს 186 000 თანამშრომელს შეეხება, სამხედრო საჰაერო ძალების სამოქალაქო თანამშრომლებს 7,7 მილიარდი დოლარით ნაკლებს გადაუხდიან. შემცირებების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდებიან შტატები: ალაბამა, ტეხასი, ვირჯინია და პენსილვანია.**



ამ ყველაფრის პარალელურად აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტს „სეკვესტრიც“ ელის. შედეგად, მისი გემთმშენებლობის პროგრამები 7,75 მილიარდი დოლარით შეიკვეცება და 4 მილიარდი მოაკლდება ექსპლოატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე გამოყოფილ სახსრებს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამოქალაქო თანამშრომლები ხელფასის 20%-ს დაკარგავენ შვებულებების ანაზღაურებათა შემცირების ხარჯზე. ამ სფეროში სხვა შტატებზე მეტად კალიფორნია, ფლორიდა და ვირჯინია დაზარალდებიან.

საერთო ჯამში აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი 500 მილიარდით შემცირდება 10 წლის განმავლობაში სეკვესტრების — ბიუჯეტის ეგრეთ წოდებული ავტომატური შემცირების გზით. პენტაგონი ვარაუდობს, რომ მიმდინარე ფინანსური წლის დასასრულამდე (30 სექტემბერი) მას ხარჯების 46 მილიარდი დოლარით შემცირება მოუწევს. თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ უკვე განაცხადა, რომ **შემცირებები ამერიკას მეორეხარისხოვან სამხედრო ქვეყნად აქცევს.**

წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის პრესმდივანმა მაიკ ამატომ განაცხადა, რომ საუბარია სერიოზულ შედეგებზე, რომლებიც აისახება როგორც ეროვნულ თავდაცვაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ცხადია, რაც მეტი სამხედრო ბაზაა შტატში, მით მეტად დაეტყობა ამ შტატს შეკვეცის შედეგები. მაგალითად, ტეხასის ეკონომიკური დანაკარგები უზარმაზარ თანხებში გამოიხატება და 2,4 მილიარდ დოლარს მიაღწევს. სამოქალაქო თანამშრომელთა მთელი არმია — 30 000 ადამიანი — სამსახურს დაკარგავს, მათი პირადი დანაკარგები ანაზღაურების მხრივ 180 მილიონ დოლარს შეადგენს. ტეხასში ორი უმსხვილესი სამხედრო ბაზაა — ფორტ-ჰუდი და ფორტ-ბლისი.

ტეხასი ძლიერ დაზარალდება სამხედრო-საჰაერო ძალებში შეკვეცების გამოც და სახელფასო ანაზღაურების სახით 127 მილიონ დოლარს დაკარგავს. მეორე შტატი, რომელსაც მსხვილი ეკონომიკური დანაკარგები ელის სეკვესტრისგან, ოკლახომაა. აქ სამოქალაქო თანამშრომლებმა, შესაძლოა, 124 მილიონი დოლარი დაკარგონ სახელფასო ანაზღაურების სახით.

დაახლოებით ერთი კვირის წინ გენერალმა რაიმონდ ოდიერნომ, არმიის შტაბის უფროსმა, სენატორებს განუცხადა, რომ 3100 დროებითი თანამშრომელი პენტაგონიდან უკვე გაათავისუფლეს. ახალი თანამშრომლების მიღების პროცესი გაყინულია საბიუჯეტო კრიზისის გამო. ტექნიკური მომსახურებაც გაუქმდება. ხელახლა მომზადებული ჯარისკაცები არ წავიდნენ ავღანეთსა და სამხრეთ კორეაში. ყველა მათგანი „შემცირდება“.

**რაც შეეხება ტექნიკურ მომსახურებას, ამ მხრივ ყველაზე მეტად ის შტატები დაზარალდებიან, რომლებშიც დიდი საწყობებია განთავსებული.** მოსალოდნელი საბიუჯეტო შემცირებების გამო ამ საწყობებს უახლოეს მომავალში დახურავენ. მაგალითად, პენსილვანიას ტექუზრუნველყოფისთვის აქვს ორი მთავარი დეპო, რომლებზეც ხორციელდება კომპლექსური სისტემების, მათ შორის „Patriot“-ის, მოდერნიზაცია. სერიოზულად დაზარალდებიან ასევე ზემოხსენებული და ისედაც დაზარალებული ტეხასი და ალაბამა. დეპოების დახურვა გამოიწვევს იარაღის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების რემონტების შეჩერებას. დაკვეთების ნაკადის შემცირება შეეხება 3000-მდე კომპანიას, კიდევ 1100 კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშე დადგება.

ახლა ამერიკელების უმეტესობას ჰგონია, რომ ამერიკელ

**დღეს ამერიკას უფრო ბევრი ჰყავს ჯარისკაცი, რომლებმაც თავი მოიკლეს, ვიდრე ბრძოლის ველზე მოკლეს. მაგალითად, ამ მაჩვენებლების თანაფარდობა 2012 წლის ნოემბერში იყო 332 თვითმკვლელობა 210 მოკლულის წინააღმდეგ**

ომის ვეტერანებს დახმარება აღარ სჭირდებათ, რადგან ომი დასრულდა და, მათი აზრით, ჰოსპიტალებიც ცარიელი უნდა იყოს. მაგრამ პროფესიონალები ამბობენ, რომ ვეტერანებს მუდამ სჭირდებათ დახმარება — ზოგს საჭმლის ფული არ აქვს, ზოგს — სახლამდე მისასვლელი... უმეტესობა პოსტტრავმატული სტრესული აშლილობით და ქალა-თავის ტრამვებით „დაჯილდოებული“ დაბრუნდა ომიდან. არაერთმა მათგანმა უკვე დაბრუნების შემდეგ სცადა თვითმკვლელობა.

ერაყსა და ავღანეთში საომარმა კონფლიქტებმა დატანჯა ამერიკელი ხალხი, მაგრამ „Associated Press“-ის მიერ შედგენილ 2012 წლის 10 მთავარი ახალი ამბის სიაში ავღანეთის ომი ვერ მოხვდა.

„ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ყურადღების კონცენტრირების ხანმოკლე მდგომარეობა“, — აცხადებს 9/11-ის შემდეგ ამერიკის მიერ წარმოებული ომების ვეტერანების უფასო კონსულტირების ორგანიზაცია „Give an Hour“-ს პრეზიდენტი ბარბარა ვან დალანი. დღეისთვის ამ ორგანიზაციასაც და ვეტერანთათვის ფულადი დახმარების გაცემის საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც რეკორდულად ბევრი კლიენტი ჰყავთ.

**ომიანობის ათი წლის მანძილზე ვეტერანთა დეპარტამენტს მიმართა 866 000 ადამიანმა იმ 1,6 მილიონი სამხედროდან, რომლებიც 9/11-ის შემდეგ მსახურობდნენ. საუბარია ტემპების არნახულ ზრდაზე. ამერიკაში პოსტტრავმატული სტრესული აშლილობით სათანადო ორგანოებს დღეში ომის 184 ვეტერანი მიმართავს.**

ამ ადამიანებს ძირითადად საქველმოქმედო ორგანიზაციები ეხმარებიან. რაც შეეხება სახელმწიფოს, უხელოდ ან უფეხოდ დარჩენილ ვეტერანებს, ზოგჯერ რამდენიმე თვე უწევთ ლოდინი, რომ პირველად შეამოწმონ ინვალიდობაზე.

**ამერიკა მხარს არ უჭერს და არ ეხმარება თავის ჯარისკაცებს. ახალგაზრდები, რომლებიც წავიდნენ არმიასა და ფლოტში, რათა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაეცვათ დანარჩენი ამერიკელების სიცოცხლე, ამის სანაცვლოდ პოლიტიკური და ფინანსური ძალების თამაშში პაიკებად იქცნენ. მეორე მხრივ, ამერიკელები მიდიან იმ ომებში, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ამერიკის დაცვასთან. მამაცი ადამიანები გამოიყენებიან იმისთვის, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვოს და მდიდრებმა კიდევ უფრო გააფართოონ საკუთარი იმპერია.**

ბანკები ზრდიან პროცენტებს იმ კრედიტებზე, რომლებიც სამხედროებზე გაიცა, და ვიდრე ეს სამხედროები საზღვარგარეთ მსახურობენ, მათ ოჯახებს სახლებიდან ყრიან. **ამერიკაში საკუთარი ჯარისკაცები არავის სჭირდება.**

**ყოველწლიურად 19 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ქალი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება ამერიკელი ჯარისკაცების მხრიდან, მაგრამ არც ამერიკა და არც ამერიკელები არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დამნაშავეები პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.**

**ყოველ ღამე ომის 60 000 ვეტერანს იმ ქვეყნის ქუჩებში სძინავს**, რომელიც მხარს უჭერს თავის ჯარისკაცებს. არც გუშინ — არც ერთი თვის წინ, არც გასულ წელს და არც არასდროს მათ არავინ დახმარებია. ავღანეთისა და ერაყის ომების, სულ მცირე, 12 700 ვეტერანი იძულებულია, მუდამ ქუჩაში ეძინოს, ამერიკელები კი, უბრალოდ, გვერდს უვლიან მათ.

დღეს ამერიკას უფრო ბევრი ჰყავს ჯარისკაცი, რომლებმაც თავი მოიკლეს, ვიდრე ბრძოლის ველზე მოკლეს. მაგალითად, ამ მაჩვენებლების თანაფარდობა 2012 წლის ნოემბერში იყო 332 თვითმკვლელობა 210 მოკლულის წინააღმდეგ. ექსპერტების მონაცემებით, **ქვეყანაში, რომელიც მხარს უჭერს თავის ჯარისკაცებს, ყოველდღიურად 18 ვეტერანი იკლავს თავს**, ანუ ამერიკელი თვითმკვლელებიდან ყოველი მეხუთე ომის ვეტერანია. თუმცა ეს მაჩვენებლები ზუსტად არავინ იცის, რადგან ამერიკას ამის შესწავლისთვისაც კი არ შეუწუხებია თავი.

ამერიკელმა ახალგაზრდებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურზე ფიქრობენ, ბოლოს და ბოლოს უნდა დაინახონ, რომ მათი ქვეყნის სამხედრო უწყებამ ყველაფერი გა- ▶



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აშშ-ის განათლების სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ღარიბი მოსწავლეების წინააღმდეგ დაგეგმილი აქცია. სახელმწიფო კვლავაც უარს ამბობს დაფინანსების გათანაბრებაზე და სახელმწიფო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. როგორც ექსპერტებმა დაასკვნეს, არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არ გააჩნია უფრო ღრმა სისტემური უსამართლობა, ვიდრე ამერიკას.

აკეთა იმისათვის, რათა მათი ახალგაზრდა სიცოცხლე უაზროდ გაწიროს რაღაც საქმეებისთვის, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მათი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვასთან.

პენტაგონს ფეხებზე ჰკიდია თავისი ჯარისკაცები. ხელისუფლება არ დაეხმარება სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცებს, ხოლო თუ სამხედრო მოსამსახურე ქალია, თავიდანვე უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ თავდაცვის მინისტრი მოძალადეებისგან არ დაიცავს. გარდა ამისა, ნამუსის მქონე ადამიანებმა არ უნდა დაუშვან, რომ სამხედრო მანქანამ მათი გამოყენებით მშვიდობიანი ადამიანები ხოცოს იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამერიკისთვის არაფერი დაუშავებიათ.

**ქვეყნის იდეალების დაცვა ამერიკაში დღეს სამხედრო მოსამსახურეთა რიგების დატოვებას ნიშნავს.**

ამერიკის ხელისუფლებას არა მხოლოდ ომებიდან ხელისა თუ ფეხის გარეშე დაბრუნებული ყოფილი მეომრების, არამედ რიგითი მოქალაქეებისაც კი ეშინია და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მრავალი მათგანისგან გათავისუფლდეს.

მაგალითისთვის საკმარისია „სიკვდილის კლუბი" — იგივე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელმაც კანონის დონემდე აიყვანა ადამიანების, მათ შორის ამერიკელების, განადგურების საკითხი. ახლახან აშშ-ის იუსტიციის მინისტრმა მიიღო აქტი, რომელიც ნებას იძლევა, სასამართლოს გარეშე დასაჯონ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე.

როგორც აშშ-ის იუსტიციის მინისტრის მიერ კონგრესისათვის განკუთვნილ და ჟურნალისტების ხელში ჩავარდნილ ანგარიშშია აღნიშნული, უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით ტერორიზმში ეჭვმიტანილი ამერიკელების განადგურება ამერიკაში უკვე თავდაცვად განიხილება. სინამდვილეში კი საუბარია პირდაპირი გაგებით მკვლელობაზე.

ახალი ნორმატიული დოკუმენტი ნებას იძლევა, პირდაპირ მოკლან ამერიკის ნებისმიერი მოქალაქე, თუ ის „ალ ქაიდას მეთაურია". სინამდვილეში უპილოტო საფრენი აპარატების მიერ განადგურებული ათასობით ადამიანიდან მხოლოდ 2% იყო რეალურად მათი სამიზნე. განსაზღვრებაში „ალ ქაიდას ხელმძღვანელი" შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი ამერიკელი, რომელმაც ჰოდ-დოგი მიჰყიდა მას, ვინც ლაქლაქში ბენ ლადენი ახსენა. ეს სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გამოცხვეს ამერიკის ახალი ნომერ პირველი მტერი.

სულ მალე, როგორც ჩანს, ამერიკულ მართლმსაჯულებას შემდეგი სახე ექნება: პრეზიდენტი და მისი თანაშემწეები მორიგ მოლაპარაკებებზე შეიკრიბებიან და სასიკვდილოდ განწირულთა სიებში ახალ სახელებს ჩაწერენ.

**ახალი ნორმატიული აქტის პარალელურად ამერიკაში არა მხოლოდ კონსპირაციულად, არამედ თვით „ნიუ იორკ თაიმსში" წერენ მოსალოდნელი სამოქალაქო ომის შესახებ. გამოცემამ ამერიკელებს მოუწოდა, მზად იყვნენ სოციალური კოლაფსისთვის და გამოაქვეყნეს იმ ზომების ჩამონათვალი, რომლებიც ამერიკელებს გადარჩენაში დაეხმარებათ.**

თავისთავად ცხადია, წინააღმდეგობისთვის ემზადება პრეზიდენტი ობამაც. თუ მისი სიტყვებით ვიტყვით, თეთრი სახლის მზადება პროტესტებისა და სხვაგვარად აზროვნების ჩასახშობად „მასშტაბური სამოქალაქო ომისა" და „ტოტალიტარიზმის მოსალოდნელი გამოვლინებისთვის" წინააღმდეგობას ნიშნავს. ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ავადსახსენებელი შინაგანი უშიშროების დეპარტამენტი იზრუნებს. ამასთან, ძალზე საეჭვოა, ობამას არ ესმოდეს, რომ მთავარი ტოტალიტარული ბოსი, ამერიკის რომელილაც გარეშე თუ შიდა მტერი კი არა, თავადაა.

2011-2012 წლებში მან მიიღო ორი კანონი (ნაციონალური რესურსების თავდაცვისათვის მომზადების შესახებ და თავდაცვის მიზნებისათვის უფლებამოსილების შესახებ), რომელთა წყალობითაც ახლა ამერიკაში ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების საქმეები, ისევე, როგორც მათი დაკითხვის უფლება, სამხედროებს გადაეცათ. მათვე მიენიჭათ უფლება, განუსაზღვრელი ვადით დააკავონ ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ მას ტერორისტი უწოდეს.

ეს კანონები ობამას უფლებას აძლევს, აკონტროლოს „ძირითადი ნაციონალური ფუნქციები" და „საგანგებო მდგომარეობის" შემთხვევაში ამერიკელები საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტოს საკონცენტრაციო ბანაკებში გაამწესოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ **სამხედრო ხარჯების შესახებ კანონით, 2013 წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს იმაზე 1,7 მილიარდი დოლარით მეტს „ჩუქნიან", ვიდრე თავდაპირველად იგეგმებოდა.** საქმე ისაა, რომ სენატორებმა ბიუჯეტის კანონში შეიტანეს მუხლები, რომელებიც „შიდა მოხმარებისათვის საჭირო" იარაღის შეძენას დააფინანსებს. გაითვალისწინეს რა ის ფაქტი, რომ ავღანეთიდან ამერიკას დაჩქარებული წესით გაჰყავს თავისი ჯარები, ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ საბრძოლო გამოცდილების მქონე ჯარისკაცებს ქვეყნის შიდა არეულობების ჩასახშობად გამოიყენებენ.

აი, რისთვის სჭირდება თეთრ სახლს კანონები, რომლებიც კონდენციონერებიანი კაბინეტებიდან უპილოტო საფრენი აპარატებით ამერიკელთა ხოცვას დააკანონებს.

იმ ამერიკული „პატრიოტიზმის" ფონზე, რომლის საბრალო ობიექტები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებენ და ეგრეთ წოდებული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების ფონზე, რაშიც სხვა არაფერი იგულისხმება, გარდა ამერიკის ხელისუფლების მიერ საკუთარი თავისთვის მინიჭებული უფლებისა, როცა უნდა, სადაც უნდა და რა მიზნითაც უნდა ხოცოს ადამიანები, რიგითი ამერიკელები ან გამოშტერებულ პარაზიტებად იქცნენ და ათობით სოციალურ პროგრამას შორის ცირკულირებენ, ან მთელ ქვეყანაში დაწოწიალობენ, რომ სამსახური იშოვონ ან უფრო იაფად იცხოვრონ. ამ ადამიანებს საერთოდ არ აინტერესებთ, რომელ ქვეყანაში ომობს მათი ქვეყანა და ვის დახოცავენ სამხედრო ბაზებიდან მართული უპილოტო საფრენი აპარატებით. აშშ-ში სოციალური პარაზიტები არიან ისინი, ვინც კარგად მოიკალათეს ფედერალური ხელისუფლების ათასგვარ სოციალურ პროგრამაში.

ამერიკაში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ფედერალური ხელისუფლებისგან იღებენ დახმარებას, 2000 წლის 94 მილიონიდან 2011 წელს 128 მილიონამდე გაიზარდა. ამჟამად აშშ-ის მოსახლეობის 41,3% დახმარებას იღებს, ეს კი მხოლოდ აშშ-ის აღწერის ბიუროს შემცირებული მაჩვენებელია.

**სინამდვილეში ამერიკაში 128,8 მილიონი ადამიანი სწავლობს მინიმუმ ერთი სახელმწიფო პროგრამით; 48,6 მილიონი იყენებს დაზღვევას „MEDICAID"; 43,8 მილიონი იღებს „MEDICARE"-ს, 35,8 მილიონი იღებს პენსიას და შემოსავალს სოციალური უზრუნველყოფიდან; 39 მილიონი ცხოვრობს ოჯახში, სადაც სულ მცირე ერთი ადამიანი იღებს სასურსათე ტალონს; 7 მილიონამდე ადამიანი იღებს ბინის იჯარის სუბსიდიებს; 2 მილიონი ადამიანი კი იღებს სუბსიდიას უმაღლესი განათლებისთვის.**

მაგრამ მთავარი ის არაა, რომ სახელმწიფო მალავს დახმარებების მიმღებთა რაოდენობას, არამედ ის, რომ **ამერიკაში ამ ადამიანების რაოდენობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ მოსახლეობის საერთო ზრდას**, თანაც — ოფიციალური სტატისტიკით. 1988 წლიდან მოყოლებული 2011 წლამდე დახმარებების მიმღებთა რაოდენობა 62%-ით გაიზარდა, ამერიკის მოსახლეობა კი — მხოლოდ 27%-ით. გარდა ამისა, დროის იგივე მონაკვეთში ფედერალური ხელისუფლების პროგრამების ხარჯები 180%-ით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ამერიკაში გადასახადების გადამხდელები ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ფულს ხარჯავენ დახმარების თითოეულ მიმღებზე.**

„უოლ-სტრიტ ჟორნალის" კვლევების მიხედვით, სახიფათო გარდატეხის მომენტი დადგება მაშინ, როდესაც ამერიკაში დახმარების მიმღებთა რაოდენობა დაახლოებით გაუტოლდება მოსახლეობის ნახევარს, ეს დრო კი შორს აღარაა.

ამის პარალელურად, ამერიკის საერთო სახელმწიფო ვალმა უკვე გადააჭარბა საერთო შიდა პროდუქტის 100%-ს, სახალხო ფედერალური ვალი კი იმავე მაჩვენებელს 2024 წელს გადააჭარბებს.

ისინი, ვინც ვერ მოხვდნენ სახელმწიფოს დახმარებათა პროგრამებში, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, სადაც ინდუსტრია და წარმოება ერთნაირად ჩაკვდა, სამხრეთისაკენ გარბიან. მიგრაციის ყველაზე დიდი მაჩვენებლები დაფიქსირდა ილინოისის (60%), ნიუ იორკის (58%), მენის (56%), კონექტიკუტის (56%) და ვისკონსინის (55%) შტატებში. გაქცევის მთავარი მიზეზი ეკონომიკის კრახია, მაგრამ ეკონომიკის პარალელურად აშშ-ში განათლებაც ინგრევა.

ყველაზე უარესი ისაა, რომ ამერიკის განათლების სისტემაზე ზუსტად იმავეს ამბობდნენ ექსპერტები თეთრი სახლის სხვა ადმინისტრაციების პერიოდშიც. მაგალითად, 1972 წლის ანგარიშში სახელმწიფო სკოლების შესახებ ნათქვამია, რომ „ერი საფრთხის წინაშე დგას". მას შემდეგ გაუმჯობესებას ადგილი არ ჰქონია.

მეორე მხრივ, **აშშ-ში 2012 წელს კოლეჯებისა და ინსტიტუტებისთვის შეწირულობებმა 31 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს 2,3%-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელზე და ოდნავ უსწრებს წინ ინფლაციას.**

თუ ღარიბებსა და ეროვნულ უმცირესობებს ამერიკაში სახელმწიფო სკოლებშიც კი არ შეუძლიათ ნორმალური განათლების მიღება, მდიდრები მდიდრულ უნივერსიტეტებში სწავლობენ ისევე, როგორც მათი დედიკოები და მამიკოები სწავლობდნენ თავის დროზე. მაგალითად, **ჰარვარდში სწავლა წელიწადში 63 000 დოლარი ღირს. ცხადია, აქ მდიდარი მამიკოების შვილები სწავლობენ, მაგრამ სულ სხვა საკითხია, როგორ სწავლობენ.**

გასულ წელს ამ უნივერსიტეტში მომხდარი სკანდალის შემდეგ იქიდან 60 სტუდენტი გარიცხეს. როგორც გაირკვა, ბოლო გამოცდაზე ისინი დავალებას იწერდნენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მასობრივი გადაწერა მოხდა უმარტივესი კურსის — „კონგრესის მუშაობის საფუძვლების" გამოცდაზე.

საეჭვოა, რომ ჰარვარდის „ოქროს ახალგაზრდობა" ოდესმე წიგნებს ახლიდა თავს და ოლიმპიადებზე იმარჯვებდა. ამის ნათელი დადასტურებაა ჯორჯ ბუშ უმცროსი, აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის სათავეში ყოფნისას ერაყთან იბრძოდა, მაგრამ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს ქვეყანა აფრიკაში, სადღაც ავღანეთის საზღვრებთან ახლოს მდებარეობდა.

topwar.ru



**ოფიციალური სტატისტიკით. 1988 წლიდან მოყოლებული 2011 წლამდე დახმარებების მიმღებთა რაოდენობა 62%-ით გაიზარდა, ამერიკის მოსახლეობა კი — მხოლოდ 27%-ით**



**ავღანეთიდან ამერიკას დაჩქარებული წესით გაჰყავს თავისი ჯარები, ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ საბრძოლო გამოცდილების მქონე ჯარისკაცებს ქვეყნის შიდა არეულობების ჩასახშობად გამოიყენებენ**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოკუპაციის პირველი ორი თვის განმავლობაში დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოს — იუგოსლავიის ტერიტორიები ასობით უცხოელი ჟურნალისტის თვალწინ, ნატოს ორმოციათასიანი ელიტური ჯარის და განვითარებული დემოკრატიის წარმომადგენელი „სამოქალაქო“ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და თვალის დახუჭვის წყალობით, ალბანელმა ტერორისტებმა მიწასთან გაასწორეს, შეურაცხყვეს და დაარბიეს 80-მდე მართლმადიდებლური სიწმინდე — მონასტერი და ეკლესია.**

# ჯვარცმული კოსოვო

## სერბული მართლმადიდებლური ტაძრების განადგურება და შეურაცხყოფა კოსოვოსა და მეტოხიაში (1999 წლის ივლისი-აგვისტო)

**რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტერორიზმის ძალები, აშშ-ის, ნატოსა და ალბანელი ბანდიტების სახით, კოსოვოსა და მეტოხიის წმიდა მართლმადიდებლურ მიწაზე შევიდნენ. სერბი ხალხის „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება დაბომბვებით დასრულდა. დაიწყო მართლმადიდებლური რწმენის, კულტურისა და თავად ქრისტიანების „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება. აქ არ განვიხილავთ „ცივილიზებული“ ბარბაროსების ლეგიონების ვანდალიზმს. მათ მიმართ ვერ იარსებებს სხვა დამოკიდებულება, გარდა უფლის მტრებისადმი დამოკიდებულებისა. შემოვიფარგლებით მხოლოდ კოსოვოსა და მეტოხიის რასშკო-პრეზრენსკის ეპარქიიდან მიღებული და სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული ინფორმაციით.**





საერთაშორისო „სამშვიდობო“ ძალებმა (KFOR) იუგოსლავიაში ინტერვენცია ქრისტეშობიდან 1999 წლის 13 ივნისს დაიწყეს. ეს ძალები შედგებოდნენ ნატოს ელიტური ჯარებისგან, გაეროს სამოქალაქო სამმართველოსგან და სხვადასხვა ჰუმანიტარული, უფლებადამცველი „არასამთავრობო“ ორგანიზაციებისგან.

აქტიური „ჰუმანიტარული“ და „უფლებადამცველი“ მოღვაწეობის შედეგად, ოკუპაციის მხოლოდ პირველი ორი თვის განმავლობაში (ქრისტეშობიდან 1999 წლის ივლის-აგვისტო) კოსოვოსა და მეტოხიიდან გაძევებულ იქნა 180 000-ზე მეტი სერბი, რომლებმაც სამუდამოდ დაკარგეს საკუთარი სახლები. ათასობით სერბული სახლი გაიძარცვა და გადაიწვა. ალბანელმა ტერორისტებმა ამ პერიოდში ასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

ცნობილია, რომ კოსოვოსა და მეტოხიაში ძალადობა, მკვლელობა და ხანძრები ამ დრომდეც გრძელდება. აქ მხოლოდ ოკუპაციის ორი თვის კონკრეტულ მონაცემებს ჩამოვთვლით.

ოკუპაციის პირველი ორი თვის განმავლობაში დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოს — იუგოსლავიის ტერიტორიები ასობით უცხოელი ჟურნალისტის თვალწინ, ნატოს ორმოციათასიანი ელიტური ჯარის და განვითარებული დემოკრატიის წარმომადგენელი „სამოქალაქო“ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და თვალის დახუჭვის წყალობით, ალბანელმა ტერორისტებმა მიწასთან გაასწორეს, შეურაცხყვეს და დაარბიეს 80-მდე მართლმადიდებლური სიწმინდე — მონასტერი და ეკლესია.

ამ საოცარი დანაშაულებების ნაკადში ახალი და საოცარი არაფერია — საკმარისია, გავიხსენოთ ბელგრადის დაბომბვები წმიდა აღდგომის დღესასწაულზე ქრისტეშობიდან 1999 წელს.

**აშშ და ნატო არა მხოლოდ განასახიერებენ და მხარს უჭერენ საერთაშორისო ტერორიზმის ძალებს — იუგოსლავიაში ოკუპანტების მოქმედება თვალნათლივ ადასტურებს კოსოვოსა და მეტოხიაში, სადაც 1400-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერია, სერბული ქრისტიანული კულტურის განადგურების წინასწარ მოფიქრებული გეგმის სისტემატურ რეალიზაციას.**

**მონასტრებისა და ტაძრების განადგურება ყველაზე ხშირად ხორციელდება მაღალი კლასის პროფესიონალი ამფეთქებლების მიერ, რომელთაც კარგი სამხედრო სწავლება აქვთ გავლილი**





მონასტრებისა და ტაძრების განადგურება ყველაზე ხშირად ხორციელდება მაღალი კლასის პროფესიონალი ამფეთქებლების მიერ, რომელთაც კარგი სამხედრო სწავლება აქვთ გავლილი. მსოფლიო კულტურის შედევრების — შუასაუკუნოვანი მონასტრების მიწასთან გასწორება ყველაზე მგზნებარე ექსტრემისტებსაც კი არ ხელეწიფებათ. ესენი კი მონასტრებს რამდენიმეჯერ აფეთქებენ, რათა მათგან კვალიც კი არ დარჩეს. ნატოს ძალებს ამ დრომდე არაფერი გაუკეთებიათ ტოტალური ნგრევის შესაჩერებლად, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრების დანაღმვა და განადგურდება ზოგჯერ ჯარების განლაგების ადგილიდან 50 მეტრში ან პირდაპირ მათ თვალწინ ხორციელდება დღისით და მზისით.

აი, რამდენიმე მაგალითი: წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ სლოვინიეში აშენდა XVI საუკუნეში, XIX საუკუნეში კი განახლდა. ის სრულიად განადგურდა აფეთქების შედეგად ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების განლაგების ადგილიდან 50 მეტრში 1999 წლის 17 ივლისს. საკათედრო ტაძარი ქალაქ ჯაკოვიცაში აშენდა 1999 წელს იმ ძველი ტაძრის ადგილას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტებმა დაანგრიეს. ეს ერთ-ერთი ულამაზესი ტაძარი იყო კოსოვოსა და მეტოხიაში და განასახიერებდა XIII-XIV საუკუნეების სლავურ არქიტექტორულ კულტურას. მას შემდეგ, რაც იტალიური საოკუპაციო ჯარების მხარდაჭერით ალბანელი ტერორისტები სრულად დაეპატრონენ ქალაქს, ნატოელი „სამშვიდობოების“ თვალწინ დიდი ქალაქის ცენტრში ტაძარი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ წაბილწეს და გადაწვეს, მეორე დღეს კი ააფეთქეს და საძირკვლამდე დაშალეს. ეს მოხდა 1999 წლის 23 და 24 ივნისს.

სოფელ სერბიცას მახლობლად მდებარე ქალთა მონასტერი სერბმა მეფე ჯურაჯე ბრანკოვიჩმა 1434 წელს თავისი ქალიშვილის გამოჯანმრთელების აღსანიშნავად ააგო. მონასტერი რამდენიმეჯერ აღადგინეს. ის ეკლესიების კომპლექსია და ეძღვნება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანას, წმიდა გიორგისა და წმიდა იონიკიუს, რომელთა წმიდა ნაწილებიც, საუკუნეებია, ინახება ამ მონასტერში. 1999 წლის ივნისში მონასტერი გაძარცვეს და წაბილწეს ალბანელებმა. მონაზვნებს სასტიკად სცემეს. არ დაინდეს წმიდა იონიკიას ნაწილებიც. განადგურების მომენტში მონასტერი საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების ზონაში იმყოფებოდა. არსებული ცნობებით, მადლობა ღმერთს, რომ ახლა მონასტერს რუსული არმია იცავს. რუსი ჯარისკაცები არა მხოლოდ საიმედოდ იცავენ მას, არამედ აქტიურად მონაწილეობენ მონასტრის აღდგენაშიც.

XIV საუკუნეში აშენდა ზოჩიშტეს მონასტერი და უანგარო მკურნალების — კოსმასა და დომიანის ტაძარი. თავად ეკლესია კიდევ უფრო ძველია. საკურთხეველში შემონახულია XII საუკუნის ფრესკები. ტაძრის მთავარი სიწმინდეები მრავალი საუკუნის მანძილზე იყო იქ განსვენებული წმინდანების — კოსმას და დომიანის ნაწილები. ამ სიწმინდეების დახმარებით ათასობით ადამიანი განიკურნა. იკურნებოდნენ არა მხოლოდ მართლმადიდებლები, არამედ უამრავი ალბანელიც. 1999 წელს მონასტერი გაძარცვეს, გადაწვეს და გაანადგურეს ალბანელმა ტერორისტებმა. მონასტრის ტერიტორია გერმანული ოკუპაციის ზონაში იყო.

### სერბეთის პატრიარქის – უწმინდესი პავლეს სიტყვა

**ეს მოკრძალებული პუბლიკაცია არის ჩვენი ხმა, ქრისტიანული და ცივილიზებული მსოფლიოსადმი მიმართული. მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ უდიდესი ქრისტიანული იუბილის ზღურბლთან, ქრისტიანობის მეორე ათასწლეულის მიწურულს, ევროპაში ანადგურებენ ქრისტიანულ ეკლესიებს და ეს ხდება არა ომის, არამედ მშვიდობის პერიოდში, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ განადგურებული და შებილწული ტაძრების ფოტოები იმ ადამიანებს გაუღვიძებს სინდისს, რომელთაც შეუძლიათ შეაჩერონ ეს ბარბაროსობა, მათაც,**









დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მივმართავ ყველა კოსოვოელ ალბანელს, რომლებიც საკუთარ მომავალს სერბებთან ცხოვრებაში ხედავენ, წინ აღუდგნენ ამ უგუნურებას.“






## აი, იმ ქრისტიანული სიწმინდეების არასრული სია, რომლებიც კოსოვოსა და მეტოხიაში განადგურდა

**ვინც დაილალა დაუსრულებელი უბედურებისგან და არ უნდა დარჩეს მის თვალწინ ჩადენილი ბოროტმოქმედებების პასიურ მოწმედ.**

მივმართავ ყველა კოსოვოელ ალბანელს, რომლებიც საკუთარ მომავალს სერბებთან ცხოვრებაში ხედავენ, წინ აღუდგნენ ამ უგუნურებას.

ვიდრე კოსოვოსა და მეტოხიაში უკანონობა მეფობს, ვერც ჰუმანურობა გაიღვიძებს და ვერც სიმართლე. არავის აქვს მორალური უფლება, მშვიდად იზეიმოს გამარჯვება, თუ ერთი ბოროტება მეორით იცვლება, ვიდრე ერთის თავისუფლება მეორის მონობაზეა დამყარებული.

აი, იმ ქრისტიანული სიწმინდეების არასრული სია, რომლებიც კოსოვოსა და მეტოხიაში განადგურდა და რომლებიც სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სპეციალურმა გამოცემამ „ჯვარცმული კოსოვო“ გამოაქვეყნა.

**განადგურებული და წაბილწული ეკლესიები კოსოვოსა და მეტოხიაში:**

**წმიდა სამების მონასტერი სოფელ მიშუტიშტაში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის ტაძარი სოფელ მიშუტიშტაში** (1315 წელი — 1999 წელი);

**წმიდა მთავარანგელოზ გაბრიელის მონასტერი სოფელ ბინაჩში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა მარკ კორიშსკის მონასტერი სოფელ კორიშაში** (1467 წელი — 1999 წელი);

**ქალთა მონასტერი სოფელ სერბიცასთან წმიდა იონიკიას სამარხით** (1434 წელი — 1999 წელი);

**წმიდა უროშის მონასტერი ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის მიძინების ტაძრით სოფელ შარენიკში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა მთავარანგელოზის მონასტერი სოფელ გორნე-ნეროდიმლაში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა ნიკოლოზის ეკლესია სოფელ გორნე-ნეროდიმლაში** (1983 წელი — 1999 წელი)

**წმიდა სტეფანეს ტაძარი სოფელ გორნე-ნეროდიმლაში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის ეკლესია სოფელ დოლიცში** (1385 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ვასილი დიდის ეკლესია სოფელ სერბიცაში** (1863 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ სლოვინიაში** (XVI საუკუნე — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარის ტაძარი ქალაქ პრიზრენთან** (XVI საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა სამების ეკლესია სოფელ პეტრიჩში** (1993 წელი — 1999 წელი);

**წმიდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ეკლესია სუვო რეციში** (1938 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ნიკოდიმში** (1975 წელი — 1999 წელი);

**წმიდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს ტაძარი სოფელ ტალინოვიცში** (1999 წელი);

**წმიდა სამების ტაძარი სოფელ ბაბლეკში** (ძველი ტაძარი აღდგენილ იქნა 1966 წელს — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ხვთისმშობლის ტაძრად მიყვანის ეკლესია თეთრ ველზე** (XV საუკუნე — 1999 წელი)

**წმიდა უროშის ტაძარი ქალაქ უროშევიცაში** (1929 წელი — 1999 წელი);

**ეკლესია სოფელ ზასკოკში** (1999 წელი);

**წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ გატნეში** (1985 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ვუჩიტრინაში** (1934 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ სმაჩში** (1994 წელი — 1999 წელი);








**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია დანია ნეროდიმლეში** (1925 წელი — 1999 წელი);

**ეკლესია დერსნიკებში** (XVI საუკუნე — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ნაკლოში** (1985 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია სოფელ ოსოიანში** (1999 წელი);

**წმიდა მოციქულის ტაძარი პეტროვცაში** (1999 წელი);

**ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის შობის ეკლესია სოფელ სოფტოვიჩში** (1999 წელი);

**წმიდა იოანე პრედტეჩის ეკლესია სამოდრეჟში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა სამების ეკლესია** (1998 წელი — 1999 წელი);

**წმიდა იოანე პრედტეჩის ჩასახვის ეკლესია** (1998 წელი — 1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ჯურაკოვცაში** (1997 წელი — 1999 წელი);

**წმიდა დიმიტრი სოლუნსკის ეკლესია სოფელ სიგიში** (XIV საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა უანგარო მკურნალების — კოსმასა და დომიანის მონასტერი** (XII საუკუნე — 1999 წელი);

**წმიდა სამების ტაძარი ქალაქ ჯაკოვიცაში** (1999 წელი — 1999 წელი);

**წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ბისტრაჟინში** (1999 წელი);

**წმიდა მკურნალების ეკლესია სოფელ ნოვაკში (1999 წელი);**

ეკლესია სოფელ კრუშევოში **(1999 წელი);**

წმიდა მარკის ეკლესია სოფელ კლინში **(1999 წელი);**

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია სოფელ ჟეგრაში **(1931 წელი — 1999 წელი);**

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია კლინის კიევში **(XIV საუკუნე — 1999 წელი);**

ეკლესია სოფელ გრომოვოში **(1999 წელი);**

წმიდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია ლიუბიჟდეში **(XVI საუკუნე — 1999 წ.);**

წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ლიუბიჟდეში **(XVI საუკუნე — 1999 წელი);**

ეკლესია სოფელ დობროჩანში **(1999 წელი);**

იესო ქრისტეს საკათედრო ტაძარი ქალაქ პრიშტინაში (1999 წელი);




**წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ეკლესია** (1930 წელი — 1999 წელი);

**ეკლესია სოფელ ახალ კაჩანიკში** (1999 წელი);

**მართლმადიდებლური სასაფლაო ქალაქ მიტროვიცაში** (1999 წელი);

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი სოფელ პოდგორცეში** (1996 წელი — 1999 წელი);

**ყველა სერბი წმინდანის ეკლესია ჯურაკოვაცში;**

**წმიდა კოსმასა და დომიანის ეკლესია სოფელ ნოვაკეში;**

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი ქალაქ პეჩთან;**

**ერთგუმბათიანი ტაძარი სოფელ ზასკოკში;**

**წმიდა იერემიას ტაძარი გრებნიკში;**

**წმიდა ლაზარეს ტაძარი სოფელ კოსაში;**

**წმიდა სამების ტაძარი ჟიტინიეში;**

**ტაძარი სოფელ კლოკოტის გარეუბანში;**

**წმიდა ლაზარეს ტაძარი სოფელ ბელიცაში;**

**წინასწარმეტყველ ილიას ტაძარი მდინარე დრენიცას მარცხენა სანაპიროზე;**

**წმიდა გიორგის ტაძარი სერბიცას მახლობლად;**

**წმიდა სამების ტაძარი სოფელ დონჟი რატისში;**

**წმიდა მოციქულ ლუკას ტაძარი სოფელ ვიტოვირიცაში;**

**წმიდა წინასწარმეტყველ ილიას ტაძარი პოდუევოში;**

**წმიდა წინასწარმეტყველების — პეტრესა და პავლეს ტაძარი სოფელ გორნა პაკაშტიცაში;**

**კოსოვოს მიტროვიცას სერბული სასაფლაოს სამრეკლო;**

**წმიდა წინასწარმეტყველების — პეტრესა და პავლეს ტაძარი ქალაქ ისტოკში;**

**წმიდა ნიკოლოზის ტაძარი პრიზრენში;**

**იესო ქრისტეს ტაძარი დვორანში;**

**წმიდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარი სოფელ ლოკვიცში;**

**წმიდა ლაზარეს ტაძარი პრისკოტში, ჯაკოვიცას ახლოს;**

**ტაძარი ბინაჩში, ვიტინის სამხრეთით;**

**ტაძარი გოიბულიეში კოპაონიკის მთაზე;**

**წმიდა ნიკოლოზის ტაძარი შტიმლში;**

**იესო ქრისტეს ტაძარი მეჩიჩევა მახალაში;**

**ტაძარი მუშუტიშტას ახლოს;**

**წმიდა წინასწარმეტყველების ტაძარი მუშუტიშტაში;**

**1389 წლის 15 ივლისს წმიდა ვიტას დღეს გამართულ ბრძოლაში დაღუპული სერბების მემორიალი კოსოვოს ველზე;**

**ტაძარი სოფელ ზაკუტში.**

**მომზადებულია უცხოური პრესის მასალების მიხედვით**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შედეგად მასონ-სიონისტებს, ტროცკის ხელმძღვანელობით, გათვალისწინებული ჰქონდათ რუსებისთვის რუსეთის წართმევა (ახლა ქართველებს საქართველოს ართმევენ!), მაგრამ სტალინმა ეს გეგმა ჩაშალა. მან სოციალიზმის მშენებლობის კოსმოპოლიტური იდეოლოგია ტროცკთან ერთად სანაგვეზე მოისროლა, უზრუნველყო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, დაამარცხა ფაშიზმი, შექმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური სახელმწიფო.**

# რატომ ებრძვიან სტალინს

„ხოლო იესომ უთხრა მათ:
არ არის წინასწარმეტყველი
პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში
და თავის სახლში" (მათე, 13,57).

**სამოცი წელი გავიდა მშრომელი ხალხის დიდი ქომაგისა და მოამაგის, ხალხთა კეთილდღეობისთვის უდიდესი მებრძოლის — ი. ბ. სტალინის გარდაცვალებიდან. მიუხედავად ასეთი დიდი დროის გასვლისა, გარკვეული ძალები ისე განაგრძობენ ბრძოლას მის წინააღმდეგ, თითქოს სტალინი ცოცხალია და მათ თავდაუზოგავად ებრძვის. ძალები, რომლებიც სტალინის წინააღმდეგ ილაშქრებენ და „ჯვარზე აკრავენ" მას, მასონურ-სიონისტურ წრეს მიეკუთვნებიან. თავისი მოღვაწეობის წლებში სტალინმა ამ ძალებს უდიდესი დარტყმა მიაყენა; ახლაც, გარდაცვალების შემდეგ, შიშის ზარს სცემს მათ. ეს ძალები კი, პირადი კეთილდღეობის გარდა, არ ცნობენ სხვა ღირებულებებს და ყოველგვარი ხერხით ესწრაფვიან შავბნელი გეგმების განხორციელებას. ამ ძალებს მთავარ მოწინააღმდეგედ სოციალური სამართლიანობის იდეა და ამ იდეის მიღწევის გზების მოძღვრების არსებობა მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგე სტალინი და ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება არის. მათ მახვილი, უპირველესად, სტალინის წინააღმდეგ აღმართეს და ახლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ იწყებენ, მათი აზრით, გადამწყვეტ ბრძოლას.**

ი. ბ. სტალინის სიცოცხლეში სტალინიზმზე არ ლაპარაკობდნენ, ხოლო როცა მისი გახმიანება დააპირეს, სტალინმა კატეგორიულად უარყო სტალინიზმის არსებობა და განაცხადა: არსებობს მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი. მაგრამ ისტორიამ კორექტივი შეიტანა ამ საკითხში და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ **სტალინური სოციალიზმი — ესაა სტალინიზმის პრაქტიკულად განხორციელება — კაცობრიობის განვითარების, საყოველთაო მშვიდობისა და ქვეყნებს შორის ძმობა-მეგობრობის დამკვიდრების, მარქსიზმ-ლენინიზმის მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ სარწმუნოებასთან თანაცხოვრების გზა.**

ახლა მოდადაა ქცეული სოციალიზმის გათანაბრება მასონურ-სიონისტურ მოძრაობასთან.

ადამიანთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური სახელმწიფო სისტემა სტალინმა დამოუკიდებლად მოიფიქრა და გააკეთა, არ გამოუყენებია მარქსიზმი. ზოგს ამით სურს, სტალინის გენიალურობა აჩვენოს, ზოგს უნდა სტალინის მიერ აშენებული სოციალიზმი ანტიმარქსისტულ, ანტიადამიანურ მოდელად აჩვენოს და სტალინის დისკრედიტაცია მოახდინოს — დახატოს ის პარანოიკად, ველური ბუნების მქონე კაცად, რომელმაც უამრავი ადამიანი, პირადი ამბიციების გამო, კაცობრიობისთვის მიუღებელი ეკონომიკური სისტემის ქვეყნის აშენებისთვის გაჟლიტა. 1956 წელს ნ. ხრუშჩოვმა, პირწავარდნილმა ავანტიურისტმა და მოსულელო ელემენტმა, XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, საბჭოთა კავშირის მარშალს, თავდაცვის მინისტრის მოადგილეს კ. როკოსოვსკის სთხოვა, სტალინზე რაც შეიძლება მწვავე და მკვახე წერილი დაეწერა. ამაზე როკოსოვსკიმ უპასუხა: „ნიკიტა სერგის ძევ, ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია" (ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოდუევი, „უმაღლესი მთავარსარდალი — სტალინი", 2002 წ., გვ. 182.).

სტალინის გენიალურობა მდგომარეობს მასში, რომ მან ღრმად შეისწავლა სოციალურად სამართლიანი ქვეყნის მშენებლობის თეორია, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი და პრაქტიკულად უზრუნველყო მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველი სახელმწიფოს აშენება.

როცა მარქსიზმზე, სოციალიზმის მშენებლობის თეორიაზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ მარქსამდე არ ხდებოდა სოციალურად სამართლიანი ქვეყნის აშენების მოდელის ძებნა, თუმცა მარქსამდელი სოციალიზმი უტოპიად ითვლებოდა. მარქსმა და ენგელსმა კაცობრიობას უჩვენეს სოციალიზმის აშენების რევოლუციური, მეცნიერული, კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით განზოგადებული გზა. დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმი თვით ქმნის თავის მესაფლავე კლასს — პროლეტარიატს (მუშათა კლასს); გვიჩვენებს, რომ მუშები კლასობრივ ბრძოლაში დაამარცხებენ ბურჟუაზიას და ააგებენ სამართლიანობის დამამკვიდრებელ სახელმწიფოს.

მარქსის ეს წინასწარმეტყველება გაითვალისწინეს მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალმა ძალებმა და შექმნეს ე.წ. პოსტინდუსტრიული ქვეყნები, რაც ნიშნავს დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში მუშათა კლასის მოსპობას. ისინი ასე ფიქრობენ წინააღმდეგობის ძალთა გაქრობას...


ვილჰელმ მახარაძე

მარქსი და ენგელსი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხს ვერ წინასწარმეტყველებდნენ, ლენინმა და სტალინმა კი ეს შესაძლებლად ჩათვალეს. ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მთელი სიმძიმე სტალინს დააწვა. გულუბრყვილობაა იმის მტკიცება, რომ სტალინს მარქსისა და ლენინის თეორიული შრომების გარეშე შეეძლო სოციალისტური სახელმწიფოს აშენება. „რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო", — ამბობდა სტალინი. მან ისწავლა, თუ როგორ აეშენებინა სოციალურად სამართლიანი სახელმწიფო, თავის მხრივ განავრცო ეს მოძღვრება ისე, რომ ჩამოაცილა მასონურ-სიონისტური იდეების მატარებელი კოსმოპოლიტური იდეოლოგია — კოსმოპოლიტიზმი.

**რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შედეგად მასონ-სიონისტებს, ტროცკის ხელმძღვანელობით, გათვალისწინებული ჰქონდათ რუსებისთვის რუსეთის წართმევა (ახლა ქართველებს საქართველოს ართმევენ!), მაგრამ სტალინმა ეს გეგმა ჩაშალა. მან სოციალიზმის მშენებლობის კოსმოპოლიტური იდეოლოგია ტროცკთან ერთად სანაგვეზე მოისროლა, უზრუნველყო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, დაამარცხა ფაშიზმი, შექმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური სახელმწიფო.**

აი, ამას ვერ პატიობენ სტალინს გლობალისტებად გადანათლული კოსმოპოლიტები — მასონ-სიონისტები!

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა სტალინთან საუბარში დაახლოებით ასე თქვა: თქვენ მართლა კარგ ქვეყანას, ანგელოზების ქვეყანას, აშენებთ, მაგრამ ადამიანები ანგელოზები გახდებიან?

დიახ, მართალია, სტალინი აშენებდა რწმენაზე, მართლმადიდებლური რელიგიის მრავალ პოსტულატზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, რომელშიც ცხოვრება სამოთხედ ადამიანთა თავდადებული შრომით იქცეოდა, რომელშიც შრომა ყველა შრომისუნარიანი ადამიანისთვის სავალდებულოდ ითვლებოდა.

მასონ-სიონისტებსაც (თანამედროვე ამერიკული გლობალიზმის მომხრეებს) სურთ სოციალიზმის აშენება, მაგრამ მათი სოციალიზმი ძველი არისტოკრატიისა და სამეფო გვართა, ლორდებისა და გრაფების, ბანკირებისა და ოლიგარქების მსოფლიო-პოლიციურ სახელმწიფოში აშენებული სოციალიზმი იქნება, და სოციალიზმის სიკეთით ზემოთჩამოთვლილთა ოჯახები ისარგებლებენ, ხოლო „ოქროს მილიარდად" ქცეულ მსოფლიოში მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი გახდება მომსახურე პერსონალი და პირუტყვთან გათანაბრებული ადამიანთა ჯგუფი.



სტალინური სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაა შექმნილი ყბადაღებული „დალესის დოქტრინა". ეს ანტიადამიანური გეგმა კომუნისტების მონაჭორი ეგონათ, მაგრამ დღეს სახეზე გვაქვს ამ გეგმის განხორციელების მცდელობა. იგი ზედმიწევნით ხორციელდება არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

1917 წლის თებერვალში მასონ-სიონისტების რუსეთის განადგურების გეგმის ჩავარდნის შემდეგ, როცა ალექსანდრ კერენსკიმ (იგივე კირბის ადლერი), კრახი განიცადა, ასპარეზზე ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი) გამოიყვანეს. მას მიზნად დაუსახეს: რუსეთის დაცლა რუსებისგან, მართლმადიდებლური რელიგიის, კულტურის, მეცნიერების, ინტელიგენციის განადგურება; რუსეთის გადაქცევა ნედლეულისა და იაფი მუშახელის მოპოვების წყაროდ. დავალების შესრულების მიზნით, იგი ბოლშევიკურ კომპარტიაში ჩანერგეს 1917 წლის აგვისტოში. ლენინის მეშვეობით ტროცკი ძალაუფლების ხელში აღებას იოლად ფიქრობდა, მაგრამ ვერ შეძლო — სტალინი გადაულახავ ბარიერად აღუდგა წინ. ტროცკის ბოლშევიკური პარტიის წევრობა არამარტო ძალაუფლების ასაღებად, არამედ ჭეშმარიტ ბოლშევიკ კომუნისტთა გასანადგურებლად, ბოლშევიკური პარტიისა და მეცნიერული სოციალიზმის დისკრედიტაციისთვის სჭირდებოდა. იგი იმ ჯგუფისა და კლასის ინტერესებს ითავისებდა, რომლის წიაღიდანაც იყო გამოსული.

1918 წელს კურსკში, პარტიული აქტივის წინაშე გამოსვლისას, **ტროცკი** ამბობდა: **„თუ დღევანდელ დრომდე ჩვენ მიერ განადგურებულია ასეული და ათასეული, ახლა დადგა დრო შევქმნათ ორგანიზაცია, აპარატი, რომელიც შეძლებს ათეულ ათასების განადგურებას".**

## სტალინს მარქსისა და ლენინის თეორიული შრომების გარეშე შეეძლო სოციალისტური სახელმწიფოს აშენება. «რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო», — ამბობდა სტალინი

ხალხის განადგურების ტროცკისტული გეგმა 1937 წლამდე წარმატებით ხორციელდებოდა იმ პირთა მიერ, რომლებიც ტროცკიმ სახელმწიფო აპარატში ჩანერგა მისი ზეობის პერიოდში. სტალინმა ტროცკისტული „წითელი ტერორის" შეჩერება 1937-1938 წ.წ. შეძლო, მაგრამ ტროცკისტთა ავმა საქმეებმა ადამიანთა გარკვეულ ნაწილში ბოლშევიკების დისკრედიტაცია მოახდინა.

**თანამედროვე გლობალისტები სტალინს ვერ პატიობენ ტროცკისტული ხროვის მარცხს, ვერ პატიობენ მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის აღზევებისათვის საქმიანობას.** 1919 წელს ტროცკიმ და მისმა ბანდამ 300 ათასზე მეტი მართლმადიდებელი ღვთის მსახური გაანადგურა, რის შესახებაც ტროცკი და რაკოვსკი კიევ-პეჩორის ლავრაში ტრაბახობდნენ. იუდაიზმის მიმდევრებმა, რომლებითაც სავსე იყო ჯერ რუსეთის საბჭოთა მთავრობა და შემდეგ სსრკ, ლენინის მხარდაჭერით ყველაფერი გააკეთეს, რათა მაქსიმალურად გაენადგურებინათ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების მსახურები. 1919 წ. 1 მაისის ბრძანებულებით, რომელიც გაეგზავნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკის, ხელს აწერდნენ ცაკ-ის თავმჯდომარე კალინინი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი. ბრძანებაში ეწერა: **„ისინი** (მღვდლები. — ვ. მ.) **ყველგან უმოწყალოდ უნდა იყვნენ დახვრეტილი და რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა დაექვემდებაროს დაკეტვას. ტაძრები დალუქული და საწყობებად გამოყენებული უნდა იქნეს".**

**მართლმადიდებლური სასულიეროგანათლებამიღებული სტალინი გულგრილი არ იყო ეკლესიის დევნისადმი. იგი კომპარტიის გენერალური მდივანი 1922 წელს გახდა. აქედან დაიწყო მან ტროცკისტებისთვის ლაგამის ამოდება და მორწმუნეთა დაცვა.**

1923 წელს სტალინმა ორგბიუროს სახელით (პოლიტბიუროში ზინოვიევი და კამენევი ბატონობდნენ) ცირკულარი დააგზავნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უწყებებში და მკაცრად მოითხოვა მორწმუნეებისადმი პატივისცემით მოპყრობა. 1924 წლის იანვარში ლენინი გარდაიცვალა. იმავე წლის აპრილში სტალინმა დაგმო ე.წ. ანტირელიგიური პროპაგანდის ხულიგნური გამოხდომები და განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. 1924 წლის ოქტომბერში სოფლის მეურნეობის პარტუჯრედების მდივნების თათბირზე ასევე მკაცრად დაიცვა მორწმუნეთა ინტერესები. 1939 წლის 11 ნოემბერს, პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა გააუქმა 1919 წლის 1 მაისის ლენინის ხელმოწერილი ბრძანებულება №13666-2 **„მღვდლებისა და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ",** რომლის შესრულება ძერჟინსკის ევალებოდა და მიიღო დადგენილება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ამბობდა: **„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩაატაროს** ▶

**როგორც ჩანს, ქალბატონ მაიას უკვე საფუძვლიანად დაავიწყდა, რომ პოლიტიკურ გაერთიანება „ქართულ ოცნებას“, რომლის გენერალური მდივანი თავად გახლდათ, უამრავმა პატიოსანმა ადამიანმა მისცა ხმა, მათ შორის ბევრმა სტალინელმა! ამ გამოსვლით მან შეურაცხყოფა მიაყენა თავისივე ამომრჩეველს!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ბრალდებულთა და დაპატიმრებულთა საქმეების რევიზია, რომელიც ღვთისმსახურებას უკავშირდება. განთავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებიც ამ მოტივით იყვნენ დაპატიმრებულნი, თუკი მათ ქმედებას საბჭოთა ხელისუფლებისთვის ზიანი არ მოუტანია“.**

**სტალინმა იცოდა, რომ ადამიანი რწმენის გარეშე სასიკეთო საქმეებს ვერ გააკეთებდა, რომ რწმენა იყო საზოგადოების მამოძრავებელი ძალა...**

სტალინი ხალხთა მეხსიერებაში ფესვგადგმულია, როგორც ფაშიზმის უღლისაგან კაცობრიობის გადამრჩენი. **„მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ახლო ურთიერთობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“**, — ამბობდა **უინსტონ ჩერჩილი** სტალინზე მეორე მსოფლიო ომის დროს.

სტალინი და მის სახელთან დაკავშირებული ეპოქა მასონსიონისტებმა ცნობიერების მასობრივი დამახინჯების მიზნით აირჩიეს, რათა ხალხებს თავის გადარჩენის ბრძოლის უნარი წაართვან, შთაუნერგონ აზრი, რომ ხალხთა უბედურების მომტანი სტალინი და სტალინიზმია, მის მიერ შექმნილი სახელმწიფო კაცობრიობისთვის არა ბედნიერების, არამედ უბედურების მომტანი იყო. **საბჭოთა კავშირი ტროცკის გზით რომ წასულიყო, ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე არ იქნებოდა არც ერთი ეროვნული სახელმწიფო.** ტოპონიმური სახელები, ალბათ, შემორჩებოდა, მაგრამ მოხდებოდა ერების კვდომა, რომლისკენაც ახლა მიისწრაფვიან მსოფლიო ბატონობისაკენ მავალი „ბნელი ძალები“. მათ საცდელ პოლიგონად საქართველოს გამყიდველმა სააკაშვილმა ჩვენი სამშობლო აქცია; ისინი აქ ხვეწენ მომავალი მსოფლიოს სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის მექანიზმებს.

სოციალური უსამართლობის ამ გლობალურ ეპოქაში, მიუხედავად განუწყვეტელი თავდასხმისა, სტალინის სახეს ხალხთა მეხსიერებიდან ვერ შლიან. მისი სიდიადე უფრო და უფრო იკვეთება, იგი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხალხთა ცხოვრების უკეთესად მოწყობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ რჩება. მისი დრო — ესაა თავდაუზოგავი შრომისა და თავმდაბლობის დრო, დრო, რომელიც ადამიანთა მეხსიერებაში ღრმადაა ჩაბეჭდილი და რომლის ამოშლას ასე ცდილობენ „ოქროს მილიარდისკენ“ მავალი ბოროტი ძალები.

დავასრულებ **შარლ დე გოლის** სიტყვებით: **„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა არა მხოლოდ რუსეთში! მას შეეძლო მოეშინაურებინა თავისი მტერი, პანიკაში არ ჩავარდნილიყო დამარცხებისას და თვითკმაყოფილებას არ მისცემოდა გამარჯვებისას!“**

**ვილჰელმ მახარაძე,**
**საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი**

# მიშა, გაჩუმდი და წადი!

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაგვმოძღვრა: „არ შეიძლება ერთდროულად პატივს სცემდე ილია ჭავჭავაძეს და იოსებ სტალინსო“. ამასთან, პრეზიდენტმა ირონიულად აღნიშნა, რომ ახმეტის პროკურატურამ საქმე აღძრა იმ პირების მიმართ, ვინც ი. სტალინის ქანდაკება აიღო სოფელ ალვანში. პრეზიდენტმა ამაყად განაცხადა, რომ ეს მისი მითითებით გააკეთა პეტრე ცისკარიშვილმა, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა.**



ბატონმა მიხეილმა ამასთანავე მუქარით წარმოთქვა, რომ „რამდენჯერაც აღადგენენ, იმდენჯერ ჩამოვხსნითო“, რაც მისმა მორჩილმა აუდიტორიამ „მქუხარე ტაშით“ მოიწონა.

კონფერენციის მსვლელობა გააშუქა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ხოლო შემდგომ, 26 დეკემბერს განმეორებით ეს სიუჟეტი აჩვენა მეორე არხმაც.

საქმის ფაქტობრივი გარემოება კი ასეთია:

იმ დროს, როდესაც ეს „სატელევიზიო შოუ“ ეთერში გადიოდა, სოფლის მკვიდრთა ინიციატივით, ი. სტალინის ძეგლი, უკვე განახლებული, კვლავ ამაყად იდგა ალვანში დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების მემორიალთან.

ალვანელებმა 21 დეკემბერს ი. სტალინის დაბადების დღეც აღნიშნეს.

როგორც ჩანს, ბატონ მიშას მოგვიანებით მიაწოდეს ინფორმაცია მისმა „მსტოვრებმა“, რაც მან ჩვეული პათოსით გამოიყენა სიმბოლოებთან ვირტუალურ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა „პროფესიულად“ დაამუშავა პარლამენტის ყოფილი შემადგენლობის ყოფილმა წევრმა, ბატონმა გ. თორთლაძემ (იგივე „პადოშა“), რაც ნათლად ჩამოყალიბდა მის მიერ ინიცირებულ 2010 წლის 19 მაისის კანონპროექტში „თავისუფლების ქარტია“, რომელიც მიიღო წინა მოწვევის პარლამენტმა.

სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ „ბელადი“ კონფერენციის მონაწილეებს არწმუნებდა თავისი პარტიის ძლიერებასა და პოლიტიკური კურსის შეუვალობაში, მასმედიაში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ი. სტალინის ძეგლი ასევე აღადგინეს თელავის რაიონის სოფელ აკურაში. ბელადის ბიუსტები ქვეყნის არაერთ სოფელსა და ქალაქში არსებობს.

ასეთია ხალხის ნება, რასაც წინ ვერავითარი სატანური ძალა ვერ აღუდგება.

საკითხავია: რა უფრო ტრაგიკულია — მ. სააკაშვილის აგონია თუ ის გარემოება, რომ ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი ჰყავს?

ბატონმა „პრეზიდენტმა“ უნდა შეიგნოს, რომ ერის კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა მარადიული თემაა, მისი დაცვა ყველას საზრუნავია, ხოლო ხელყოფა — უმძიმესი დანაშაულია.

იმედი გვაქვს, რომ ახმეტის რაიონის პროკურატურა საქართველოს მშრომელებს, ომის ვეტერანებს, საზოგადოებრიობას აცნობებს დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების ხსოვნის მემორიალის შეურაცხყოფის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგებს.

შესაძლოა, ამის შემდეგ მაინც დაიოკოს მიშამ „ემოცია“ და დაწყნარდეს, გაითვალისწინოს, რომ უკვე 850 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას მის მიერ „ტახტის“ დატოვების თაობაზე და ეს ერის ნებაა!

აქვე გვინდა ვთხოვოთ საქართველოს კულტურის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას, გვაცნობოს, შესრულდება თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მთავრობის და კერძოდ, ყოფილი კულტურის მინისტრის, ნ. რურუას, „დანაპირები“ გორში ი. სტალინის ძეგლის, ქუთაისში კი აფეთქებული დიდების მემორიალის აღდგენის თაობაზე, ახალი პროექტების შესაბამისად. ასევე გვაინტერესებს, დაბრუნდება თუ არა დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის, ძეგლი კვლავ თბილისის ცენტრში, რასაც ითხოვენ დედაქალაქის მკვიდრნი და ქართველი გენერლები (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 4.12.2012).

დასასრულს გვინდა პასუხი გავცეთ ბატონ მიხეილის „ბრძნულ“ გამონათქვამს — შეიძლება თუ არა ერთდროულად პატივი მივაგოთ ილია ჭავჭავაძეს და იოსებ სტალინს.

არიან ადამიანები, რომლებსაც ბუნება ნიჭიერებით, შეუპოვრობით და დიდი ენერგიით აჯილდოებს. სწორედ ასეთ რჩეულთა შორის არიან ი. სტალინი და ი. ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა ამოიცნო ახალგაზრდა სოსოში პოეტური ნიჭი და 1885 წლის 14 ივნისს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა მისი ცნობილი ლექსი „დილა“. დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა აღიარა სოსელოს პოეტური ნიჭიერება და აღნიშნული ლექსი 1912 წელს შეიტანა თავის „დედა ენაში“. სწორედ ამიტომ და ბევრი სხვა დამსახურებისთვის პატივს ვცემთ და ვაფასებთ სტალინს. მისი შვილობით ყველა ერი იამაყებდა.

ჩვენს სათქმელს ვამთავრებთ ამ წერილის სათაურით: „მიშა, გაჩუმდი და წადი“!

**რევაზ ნაცარიშვილი,**
**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე;**

**თამაზ ჯაფოშვილი,**
**საქართველოს მშრომელთა საბჭო**

# ქალბატონი მაია ფანჯიკიძე აბობოქრდა!

**ქუთაისში, პარლამენტის ე.წ. უმცირესობის წინაშე გამოსვლისას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი მაია ფანჯიკიძე წამოეგო უმცირესობის — „ნაციონალების“ პროვოკაციას, რითაც თვალნათლივ დაგვანახა, რომ იგი ძალზე მოიკოჭლებს დიპლომატიის ხელოვნებაში.**



„ნაციონალებმა“ ქალბატონ ფანჯიკიძეს დაუსვეს შეკითხვა: **აღადგენს თუ არა ახალი ხელისუფლება „ნაცების“ მიერ დამხობილ სტალინის ძეგლებს?** აი, აქ თვალნათლივ გამოჩნდა ქალბატონ ფანჯიკიძის მიერ დიპლომატიის „ანი-ბანის“ უცოდინარობა. პასუხად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა იოსებ სტალინის მიმართ უბინძურესი სიცრუისა და უბოროტესი ცილისწამების კორიანტელი დააყენა! მისი მგზნებარე სიტყვა არ გამოირჩეოდა არც სიახლით, არც ორიგინალობით. ყველასთვის კარგად ნაცნობი ხრუშჩოვ-გებელსის „ციტატებს“ თუთიყუშივით იმეორებდა: „ტირანი“, „სისხლისმსმელი“, „მილიონობით რეპრესირებული, დახვრეტილი“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ქალბატონ მაიას უკვე საფუძვლიანად დაავიწყდა, რომ პოლიტიკურ გაერთიანება „ქართულ ოცნებას“, რომლის გენერალური მდივანი თავად გახლდათ, უამრავმა პატიოსანმა ადამიანმა მისცა ხმა, მათ შორის ბევრმა სტალინელმა! ამ გამოსვლით მან შეურაცხყოფა მიაყენა თავისივე ამომრჩეველს!

საინტერესოა, ვის გულის მოგებას ცდილობდა ქალბატონი ფანჯიკიძე? სოდომგომორული ცოდვების პროპაგანდისტების — „ნაციონალებისა“ თუ საქართველოს მმართველის, გენერალ-გუბერნატორის, აშშ-ის ელჩის, ვინმე ნორლანდისა?! ეს ხომ ულრანი პროვინციალიზმია!

ამ ბოლო წლებში ყველა, ვისაც არ ეზარება, იცის ეს თემა თუ არა, გაჰკივის ყბადაღებულ „1937“ წელზე, როგორც კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ბოროტებაზე. ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი ამ ბნელი ხალხის ცოტათი განათლებისა. მადლობა ღმერთს, არქივების ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა სერიოზული მკვლევარებისთვის. მაშ ასე, 1937 წლისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 194 მილიონ ადამიანს. მთლიანად საბჭოთა კავშირში 1937 წელს დაპატიმრებული იქნა 779.056 ადამიანი. აქედან დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ „ჩვეულებრივი“ კრიმინალები, რომლებსაც ჰქონდათ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული, მათ შორის უმძიმესი – მკვლელობები, გაუპატიურობები. აქედან კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის გაასამართლეს დაახლოებით 38,8 ათასი ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ 1939 წლამდე სტალინს არ ჰქონდა სრული ძალაუფლება, კერძოდ, იგი ვერ აკონტროლებდა შინსახკომს, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა ტროცკისტების ბუდედ. მხოლოდ 1938 წლის დეკემბერში, ეჟოვის დაპატიმრების შემდეგ, ამ სამსახურს სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია.

აი, რა შედეგი მოიტანა შინსახკომზე იოსებ სტალინის კონტროლმა — მთელი 1938 წლის პერიოდში კონტრრევოლუციონერული მოღვაწეობისთვის დააპატიმრეს 52 372 ადამიანი, აქედან 2 731 გაასამართლეს, ხოლო დახვრიტეს — 89 (ოთხმოცდა ცხრა)! წლის ბოლოს გაამართლეს 49 641 ადამიანი! ეს იმაზე მეტყველებს, რომ შინსახკომში ჩანერგილი ტროცკისტები — გენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი აპატიმრებდნენ უდანაშაულო ხალხს! აქვე ვურჩევთ მინისტრს, გაეცნოს სააკაშვილის რეპრესიების მასშტაბს. 3,5-მილიონიან საქართველოში სასჯელს იხდიდა 40 (ორმოც) ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო ე. წ. პრობაციონერთა რიცხვი 300 (სამას) ათასს აღემატებოდა! დასკვნა მკითხველმა გააკეთოს.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოქცეულიყო მაგ შემთხვევაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი? ქალბატონი მაია დიპლომატი რომ ყოფილიყო, დაახლოებით ასე უპასუხებდა: **„ნაცბანდიტებს“: მე ვარ საგარეო საქმეთა მინისტრი და მაგ საკითხში არ ვარ კომპეტენტური. მიმართეთ კულტურის მინისტრს ან ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს. ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა!**

ჩვენ, როგორც „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები, ქალბატონ ფანჯიკიძისაგან მოვითხოვთ ბოდიშის მოხდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულები ვიქნებით, საჯაროდ მივანიჭოთ ქალბატონ მინისტრს გებელსის სახელობის პრემია!

**ი. სტალინის ფენომენის შემსწავლელი ჯგუფის სახელით:**

**გ. ბერძენიშვილი,**
**ვ. მახარაძე,**
**ვ. წიკლაური,**
**თ. ჯაფოშვილი,**
**ჯ. კიკრიაშვილი,**
**ზ. აბაშმაძე და სხვ.**

გენია-ლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# კიდევ ერთხელ სტალინის სიმაღლის შესახებ

**სახელმწიფო მოღვაწის ღირსებები არ ფასდება მისი სიმაღლით, ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს სტალინის სიმაღლის დადგენას, მითუმეტეს, რომ ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო დოკუმენტური მასალები არსებობს.**

ამ თემის განხილვა გადამაწყვეტინა ახლახან ინტერნეტით გავრცელებულმა სტატიამ **„როგორი იყო იოსებ სტალინი გარეგნულად“** (ავტორი ვახტანგ გურული). ეს სტატია ჯერ კიდევ 2011 წელს ჟურნალ **„ისტორიანის“** მე-11 ნომერში გამოქვეყნდა. სტატია საინტერესოა, მაგრამ მას წინ უძღოდა ბატონ **ჯაბა სამუშიას** განმარტება **„რედაქტორის სვეტში“** (გვ.5). რედაქტორი წერს: **„აღმოჩნდა, რომ დიდი ბელადი სულაც არ ყოფილა „დიდი“. მისი სიმაღლე 161 სანტიმეტრი გახლდათ“.** სტატიასთან ერთად (გვ. 49) იყო დაბეჭდილი ფოტოსურათი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: **„ბათუმში პირველი დაპატიმრების შემდეგ ჟანდარმერიის მიერ შედგენილი სტალინის სხეულის დათვალიერების ოქმი“.** სინამდვილეში გამოქვეყნებული დოკუმენტი შედგენილია ბაქოს ჟანდარმერიაში და, თუ კარგად დავაკვირდებით, სიმაღლე ჩაწერილია 1 მეტრი და 69 სანტიმეტრი. რაც შეეხება ბათუმის ჟანდარმერიის ოქმს, აღნიშნულ ტექსტში წერია: **„სიმაღლე — 2 არშინი და 4,1/2 ვერშოკი (161,8სმ.)“ (სანტიმეტრებში აქაც და შემდეგაც გადაყვანილია ჩემ მიერ. — ლ. გ**.). ეს ტექსტი საკმაოდ ცნობილია, მაგრამ თვითონ დოკუმენტი ან მისი ფოტოასლი არსად დაბეჭდილა. „ისტორიანში“ შეცდომით დაბეჭდილი ბაქოს ჟანდარმერიის დოკუმენტის ფოტოასლი გამოფენილია სტალინის მუზეუმის პირველ საგამოფენო დარბაზში; დაიბეჭდა 2009 წლის „საარქივო მოამბეში“, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო გამოსცემდა; მოყვანილია **საიმონ სებაგ მონტეფიორეს წიგნში „ახალგაზრდა სტალინი“** (ქართული თარგმანი 2010 წელს გამოიცა); დაიბეჭდა ჟურნალში **„გზა“** 2010 წელს; დაბოლოს, ამ დოკუმენტის ორიგინალი რანდენიმეჯერ აჩვენეს ტელევიზიით,

მაგრამ არსებობს სხვა დოკუმენტებიც. მაგალითად, **სტალინის მუზეუმში ინახება 1939 წელს სტალინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი, რომელშიც დაბეჭდილია 1911 წლის პეტერბურგის პოლიციის განყოფილების დოკუმენტი. ამ საბუთში გარკვევით წერია, რომ სტალინის სიმაღლე შეადგენს 1 მეტრს და 74 სანტიმეტრს.**

სტალინის სიმაღლის შესახებ, აღნიშნული დოკუმენტების გარდა, სხვა მასალებიც არსებობს. მათ შესახებ შედარებით ამომწურავი ინფორმაციაა რუსულ ენაზე ინტერნეტით გავრცელებულ სტატიაში, რომლის ავტორია **იგორ პიხალოვი** („Был ли Сталин низкорослым“ http:/pyxalov.livejurnal-.com). მას პეტერბურგის პოლიციის კიდევ ერთი დოკუმენტი (1913 წ.) აქვს მოყვანილი. სტალინის სიმაღლე აქაც 174 სმ-ია. ამავე სტატიაში აღნიშნულია, რომ 1912 წელს, როცა სტალინს მორიგ გადასახლებაში გზავნიდნენ, ე. წ. ღია ფურცელში ჩაწერეს სიმაღლე — 2 არშინი და 6 ვერშოკი (168,64 სმ), ხოლო 1904 წლის 5 იანვარს ნოვაია უდადან (ირკუტსკის გუბერნია) გამოქცეული იოსებ ჯუღაშვილის შესახებ მონაცემებში — 38 ვერშოკი (167,2სმ.). მეტრული სისტემა რუსეთის იმპერიაში შემოღებულ იქნა 1900 წლის 1(13) იანვარს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს მიერ, მაგრამ ერთდროულად ძველი ზომა-წონის ერთეულებიც გამოიყენებოდა. გარდა ამისა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სტალინის პიროვნული პორტრეტის ყველაზე ცნობილი ავტორი — **ბორის ილიზაროვი** წერს, რომ **გარდაცვალებისას სტალინის სიმაღლე 170 სმ-ს შეადგენდა.**

რა თქმა უნდა, ასეთი განსხვავებული მონაცემები მკითხველს დააბნევს, მაგრამ რიცხვები იზრდება სტალინის ასაკთან ერთად. ბათუმში სტალინი უფრო ახალგაზრდა იყო და, ვინაიდან ის სიმაღლეში იზრდებოდა, ყოველი შემდგომი რიცხვიც უფრო დიდია. ასე რომ, ჟანდარმები არ ცდებოდნენ. **რუსეთის იმპერიაში მამაკაცის საშუალო სიმაღლედ ითვლებოდა 166-167 სმ, ხოლო კავკასიაში — 165 სმ. მაშასადამე, თუ არ ჩავთვლით ექიმ ელიავას ჩანაწერს, სტალინი საშუალოზე მაღალი იყო.**

რაც შეეხება თვითმხილველებს, მაგალითად, **ამერიკელი გენერალი ჰენრი არნოლდი სტალინზე** წერდა: **„მაღალი არ იყო, დაახლოებით 5 ფუტი და 9 დუიმი (175,26 სმ.), მაგრამ ლამაზი, კარგი შესახედაობის ჯარისკაცი გახლდათ“.**

არსებობს ცნობილი ადამიანების სიმაღლის დადგენის კიდევ ერთი ხერხი — შევადაროთ ისინი ფოტოებზე გვერდით მყოფებს. მაგალითად, პიხალოვმა სტალინი კიროვს შეადარა. სერგეი მირონის ძე კიროვის სიმაღლე გარდაცვალებისას 168 სმ-ს შეადგენდა, სტალინი მასზე მაღალია.

**ლარისა გაჩაშვილი**,
ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი.

**P.S. ეს წერილი მხოლოდ გულისტკივილმა დამაწერინა. ახლახან საფრანგეთში სტალინის შესახებ სერიოზული და ვრცელი დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყეს. სტალინის მუზეუმში ჩამოსულმა ამ ფილმის ერთ-ერთმა ავტორმა გვითხრა, რომ ფილმი დაეყრდნობა მხოლოდ ქრონიკას, დოკუმენტებს და ორიგინალურ ფოტოებს. „სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა“, — ასეთია მათი გადაწყვეტილება. ჩვენ რა გვჭირს?!**



# იოსებ ბესარიონის ძე სტალინი: ოჯახის გენეალოგია



პაპა — იქორწინეს 1854

**გელაძე გიორგი (გლახა)**
დაახლ. 1832 სამბიეთი, გორი — მებაღე — დაახლ. 1863 სამბიეთი, გორი

ბებია

**ხომეზურაშვილი მელანია**
დაახლ. 1838 ფცისი, გორი — გლეხი — 1869-ის შემდეგ ფცისი, გორი

დედა — იქორწინეს 1874 17.05 გორი

**გელაძე ეკატერინე (კეკე) გიორგის (გლახას) ას.**
სტალინმა ბოლოს ინახულა დედა 1935 17.10
1856 17.10 გამბარეული, გორი — 1937 04.06 თბილისი, მთაწმინდის პანთეონი

ძმა

**ჯუღაშვილი მიხეილ ბესარიონის ძე**
1875 გორი — 1875 გორი

პაპა — იქორწინეს 1843

**ჯუღაშვილი ივანე (იოანე) ზაზას ძე**
დაახლ. 1818 დიდი ლილო — მევენახე — დაახლ. 1858 დიდი ლილო

ბებია

დაახლ. 1827 დიდი ლილო — დაახლ. 1862 დიდი ლილო

მამა

**ჯუღაშვილი ბესარიონ ივანეს (იოანეს) ძე**
ხელოსანი მეწაღე
1850 13.06 დიდი ლილო — 1909 29.08 გარდ. თბილისში, თელავი

ძმა

**ჯუღაშვილი გიორგი ბესარიონის ძე**
1876 გორი — 1877 გორი

**ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონის ძე**
**1913 12.01-დან სტალინი**
1879 21.12 გორი — 1953 05.03 მოსკოვი

I მეუღლე — იქორწინეს 1906 22.06

**სვანიძე ეკატერინე (კატო) სვიმონის ას.**
მკერავი
გარდაიცვ. მძიმე ავადმყოფობით
1883 29.11 ბაჯი, ქვემო რაჭა — 1907 22.11 თბილისი, კუკია

შვილი

**ჯუღაშვილი იაკობ (იაშა) იოსების ძე**
1921-დან ცხოვრობდა და სწავლობდა მოსკოვში
არტილერიის უფროსი ლეიტენანტი 1941 მაისი
1977 დაჯილდ. სამამულო ომის I ხარისხის ორდენით
1907 17.03 ბაჯი, ახალსენაკი სავარაუდოდ; დ. 1908 30.03 ბაჯი, რაჭა — 1943 14.04 მოკლ. გერმანიაში, ზაქსენჰაუზენი, საკონც. ბანაკი

I მეუღლე — იქორწინეს 1925, განქორწინდნენ 1929

**გუნინა ზოია ივანეს ას.**
თანაკლასელი
1908 მოსკოვი — 1983 ვენა, ავსტრია

შვილი

**ჯუღაშვილი ელენე (ლენინა) იაკობის ას.**
გარდ. ფილტვების ანთებით
1929 07.02 ლენინგრადი — 1929 ლენინგრადი

II მეუღლე — იქორწინეს 1935 11.10

**მელცერი იულია (იუდიფ) ისააკის ას.**
1-ლი ქმარი – ნიკ. ბესარაბი
ბალერინა
იყო დაპატიმრ. 1941-43
1906 ოდესა — 1968 მოსკოვი

შვილი

**ჯუღაშვილი გალინა (გულია) იაკობის ას.**
ფილოლოგი, მეცნიერი, მწერალი
1938 19.02 მოსკოვი — 2007 27.08 მოსკოვი, ტროეკუროვის სასაფლაო

იქორწინეს 1969 — მეუღლე

**ბენსაადი ჰოსინ (ჰუსეინ) იბრაჰიმი**
გაეროს ექსპერტი, მათ. მეცნ. კანდიდატი
1937, ალჟირი — ცხოვრობს ალჟირში

შვილი

**ჯუღაშვილი სელიმ ჰოსინის ძე**
მხატვარი, ცხოვრობს მოსკოვში
1971 16.11 მოსკოვი — [illegible]

იქორწინეს 2004 04.09 მოსკოვი — მეუღლე

**შერსტიანოვა ნატალია**
1977 10.03, მოსკოვი

არაოფიციალური III მეუღლე

**გოლიშევა ოლგა პავლეს ას.**
მედდა
1941-45 ომის მონაწილე
1909 13.02 ურიუპინსკი — 1957 20.09 მოსკოვი, გოლოვინის სასაფლაო

შვილი

**ჯუღაშვილი ევგენი იაკობის ძე**
ისტორიის მეცნ. კანდიდატი
დოცენტი, პოლკოვნიკი
1936 12.01 ურიუპინსკი, რუსეთი

იქორწინეს 1962 06.10 გორი — მეუღლე

**ნოზაძე ნანა გიორგის ას.**
ფილოლოგი, გერმანისტი
1939 25.07, ხაშური

**ჯუღაშვილი იაკობ (იაშა) ევგენის ძე**
მხატვარი
1972 14.07, თბილისი

იქორწინეს 2001 11.11 გორი — მეუღლე

**ლომკაცი ნინო ომარის ას.**
მხატვარი
1969 01.01, თბილისი

**ჯუღაშვილი ოლღა-ეკატერინე იაკობის ას.**
2009 24.02, თბილისი

**ჯუღაშვილი ბესარიონ (ბესო) ევგენის ძე**
კინორეჟისორი
1965 06.10, თბილისი

იქორწინეს 1994 14.01 გორი — მეუღლე

**ჯაფარიძე ნანა გურამის ას.**
ბიოლოგი
1963 22.10, თბილისი

შვილები

**ჯუღაშვილი იოსებ (სოსო) ბესარიონის ძე**
1994 28.12, თბილისი

**ჯუღაშვილი ვასილ (ვასო) ბესარიონის ძე**
2000 16.08, თბილისი

შვილი

**სტალინი ვასილ იოსების ძე**
ავიაციის გვარდ. გენერალ-ლეიტენანტი: 1949 11.05
სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: 1951-53
ორდენი - 5, მედალი - 10
1921 21.03 მოსკოვი, კრემლი — 1962 19.03 ყაზანი; 2003 19.11 გადმოასვენეს მოსკოვში, ტროეკუროვის სასაფ.

იქორწინეს 1940 30.12, დაშორდნენ 1944 — I მეუღლე

**ბურდონსკაია გალინა ალექსანდრეს ას.**
კოლიგრაფისტი
1921 მოსკოვი — 1990 მოსკოვი

შვილი

**ბურდონსკი (სტალინი 1957-მდე) ალექსანდრე (საშა) ვასილის ძე**
რუსეთის სახალხო არტისტი, რეჟისორი
შვილი არ ჰყავდა, იშვილა გოგო
1941 14.10, კუიბიშევი

შვილი

**სტალინა ნადეჟდა (ნადია) ვასილის ას.**
იყო გორის პედ. ინ-ტის სტუდენტი
ფილოლოგი, ხელოვნებათმცოდნე
1943 კუიბიშევი — 1999 16.11 მოსკოვი, ვაგანკოვის სასაფლაო

იქორწინეს 1966 — მეუღლე

**ფადეევი მიხეილ ალექსანდრეს ძე**
მწერალ ა.ა. ფადეევის შვილი, მსახიობი
1941 მოსკოვი — 1993 მოსკოვი, ვაგანკოვის სასაფლაო

იქორწინეს 1976 — შვილი

**სტალინა ანასტასია მიხეილის ას.**
1977 10.05 მოსკოვი

შვილი

**სტალინა გალინა**
1993 მოსკოვი

იქორწინეს 1946 20.02, დაშორდნენ 1949 — II მეუღლე

**ტიმოშენკო ეკატერინე (ნინელი) სემიონის ას.**
მარშალ ტიმოშენკოს (1895-1970) ქალიშვილი
1923 21.12 მოსკოვი — 1988 12.06 მოსკოვი, ნოვოდევიჩის სასაფლაო

შვილი

**სტალინი ვასილ ვასილის ძე**
იყო თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტი: 1967
1949 30.09 მოსკოვი — 1972 12.11 მოსკოვი, ნოვოდევიჩის სასაფლაო

შვილი

**სტალინა სვეტლანა ვასილის ას.**
II ჯგ. ინვალიდი, გარდაიცვალა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებით
1947 მოსკოვი — 1990 მოსკოვი, ნოვოდევიჩის სასაფლაო

იქორწინეს 1949 — ყველაზე ერთგული III მეუღლე

**ვასილიევა კაპიტოლინა (კაპა) გიორგის ას.**
სსრკ 19-გზის რეკორდსმენი ცურვაში
1923 მოსკოვი — 2006 მოსკოვი

**ჯუღაშვილი ლინა ვასილის ას.**
ვასილმა იშვილა კაპიტოლინას I მეუღლისაგან ქალიშვილი
დ. 1941 25.03 მოსკოვი

იქორწინეს 1962 11.01 ყაზანი — IV მეუღლე

**შევერგინა-ჯუღაშვილი (I ქმარი– ნუზბერგი) მარია (მაშა) იგნატის ას.**
მედდა
1932 [illegible] — 2002 მოსკოვი, ტროეკუროვის სასაფლაო, დაკრ. ვასილ სტალინთან ერთად

ვასილ სტალინმა იშვილა მარიას I მეუღლისაგან ორი ქალიშვილი ტატიანა და ლუდმილა (ორივე გათხოვილია), რომლებიც ატარებენ ჯუღაშვილის გვარს. ისინი ცხოვრ. მოსკოვში და უვლიან დედის და ვასილის საფლავებს.

II მეუღლე — იქორწინეს 1919 24.03

**ალილუევა ნადეჟდა (ნადია) სერგეის ას.**
1930 დაამთ. მოსკოვის სამრეწ. აკადემია
1901 22.09 ბაქო, აზერბაიჯანი — თავი მოიკლა — 1932 08.11 მოსკოვი, ნოვოდევიჩის სასაფლაო

შვილი

**სტალინა სვეტლანა ალილუევა – 1957-დან პიტერსი ლანა – 1970-დან იოსების ას.**
ისტორიკოსი, მწერალი
1926 28.02 მოსკოვი, აშშ-ის მოქალაქე — 2011 22.11 ვისკონსინი, აშშ

იქორწინეს 1944 14.04, განქორწინდნენ 1947 04.05 — I მეუღლე

**მოროზოვი (მოროზი) გრიგორი იოსების ძე**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, თანაკურსელი
1922 რუსეთი — 2001 მოსკოვი

შვილი

**ალილუევი იოსებ (ოსია) გრიგორის ძე**
(გადაიღო დედის გვარზე)
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
1945 24.05 მოსკოვი — 2008 02.11 მოსკოვი, ნოვოდევიჩის საფ.

იქორწინეს 1966 23.11, განქორწინდნენ 1971 — II მეუღლე ლუდმილა, ექიმი

**ვოზნესენსკაია ელენე (ლენა)**
1947 მოსკოვი — ფილოსოფოსი

შვილი

**ალილუევი ილია იოსების ძე**
არქიტექტორი
1969, მოსკოვი

მეუღლე, დ. 1972 05.03, იქორწინეს 1997 — შვილი

**ალილუევი ილიას ძე**
1998 05.03, მოსკოვი

იქორწინეს 1970 07.04, განქორწინდნენ 1972 14.07 — IV მეუღლე

**პიტერსი უესლი (უესი) უილიამი**
არქიტექტორი, ორსული მეუღლე და 2 წლის ბიჭი დაეღუპა 1944
1912 12.06 ინდიანა, აშშ — 1991 18.07 ვისკონსინი, აშშ

შვილი

**პიტერსი ოლგა მარგდელენა, 1992-დან კრის ევანსი**
ეკონომისტი, მოდელიერი
დედასთან ერთად ცხოვრობდა და სწავლობდა თბილისში: 1984 01.12-1986 14.02
ამჟამად ცხოვრობს ვისკონსინში, აშშ
1971 21.05 კალიფორნია, აშშ — აშშ-ის მოქალაქე
იქორწინა 1992, მეუღლე ევანსი (დ. 1968, უელსი, ინგლისი), განქორწინდა 1994

**ბიჩკოვა (ქალიშვილობაში რომანოვა) ალექსანდრა**
ანდრეის ას., (ბაბუსია): 1885 (რიაზანის გუბერნია) – 1956 04.02 (მოსკოვი, ნოვოდევიჩის სასაფლაო, ნადეჟდა ალილუევას გვერდით). ბელადის ბავშვების ძიძა: 1926–1956. ი.ბ. სტალინი და მისი შვილები აღიარებდნენ მას ოჯახის წევრად

იქორწინეს 1949 16.04, დაშორდნენ 1951 14.12 — II მეუღლე

**ჟდანოვი იური ანდრეის ძე**
აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
1919 მარიუპოლი — 2006 21.12 როსტოვი

შვილი

**ჟდანოვა ეკატერინე (კატია) იურის ას.**
ვულკანოლოგი, მეცნ. კანდიდატი
1981-დან ცხოვრობს და მუშაობს კამჩატკაზე
1950 05.05, მოსკოვი

იქორწინეს 1981, კამჩატკა — მეუღლე

**კოზევი ვსევოლოდი (სევა)**
ვულკანოლოგი, ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი, მძიმედ დაავადდა ციროზით და თავი მოიკლა
1942 კამჩატკა — 1983 კამჩატკა

შვილი

**კოზევა ანა (ანიუტა) ვსევოლოდის ას.**
ეკონომისტი
1982 ს. კლიუჩი, კამჩატკა

იქორწინეს 2000 კამჩატკა — მეუღლე

**გორშენინი ვლადიმირი**
რუსეთის არმიის ოფიცერი
1980 რუსეთი

შვილი

**გორშენინა ვიქტორია ვლადიმირის ას**
2001 ს. კლიუჩი, კამჩატკა

შვილი

**გორშენინი ვლადიმირის ძე**
2010 ს. კლიუჩი, კამჩატკა

იქორწინეს 1963 09.10 — III მეუღლე

**ბრადეჟი სინგხ რაჯა**
ინდოეთის კპ ცკ წევრი
ჟურნალისტი
ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი
1909 19.05 ინდოეთი — 1966 31.10 გარდ. მოსკოვში, დელი
სვეტლანამ მისი ფერფლი გაიტანა ინდოეთში 1966 20.12, საიდანაც 1967 07.03 გაიქცა აშშ-ში

**სერგეევი არტიომ (ტომიკ) ფიოდორის ძე**
ი.ბ. სტალინის ნაშვილები 1921 28.03-დან
არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი
გაიზარდა კრემლში ვასილ სტალინთან ერთად
1921 05.03 მოსკოვი — 2008 15.01 მოსკოვი

**ისტომინა (ქალიშვილობაში ჟბიჩკინა) ვალენტინა**
ვასილის ას.: 1917 07.11 (ს. ლონოკი, ორლოვის ოლქი) – 1995 (იქვე), ი.ბ. სტალინის პირადი დიასახლისი: 1935-1953, სარგებლობდა ბელადის განუსაზღვრელი ნდობით



შეადგინა საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, პუბლიცისტმა, ღირსების ორდენოსანმა

**ლევან დოლიძემ**

**2013 01.03**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## იყიდება ჰაერი

**ჩინეთის დედაქალაქ პეკინში საკმაოდ დაბინძურებულმა ჰაერმა საკმაოდ ეფექტურად იმუშავა მილიარდერ ჩენ გო ბიოს ტვინზე და ახალი იდეა შთააგონა.**

მილიარდერი თუნუქის ქილებში დაკონსერვებულ სუფთა ჰაერს ყიდის. როგორც გაირკვა, ამ საქმიანობამ პირველივე დღეს მას 800 დოლარი მოუტანა. სუფთა ჰაერიანი ქილა 80 ცენტი ღირს და მასზე ჩენ გო ბიოს ფოტოა გამოსახული.

როგორც მილიარდერი ირწმუნება, მისი იდეის მთავარი მიზანი იყო, ჩინეთში ჰაერისა და გარემოს დაბინძურებისთვის ყურადღება მიექციათ. ცნობილი გახდა, რომ ჩენი სუფთა ჰაერს ჩინეთის რეგიონებში გასული წლიდან აგროვებს.

# უცნაური შიფრები

**ეგვიპტის დამწერლობის გაშიფრვის შემდეგ იყო მცდელობა, სხვა ძველი დამწერლობების გაშიფრვისა. ამ მცდელობებიდან ზოგი წარმატებულად დასრულდა, ზოგიც — არც მთლად წარმატებულად.**

75628 28591 62916 48164 91748 58464 74748 28483 81638 18174
74826 26475 83828 49175 74658 37575 75936 36565 81638 17585
75756 46282 92857 46382 75748 38165 81848 56485 64858 56382
72628 36281 81728 16463 75828 16483 63828 58163 63630 47481
91918 46385 84656 48565 62946 26285 91859 17491 72756 46575
71658 36264 74818 28462 82649 18193 65626 48484 91838 57491










ერთ-ერთი საიდუმლო შიფრი აგაპევის კოდია, რომელიც კვლავ ამოუცნობად რჩება. ეს არის რიცხვთა კომბინაცია, რომელიც შეტანილი იქნა წიგნში სახელწოდებით „კოდები და შიფრები". წიგნის ავტორია ალექსანდრე აგაპევი (1939 წ). როგორც იგი ამბობს, მას არ ახსოვს თუ როგორ გაშიფრა ციფრთა კომბინაცია, მაგრამ დადგინდა, რომ ციფრები კატასტროფების თარიღებს აღნიშნავს, ყოველ შემთხვევაში ასე ვარაუდობენ მეცნიერები.

კრიპტოსი არის ამერიკელი ჯეიმს სანბორნის სკულპტურა, რომელიც შტატ ვირჯინიის ცსს-ს სათაო ოფისის წინ დგას. მისი აღმართვის დღიდან — 1990 წლის 3 ნოებრიდან — დადიოდა ხმები მისი მნიშვნელობის შესახებ. თვითონ კრიპტოსი დაწერილია ლათინური ასოებით და ასევე რამოდენიმე უცხო ნიშანს შეიცავს. წარწერა 4 დანაყოფადაა წარმოდგენილი და სულ 865 სიმბოლოა. პირველი ადამიანი, რომელმაც 3 დანაყოფი გაშიფრა, იყო ჯეიმს გილოგლი კაროლინას შტატიდან, სულ მან მოახერხა 768 სიმბოლოს აზრის გაგება, ხოლო 4-ე ნაწილი ჯერ კიდევ უცნობია.

წარწერა შაგბორის სახლზე ექსპერტები, რომლებმაც გაშიფრეს ნაცისტების საიდუმლო კოდი, ცდილობენ გაშიფრონ 10-ასოიანი კოდი, რომელმაც საფიქრალში ჩააგდო მრავალი ადამიანი, D.O.U.O. S.V.A.V.V.M – როგორც მეცნიერები ვარაუდობენ ამ კომბინაციამ უნდა მიანიშნოს ერთ-ერთ წმინდა ადგილზე, ანუ სიმბოლოებით სავარაუდოთ ის კოორდინანტებია დამალული, რომელთა ამოხსნაც კვლავაც თავსატეხია მეცნიერთათვის.

შანხაიში ვინმე გენერალ ვანს ჰქონდა ოქროს 7 ფილა. მან გადაწყვიტა, ისინი საიმედოდ დაემალა. მეცნიერთა ხელთ არსებულ ოქროს ფირფიტაზე დატანილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად არის დამალული სხვა ფირფიტები. აღსანიშნავია, რომ გენერალის სიცოცხლის ბოლო დღეებში მისი საცავიდან არც თუ ცოტა ძვირფასეულობა გაქრა, ასე რომ, შეიძლება 7 ფილასთან ერთად მეცნიერებს ძალიან დიდი ძვირფასეულობა დახვდეთ დამალული, თუმცა, ჯერ-ჯერობით ისინი კოდის გაშიფრვას ვერ ახერხებენ.

ჩაოშიფრი გამოიგონა ჯონ ბაირნმა 1918 წელს, იგი წლების განმავლობაში ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკის მთავრობა, რომ შიფრი გამოსადეგი იყო, მისი გამოყენება ძირითადად საიდუმლო ინფორმაციის გადატანისა და შენახვისთვის შეიძლებოდა, თუმცა მას არავინ მოუსმინა. 2012 წლის მაისში ბაირნის შთამომავლებმა წიგნის ყველა დარჩენილი დოკუმენტი გადასცეს მერილენდის ნაციონალურ მუზეუმზს. ადგილობრივმა მეცნიერებმა მისი გაშიფრვა, დიდი წვალების მიუხედევად, მაინც შეძლეს იმ რამდენიმე ჩანაწერზე დაყრდნობით, რომლებიც ამ შიფრით იყო დაწერილი.

დორაბელის შიფრი შედგენილი იქნა 1897 წელს ბრიტანელი კომპოზიტორის ედვარდ ელგარის მიერ. დაშიფრული სახით მან წერილი გაგზავნა ქალაქ ვულვერგენპტიმში, თავის შეყვარებულთან დორი პენთან. წერილი მისი შეყვარებულისთვისაც გაუგებარი იყო, მიუხედევად იმისა, რომ მას ქონდა მცირეოდენი ინფორმაცია შიფრზე. წერილი დღესაც გაუშიფრავი რჩება.

შტატ ვირჯიანიასთან ახლომდებარე ტერიტორიაზე ინახება 2 ფურგონის ოდენობის ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები. სწორედ ამ ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას მოიცავს ბეილის კრიპტოგრამა. ოქროს მაძიებნელებმა ტომას ჯეფერსონის ხელმძღვანელობით ვერ მიაგნეს ამ სამალავს, მათ ვერ მოახერხეს კრიპტოგრამის გაშიფრვა. იგი ახლაც გაუშიფრავი რჩება.




71, 194, 38. 1701. 89, 76. 11, 83, 1629, 48. 94, 63. 132. 16, 111, 95. 84, 341, 975.
14, 40, 64, 27, 81. 139. 213, 63. 90, 1120, 8. 15, 3. 126. 2018. 40, 74. 758, 485,
604. 230. 436, 664. 582. 150, 251, 284, 308. 231. 124, 211, 486, 225. 401. 370,
11, 101, 305, 139. 189. 17, 33. 88, 208, 193. 145. 1, 94. 73, 416, 918. 263, 28, 500.
538. 356. 117, 136. 219. 27, 176. 130. 10. 460. 25. 485. 18. 436. 65. 84, 200. 283.
118. 320, 138, 36. 416. 280, 15. 71. 224, 961. 44. 16, 401. 39. 88. 61. 304. 12. 21.
24, 283, 134, 92. 63. 246. 486. 682. 7. 219. 184, 360, 780, 18. 64, 463, 474. 131.
160. 79, 73. 440, 95, 18. 64, 581, 34. 69, 128, 367. 460, 17, 81. 12, 103, 820, 62.
116. 97, 103. 862. 70. 60. 1317. 471. 540, 208, 121. 890. 346. 36. 150. 59. 568,
614, 13, 120, 63, 219, 812, 2160, 1780, 99. 35, 18, 21. 136, 872, 15, 28, 170, 88, 4.
30. 44, 112. 18. 147. 436. 195. 320. 37. 122. 113. 6. 140. 8. 120. 305. 42. 58. 461.
44, 106, 301. 13. 408. 680. 93. 86. 116. 530. 82. 568. 9. 102. 38. 416. 89. 71. 216.
728. 965, 818, 2. 38. 121. 195. 14, 326. 148. 234. 18. 55. 131. 234. 361. 824. 5.
81, 623. 48. 961. 19. 26. 33. 10. 1101. 365. 92. 88. 181. 275. 346. 201. 206. 86.
36, 219, 324, 829. 840. 64. 326. 19. 48. 122. 85, 216, 284. 919. 861. 326, 985.
233. 64. 68. 232. 431. 960. 50. 29. 81. 216. 321. 603. 14. 612. 81. 360. 36. 51. 62.
194. 78, 60. 200. 314. 676. 112. 4, 28. 18. 61. 136. 247. 819. 921. 1060. 464. 895.
10. 6. 66. 119. 38. 41. 49. 602. 423. 962. 302. 294. 875. 78. 14. 23. 111. 109. 62.
31, 501, 823. 216. 280. 34. 24. 150. 1000. 162. 286. 19. 21. 17. 340. 19. 242. 31.
86. 234. 140. 607. 115. 33. 191. 67. 104. 86. 52. 88. 16. 80. 121. 67. 95. 122. 216.
548. 96. 11. 201. 77. 364. 218. 65. 667. 890. 236. 154. 211. 10. 98. 34. 119. 56.
216. 119. 71. 218. 1164. 1496. 1817. 51. 39. 210. 36. 3. 19. 540. 232. 22. 141. 617.
84. 290. 80. 46. 207. 411. 150. 29. 38. 46. 172. 85. 194. 39. 261. 543. 897. 624. 18.
212. 416. 127. 931. 19. 4. 63. 96. 12. 101. 418. 16. 140. 230. 460. 538. 19. 27. 88.





არსებობს ერთი ძალზე უცნაური წიგნი, რომელშიც უნიკალური ანბანია წარმოდგენილი. მასში 250-მდე გვერდია, თითოეულ გვერდზე სხვადასხვა მცენარეა გამოსახული თავისი დახასიათებითა და ასტრონომიული ნიშნებით. ამ მცენარეების ნახევარი ჩვენთვის უცნობია და მათ შესახებ დედამიწაზე არავინ არაფერი უწყის. წიგნი პირველად XVI საუკუნის ბოლოს შეამჩნიეს. იგი რომის იმპერატორმა, რუდოლფ II-მ, პრაღაში უცნობი ვაჭრისგან შეიძინა. რუდლოფ II-მ ის გადასცა სასახლის მეცნიერებს გამოსაკვლევად. ამის შემდეგ ნაწერი XVII საუკუნის ბოლოსთვის გაქრა. მეორედ იგი იპოვა ვილფრიდ ვოინიჩმა 1912 წელს, (მანაც უცნობი ვაჭრისგან). ამ წიგნში არსებული სიტყვები და მათი სიგრძე, ასევე სიტყვათა და ასოთა შეერთება არ ემთხვევა არც ერთ თანამედროვე ენას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წიგნში აღწერილია ისეთი ადგილის ფლორა, რომელიც ადამიანებისთვის უცნობია.

# ადამიანი, რომელმაც 256 წელი იცოცხლა

**ლი ჩინგ-იუენი 1677 წელს დაიბადა და 1933 წელს გარდაიცვალა. მან 256 წელი იცოცხლა. ჰყავდა 24 ცოლი, დატოვა 200 შთამომავალი და მხოლოდ 24-ე ცოლი დააქვრივა.** ლი ჩინეთში, სიჩუანის მთებში დაიბადა. აგროვებდა სამკურნალო ბალახებს, მოგვიანებით საბრძოლო ხელოვნების სწავლა დაიწყო.

**1927 წელს ლი მიიწვია ვან-ჰიანის გუბერნატორმა, რომელიც გაოცებული იყო მისი სიმხნევით და ეს ფოტოც სწორედ მაშინაა გადაღებული.**

არსებობს ლეგენდა, რომ გარდაცვალების წინ ლიმ მეგობრებს უთხრა — მე გავაკეთე ყველაფერი, რაც ამქვეყნად უნდა გამეკეთებინა და ახლა ვბრუნდები სახლში.

მისი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ასრულებდა სპეციალურ სუნთქვით ვარჯიშებს და სვამდა ბალახების ნაყენს, რომლის რეცეპტიც ან დაკარგულია, ან უცნობია.



# სპეციალური ფეხსაცმელი მძღოლი ქალებისთვის



**ესპანელმა ბიზნესმენმა რაფ გილიემმა მანდილოსანი მძღოლებისთვის საგანგებო ფეხსაცმელი გამოუშვა. თავის ნამუშევარს გილიემმა Nubhes დაარქვა.** ახალი ტიპის აქსესუარის წარმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიზნესმენმა აღმოაჩინა, რომ ქალისთვის განკუთვნილი ყველა ფეხსაცმელი, განსაკუთრებით კი ქუსლიანი ფეხსაცმელი, მანქანის სამართავად მოუხერხებელია. ახალი Nubhes-ი ძალიან მსუბუქია, მეტი კომფორტისთვის მას თასმები არ აქვს. ქუსლებსა და ფეხის წვერებზე კი უხეში საფენები აქვს დამაგრებული, რათა ტერფი სატერფულს უკეთ მოერგოს. ქალბატონები, რომლებმაც მანქანის მართვისას უკვე მოირგეს Nubhes-ები, ამბობენ, რომ ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს საჭესთან საშინაო ფლოსტებით ისხდნენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტაიბეიში ბარბი-რესტორანი გაიხსნა







**ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიში თოჯინა ბარბის პატივსაცემად რესტორანი გაიხსნა. Barbie Cafe ბარბის სტილშია გაფორმებული: დაწესებულებაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ფორმის მაგიდები და მაქმანებით დამშვენებული სავარძლები დგას.**

რესტორანი ბარბის მწარმოებელი ფირმა Mattel-ის კონტროლით გაიხსნა, კომპანიის წარმომადგენლების აზრით, Barbie Cafe-ს კარგი პოტენციალი აქვს, რადგან ტაიბეიში თემატური სარესტორნო ბიზნესი საკმაოდ განვითარებულია. **„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბარბი-რესტორანი ჩვენი ბრენდის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს“,** — განაცხადეს კომპანიაში.

Mattel-მა იმედი გამოთქვა, რომ Barbie Cafe არა მხოლოდ ტაივანელ თოჯინა ბარბის თაყვანისმცემლებს, არამედ ჩინეთისა და იაპონიის მაცხოვრებლებსაც დააინტერესებთ. ადგილობრივებმა უკვე განაცხადეს, რომ კაფეს გახსნა ახარებთ და იქ ბავშვებთან ერთად სიამოვნებით ივლიან.

რა წარმოადგენს რესტორნის მენიუს საფუძველს, არ კონკრეტდება. ასევე უცნობია, Barbie Cafe-ს საშუალო ანგარიში.

Mattel-ი არა მხოლოდ თოჯინა ბარბის, არამედ მათ ტანსაცმელს, აქსესუარებს, სათამაშო სახლებს, ავეჯს, თემატურ სუვენირებს, საკოლექციო კომპლექტსა და ამ სათამაშოსთან დაკავშირებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს უშვებს.




# ყველაზე ძვირადღირებული ორდენი

**ჯილდოები, მედლები და ორდენები თითქმის ყველა ქვეყანასა და ყველა დროში არსებობდა. ზოგიერთი მათგანი კი არა მარტო ჯილდო იყო დამსახურებისთვის, არამედ ხელოვნების ნიმუში, შედევრი.**

მართალია, ის ღვაწლი, რომლისთვისაც ასეთ ჯილდოებს გადასცემენ ამა თუ იმ ადამიანს, შეუფასებელია, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს თითქმის ყველა ჯილდოს აქვს ფულში გამოხატული ფასი. ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი არიან მსგავსი ნივთების კოლექციის შეგროვებით, მზად არიან, უზარმაზარი თანხები გადაიხადონ ორდენებსა თუ მედლებში, მაგრამ რომელია ყველაზე ძვირადღირებული ორდენი?

ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ ორდენად ითვლება ორდენი **„გამარჯვება“**. ის წარმოადგენს რთულ კონსტრუქციას, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომელთაგანაც ძირითადია ლალის ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ქიმები შემოსაზღვრულია ბრილიანტებით. ლალის ვარსკვლავში მოთავსებულია კრემლისა და ლენინის მავზოლეუმის გამოსახულება, რომელიც შესრულებულია ოქროში.

ორდენის ძირითადი ნაწილი შესრულებულია პლატინაში, აგრეთვე, გამოყენებულია ოქრო და ვერცხლი. მთლიანად ორდენი 78 გრამს იწონის ბრილიანტების გარეშე. აქედან 47 გრამი პლატინაა, 2 გრამი — ოქრო, 19 გრამი ვერცხლი, რასაც ემატება 174 ცალი 16 კარატიანი ბრილიანტი. ასეთი რაოდენობის ძვირფასეულობა და შესრულების სინატიფე ნამდვილად ღირსია იმის, რომ ეს ორდენი ვაღიაროთ საიუველირო შემოქმედების შედევრად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ორდენი ყველაზე დიდია ყოფილი საბჭოთა კავშირის გამოცემულ ორდენებს შორის (ვარსკვლავის მოპირდაპირე ქიმებს შორის მანძილი 72 მმ-ია.)

ამ ორდენს განსაკუთრებულს ისიც ხდის, რომ მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მისით მხოლოდ 20 ადამიანი დააჯილდოვეს. 1989 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულებით გაუქმდა ლეონიდ ბრეჟნევის ამ ორდენით დაჯილდოების ბრძანებულება.

ამ მომენტისთვის თანხა, რომლის გადახდისთვისაც მზად არიან მისი მყიდველები, 16 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ, მათდა სამწუხაროდ, ყველა ეს ორდენი მკაცრ აღრიცხვაზეა და ჯერჯერობით არ იყიდება.

# უნიკალური ნიჭი



**23 წლის ჩენ სიუიანს უნიკალური ნიჭი აქვს. იგი ჩინეთიდანაა, ჰებეის პროვინციის ქალაქ ჰანდანიდან.**

მას შეუძლია ერთროულად ორივე ხელით წეროს სხვადასხვა ჩინური იეროგლიფები, ან ერთი ხელით ჩინურ ენაზე, ხოლო მეორე ხელით – ინგლისურზე წეროს. მას ამისთვის სპეციალური ვარჯიშები არ დასჭირვებია, უბრალოდ ბუნებრივი ნიჭი აქვს. გარდა ამისა, ჩენს საოცარი მახსოვრობა აქვს. მას უპრობლემოდ შეუძლია ნებისმიერი ლექსიკონიდან სიტყვების დამახსოვრება, აგრეთვე ახსოვს ერთი წლის ასაკიდან მოყოლებული ყველაფერი — როგორი ავეჯი იყო ბაბუამისის სამუშაო ოთახში, რა ფერის ჩაიდანს ხმარობდა და ა.შ. მან თვითონაც არ იცის როგორ ახერხებს ყველაფრის დამახსოვრებას.

სიუიანის მამა ჩენ სანგო ამბობს, რომ ძალიან ამაყობს თავისი შვილის ნიჭით, იმიტომ რომ მან ჯერ არ იცის ადამიანი, რომელსაც ანალოგიური ნიჭი გააჩნია.





# ყვირილი და ჩხუბი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

**გერმანიის უნივერსიტეტის — University of Jena-ს მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ხმამაღლა ყვირილი და ჩხუბი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. „გაბრაზებისას დაუფარავად გამოხატეთ ემოციები და სიცოცხლე გაიხანგრძლივეთ“, — აცხადებენ მეცნიერები.**

მათი თქმით, ცეცხლოვანი და ტემპერამენტიანი იტალიელები და ესპანელები თავშეკავებულ, ზრდილობიან და ჯენტლმენ ბრიტანელებზე უფრო მეტად ხალისიანნი და ბედნიერები იმიტომ არიან, რომ ემოციებს დაუფარავად გამოხატავენ. უნივერსიტეტის მეცნიერებმა 6 000 ადამიანი გამოკითხეს. ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ის ადამიანები, რომლებიც გაბრაზებულ გულზე ხმამაღლა ყვიროდნენ და ტიროდნენ, ნეგატიური განწყობა მალე გაუქრათ. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ნეგატიური ემოციების გამოხატვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.



# «გამარჯობა, აფხაზეთო, შენი...»

**ახალ აღთქმაში ისრაელთა შესახებ წერია: „მისცა მათ ღმერთმა უგრძნობლობის სული, თვალები, რათა არ ხედავდნენ, და ყურები, რათა არ ესმოდეთ დღევანდელ დღემდე“** *(რომ. 11,8).*
**ჩვენც, ამ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, გავახილოთ თვალები და დავინახოთ ის, რაც აქამდე არ ვიცოდით, რასაც ვერ ვხედავდით სიცრუის ქვეყანაში დამკვიდრებული იმ ჯანღისა და სიმრუმის გამო, რომელსაც სააკაშვილის ნაციონალ-ბოლშევიკური პროპაგანდა ამკვიდრებდა. დასავლეთისკენ კი ვიხედებოდით, მაგრამ აფხაზეთის გვერდის ავლით: თითქოს არც არსებობდა.**



არ არსებობდა კი მეტ-ნაკლებად გონივრული მიდგომა აფხაზეთის პრობლემისადმი, საერთოდ არაფერი არსებობდა, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილის ბრიყვულ წინასწარმეტყველებას, რომელსაც თავს ახვევდა ქართულ საზოგადოებრიობას და რომლის განხორციელება მილიონობით ლარი ჯდებოდა: „ანაკლიის კურორტი“, განმუხურის „პატრიოტთა ბანაკი“, „ლაზიკა“, ბოლოს და ბოლოს.





წყალწაღებული თანხები და ამაო მოლოდინი: აფხაზები დაინახავენ ზუგდიდის რაიონის აღმშენებლობას, დარწმუნდებიან ჩვენთან ყოფნის უპირატესობაში და დადგება ენგურის ხიდზე გადმოსვლის მსურველ აფხაზთა რიგი, როგორც მშრომელთა საპირველმაისო კოლონების დაუსრულებლობა.





გვაბითურებდა და ვიბითურებდით თავს. **სააკაშვილ-ბოკერია-ვაშაძე-ტიტო-რანკოვიჩის ხროვა ევროპარლამენტის რეზოლუციებს ცხვირწინ გვიფრიალებდა და წინსვლისა და გამარჯვების მორიგი ეტაპის ისტორიულ წარმატებაზე დაუსრულებელი ლაყაფით გვიბურღავდა ტვინს.**

**ამასობაში აფხაზეთში შევიდა ინვესტიციები და თავისი კვალი დაამჩნია, უპირველეს ყოვლისა, სახეწაშლილი სოხუმის კეთილმოწყობას, იერს ქალაქისას.**

სამწუხაროდ, ამ სიკეთეში ჩვენი ხელი არ ურევია. არადა, ქრისტიანობის კრედოა, მტერსაც სიკეთით მოექცე.

მტერსაცო!

**„ამიტომ, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი; თუ სწყურია, დაალევინე... არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით“** *(რომ. 12,20-21).*

მტრის დაპურება კი არა, საკუთარი ხალხი შიმშილის პირას მიიყვანა მიხეილ წინასწარმეტყველმა.

რა ვიცი, ეგებ, იმიტომ, რომ მტერი და აფხაზები შეუთავსებელი კატეგორიებია, ახალი აღქმის შეგონება ყურად არ იღო ამაოდ მაფიცარმა კაცმა — „ჩემი პრეზიდენტობის მორიგი ვადის დასრულებამდე აუცილებლად შევალთ აფხაზეთში!“

**დააკვირდით ფოტოსურათებს, რომლებიც ამ დღეებში ჩვენს რედაქციას აფხაზეთიდან გამოუგზავნეს. ასეთია დღეს მონატრებული სოხუმი და გაიხსენეთ დიდებული გალაკტიონი:**

**„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი,**
**ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია!**
**მომენატრა მზე სინათლის მფენი,**
**მომენატრა ზღვა, რომელიც ვრცელია...**
**მომაგებე მშობლიური გემი,**
**მომაგებე მშობლიური მიწა,**
**შენი ძველი მეგობარი მიცან...“**

**არმაზ სანებლიძე**











ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009